F1191/8960


# კვირის პალიტრა

## ყოველკვირეული დაიჯესტი

ყველა გაზეთი ერთ გაზეთში

№ 43 (132) ◆ 27 ოქტომბერი-2 ნოემბერი 1997 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.


### გაძარცვეს მთელი საქართველო, როდემდე ვითმინოთ მათი საქციელი?



საქართველოში აკრედიტებული უცხოეთის ქვეყნების საელჩოთა თანამშრომლების უმრავლესობა სარგებლობს ქართველი ინტელიგენციის სილატაკითა და კაპიკების ფასად იძენს უძვირფასეს სამუზეუმო ისტორიულ ძეგლებს, სარგებლობენ დიპლომატიური სტატუსით და გააქვთ საქართველოს გარეთ.

გვ. 5

### გაწბილდნენ თურქები

თურქებმა საქართველოში გუდაუთის სამხედრო ბაზის ინსპექცირება მოინდომეს...

გვ. 9



### ყველაზე მდიდრები...

მკითხველის ლეიცინგი გვ. 23



19 ოქტომბრის ინტერვიუთი ბათუმმა თბილისი აშკარა დუელში გამოიწვია

...დოლიძე და ჟვანია განაწყენებული ადამიანების თავის მოქონვას ცდილობდნენ.

„გოგიტიძე დიდ მჯიღშია მოქცეული და მამლის ფუნქცია აკისრია, ხელს თუ მოუჭერენ — დაიყივლებს“, — ედვარდ სურმანიძე.

ხარაზმა ძველი მეგობარი „ჩაუშვა“ ...დოლიძემ ხარაზს სასამართლოში უჩივლა.

...ასლან აბაშიძეს ყელში აქვს ამოსული მსგავსი სიბინძურეები.

...ეს უზნეობაა და საქართველოში უნდა დამთავრდეს სკამთთაყვანისმცემლობა.

...ჟვანიასთან ყოველთვის თბილი ურთიერთობა მქონდა და გადატრიალება აჭარაში ნეტა, ვის უნდა აძლევდეს ხელს?

გვ. 2,4


ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტი

გვ. 24

### ...ავთო იოსელიანმა „კრიშობა“ შემოთავაზა და უარი მიუთხარი

...დღემდე ტერაქტში ეჭვმიტანილი, რუსეთის რეზიდენტობაში „მხილებული“ ყოფილი მხედრიონელი თემურ მასხულია გათავისუფლებულია.

...ახლა იგი, ცსს-ის აგენტობის ბრალდებით, ავთანდილ იოსელიანს იქით უპირისპირდება.

გვ. 4



### წინათ და ახლა

რანი ვიყავით და რანი ვართ...

რას ვაკეთებდით და რას ვაკეთებთ...

წინათ — სიმღერები: „სულო ბოროტო“, „ახ, მთვარევ, მთვარევ“; ახლა — „არ შაგცივდეს, ბარაშკაჯან„, „აკოშკიდან ქვა მოდის, აი, ბარიხ-ბარახ„; წინათ — ბრძოლა თავისუფლებისათვის, ახლა — მუშტი-კრივი; წინათ — ხალხის გმირი, ახლა — მოღალატე, იუდა; წინათ — ოპოზიციური გაზეთის რედაქტორი, ახლა — აგენტი!

*„სულის ალიაქოთი“, 1912 წ.*

UEFA CUP

აგერ სამშაბათი, აგერ ბურთი და აგერ მოედანი... 5:0-ის მომგები ვართ? უველგან ისწავლეს თამაში, ჩვენს გარდა... უეფას თასზე ასეთი ანგარიშით არავის წაუგია...

„დინამომ“ ქართულ ფეხბურთს ევროპაში გზა ერთი წლით დაუხშო...

გვ. 21

### კრემლი გაოგნებულია

იმას, რაც მოხდა დსთ-ის ქვეყნების მეთაურთა შეხვედრაზე კიშინიოვში, მხოლოდ ერთი სიტყვა ესადაგება — ჩავარდნა. ბორის ელცინი ისე გამტერდა და ისე დაიბნა, ყველას მიხაილ გორბაჩოვი გაახსენდა... კიშინიოვში რუსეთს პირში უთხრეს — ან საქმეს მიხედე, ან თანამეგობრობამ სამარე გაითხაროსო.

*იზვესტია №204*

ნუ შევერჩობით მარსს სხეულში მომდევნო წარღვნა 200 მილიონი წლის მერეა მოსალოდნელი...

რუსეთში, შესაძლებელია, 1917 წელი განმეორდეს...

ამერიკა და მუსულმანური სამყარო შეეჯახება ერთმანეთს...

გვ. 22


EURO-AMERICAN

SECOND HAND

ტანსაცმელი მხოლოდ „ევრო-ამერიკანში“

ფასების მნიშვნელოვანი დაკლება

ძალზედ მოსახერხებელი 25 კგ-იანი ფუთებით, გაზრდილი ასორტიმენტით, საუკეთესო ხარისხით და ყველაზე დაბალი ფასებით. ყველა დასახელების საქონელზე მოხდა ფასების მნიშვნელოვანი დაკლება:

*1 კგ. მინიმალური ფასი — 1 ლარი*

საქონლის რეალიზაცია შეგიძლიათ როგორც მაღაზიებში, ასევე შინიდანაც.

მის.: მ. „სამგორი“, სამგორის ჩიხი №4, საქბაკალეის საწყობი

ტელ.: 71-77-42

საათები იაპონიიდან და შვეიცარიიდან

SEIKO, CITIZEN Eco-DRIVE

TITANIUM, OPTIME, TISSOT

რუსთაველის 42, მაღაზია „თამთა“

ფირმა „ბერმუხა“

ყველაზე იაფად და დიდი ხნის მუშაობის გარანტიით

შეგისრულებთ ბრტყელი სახურავების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებს, თბილისსა და სხვა ქალაქებში, ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორებით.

შეგვისყიდით ბიტუმს და მინაქსოვილს

მის.: წერეთლის პროსპ. №55, ბინა 53

ტელ.: 35-15-05; 63-55-77




### საკვირაო ტელე-კინოაფიშა

27 ოქტომბერი

2 ნოემბერი

გვ. 10

„სიტყვა და საქმე“ — 2000-ზე მეტი განცხადება 20 გვერდზე!

ნეკერი

Неделя

სარეკლამო გაზეთი

Частная жизнь

თავისი

stern

Вечерний Тбилиси

За РУБЕЖОМ

МОСКОВСКИЕ НОВОСТИ

ალია

საქართველოს რესპუბლიკა

DER SPIEGEL

კრიმინალი

Newsweek

ПАНОРАМА недели

КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА

МК

საქართველო

СЕГОДНЯ

ИЗВЕСТИЯ

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

СОВЕРШЕННО СЕКРЕТНО

ТРУД

MATCH

ТВ ПАРК

LE FIGARO magazine

ЛИЦА

daily

ОГОНЁК

Иностранец

ИТОГИ

# კვირიდან — კვირამდე

**გასულ კვირას, თბილისსა და ბათუმს შორის დაწყებულმა „საინფორმაციო ომმა"** უკანა პლანზე მოისროლა კიშინიოვში გამართული დსთ-ის ქვეყნების ლიდერთა სამიტიც და იქ დასმული აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების საკითხიც...

**„კვირის პალიტრა" დაუკავშირდა ბათუმში ასლან აბაშიძესთან დაახლოებულ პირს** და სთხოვა, გაეცნო ჩვენთვის აბაშიძის რეაქცია. რესპონდენტის თქმით (სტილი დაცულია): „ასლან აბაშიძეს ყელში აქვს ამოსული მსგავსი სიბინძურეები და მსგავს „დაპირისპირებებს" ბათუმსა და თბილისს შორის დიდი ხანია, ირონიულად აღიქვამს". იმავე წყარომ გვაუწყა, — როსტომ დოლიძეს დიდი ხანია, ესიზმრება აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე საკუთარი პერსონა, მაგრამ იგი ამას ვერ ეღირსებაო...

**საქართველოს ხელისუფლებასთან დაახლოებული სარწმუნო წყარო არ გამორიცხავს**, რომ ურეკში შეხვედრისას როსტომ დოლიძეს შეიძლება ხარაზისთვის მართლაც შეეთავაზებინა მსგავსი რამ ასლან აბაშიძესთან დაკავშირებით, მაგრამ „მეგობრულ" ვითარებაში. ხარაზმა კი, ასლან აბაშიძის თვალში საკუთარი ავტორიტეტის ამაღლების მიზნით, ძველი მეგობარი ელემენტარულად „ჩაუშვა".

**მაშინ, როცა როსტომ დოლიძე და ზურაბ ჟვანია პრესკონფერენციებს მართავდნენ**, ბათუმს ეწვივნენ ქართველი „ლეიბორისტები" შალვა ნათელაშვილის თავკაცობით. აჭარის ტელევიზიით გამოსვლისას, ნათელაშვილმა არცთუ აუღელვებლად განაცხადა: „ჩვენი ეროვნული სენია გამოჩენილი ადამიანის სიძულვილი და ჩვენ, პარლამენტარები, გამოვთქვამთ პროტესტს ამ აღმაშფოთებელი ფაქტის მიმართ. არ შეიძლება ადამიანს დაუკარგო ის, რაც მან ქვეყნის ძნელბედობის ჟამს გააკეთა და მოუწყო შეთქმულება. ეს უზნეობაა და საქართველოში უნდა დამთავრდეს სკამთთაყვანისმცემლობა, რადგან პროვოკაციები სწორედ სკამთთაყვანისმცემლობიდან მოდის".

**აჭარის უშიშროების მინისტრი სოსო გოგიტიძე კატეგორიულად უარყოფს** მასმედიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს ურეკის ინციდენტი მის მიერ იყოს დაგეგმილი და ინსპირირებული საკუთარი სიძის — ასლან აბაშიძის წინააღმდეგ. მან ამ ინფორმაციებს აბსურდული უწოდა, ხოლო თამაზ ხარაზის განცხადების კომენტირებისაგან კი თავი შეიკავა.

**ვიდრე ე.წ. „ცივი ომი" თბილისსა და ბათუმს შორის „გახურდებოდეს"**, საქართველოს პროკურატურამ უკვე დაიწყო გამოძიება თამაზ ხარაზის მიერ გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით. სიმართლის დასადგენად, ხარაზი თბილისში გამოიძახეს, რომელმაც თავი მოიმკვდარუნა და „ჯანმრთელობის გაუარესების გამო" დედაქალაქში არ ჩამობრძანდა. პრეზიდენტის პრეს-სამსახურის ცნობით კი, პროკურატურას განზრახული აქვს კანონით დადგენილი ღონისძიებების გატარება ხარაზის დაკითხვის მიზნით (ე.ი თბილისში მისი ძალით ჩამოყვანა, ანუ დაკავება).

მაგრამ ისმის კითხვა: სამართალდამცავებმა დღემდე ვერ მოახერხეს ბათუმიდან თბილისში გადმოეყვანათ ასლან აბაშიძის წინააღმდეგ ტერაქტის მომზადების მცდელობისთვის დაპატიმრებული ასანიძე იმის შიშით, რომ გზაში მას ხალხი კბილებით დაგლეჯსო და, საინტერესოა, აბაშიძის წინააღმდეგ „დაგეგმილი მორიგი შეთქმულების" გახსნის ავტორს — ხარაზს, როგორღა ჩამოიყვანენ თბილისელი სამართალდამცავები?

**23 ოქტომბერს კიშინიოვში დაწყებული და იმავე დღეს დამთავრებული დსთ-ის ქვეყნების ლიდერთა სამიტმა** საქართველოს მხოლოდ ის რეალური შედეგი მოუტანა, რომ შევარდნაძე დათანხმდა 1997 წლის 31 დეკემბრამდე გაუგრძელდეს მანდატი აფხაზეთში მდგარ რუს „მშვიდობისმყოფელებს", ეს არის რეალური გადაწყვეტილება, რაც აუცილებლად შესრულდება, ხოლო სამიტის „ლირიკა" კი ის გახლავთ, რაც შევარდნაძემ თვითმფრინავში გამართული ბრიფინგისას განაცხადა: კერძოდ ის, რომ, როცა „პლეხანოველი" პრიმაკოვი პლენარულ სხდომაზე შეეწინააღმდეგა შევარდნაძეს, რომელმაც დახურულ კარს მიღმა ლიდერთა მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე დაიწყო საუბარი, კერძოდ, გალის რაიონში სამშვიდობო ძალების მოქმედების მანდატის გაფართოებისა და იქ ლტოლვილთა უსაფრთხო დაბრუნების შესახებ, პრიმაკოვის „არგუმენტის" საპასუხოდ, რომ ამას არ დაეთანხმება სოხუმი, „მოთმინებადაკარგულმა" ელცინმა თურმე, მუშტი დასცხო მაგიდას და გააფთრებულმა განაცხადა: „ის, რაც ორმა პრეზიდენტმა გადავწყვიტეთ, შესრულდება!"

სამწუხაროდ, ჩვენთვის არ არის ცნობილი სხდომის შემდეგ ელცინმა თუ ჩასცხო მუშტი პრიმაკოვს თავში (რომელიც, მუშტის გარდა, კარგ თბილისურ ჭიტლაყსაც იმსახურებს), მაგრამ ის კი უკვე აშკარაა, რომ დსთ სულ უახლოეს მომავალში, ალბათ, დაიკავებს თავის ღირსეულ ადგილს ისტორიის სანაგვე ყუთში! უბედურება ის არის, რომ აფხაზეთის მოუგვარებელი კონფლიქტის გადამკიდე, საქართველოს დიდხანს მოუწევს ამ ბინძურ ყუთში ხელის ფათური.

**თბილისში მუშაობა დაასრულა საერთაშორისო კონფერენციამ თემაზე**: „პოსტკომუნისტური დემოკრატიული გარდაქმნები და გეოპოლიტიკა ამიერკავკასიაში". კონფერენციაზე შეიქმნა კავკასიოლოგ-პოლიტოლოგთა სამეცნიერო საბჭო, რომელიც იმუშავებს კონფერენციაზე მოწონებული და მიღებული პროექტების განხორციელებისათვის.

**ხელისუფლებას აქვს ძალა და უფლება დაიცვას „ქართული დემოკრატია"**, — ბრძანა ბატონმა შევარდნაძემ იმასთან დაკავშირებით, რომ ბოლო დროს გააქტიურდა ყოფილი ხელისუფლების მომხრეთა მოწოდებები დღევანდელი ხელისუფლების გარეკვისა. შევარდნაძის თქმით, პოლიტიკურ ორგანიზაციათა უფლება, შეიკრიბონ და იმსჯელონ ნებისმიერ საკითხზე, გასაგებია, მაგრამ შეკრების ორგანიზატორები და მონაწილეები უნდა დაფიქრდნენ იმაზე, თუ საითკენ უბიძგებენ ქვეყანას, რომელიც ახლახან გამოვიდა სისხლიანი ტრავმიდან.

**პარლამენტარი ნესტან კირთაძე სასწაულებრივად გადარჩა**, მას თავს დაემხო (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით) ადამის დროს აშენებული და კარგა ხანია ამორტიზებული ბინა. მიუხედავად პარლამენტარის არაერთგზის მიმართვისა და თხოვნისა, „მავანთ" ხელი არ გაუნძრევიათ სახლის გასამაგრებლად(!). დაშავებული დეპუტატი ამჟამად საავადმყოფოში იმყოფება.

## გამოდის, რომ ჩვენ ხელს ვუწყობთ ოჯახის დანგრევას

ქ-ნი ელენე თევდორაძე აზრს გამოთქვამს ჩვენი გაზეთის მკითხველის, თურქეთის მოქალაქის, ფათიჰ ჩევიქის (გიორგი ქეშელაშვილი-მაღლაკელიძის) წერილზე *(იხ. გვ. 5)*. ბ-ნი ჩევიქი საქართველოს მთავრობასა და ხელისუფლებას სთხოვს, დაეხმარონ თავისი ეროვნების აღდგენასა და საქართველოს მოქალაქეობის მიღებაში.

— ძალიან შეწუხებული ვარ ამ ახალგაზრდის ბედით, რადგან ოჯახი და შვილი ჰყავს, ის კი, პრაქტიკულად, ჰაერშია ჩამოკიდებული. გამოდის, რომ ჩვენ ხელს ვუწყობთ ამ ოჯახის დანგრევას. თუმცა, საუბედუროდ, არსებული საკანონმდებლო ბაზა არ გვაძლევს იმის უფლებას და საშუალებას, რათა გამოვნახოთ სწორი იურიდიული გადაწყვეტილება. თურქეთში ყოფნისას ამ ახალგაზრდის თაობაზეც ვესაუბრე ჩვენი საელჩოს თანამშრომლებს, მათ პირდაპირ განმიცხადეს, რომ თურქეთი კატეგორიულად მოითხოვს გიორგის ჩასვლას, რათა მოიხსნას ამ ქვეყნის მოქალაქეობიდან და ამის შემდეგ მიიღოს საქართველოს მოქალაქეობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისე გამოდის, რომ ჩვენ თითქოს უნდა მივცეთ ორმაგი მოქალაქეობა, რის უფლებასაც პარლამენტი, რა თქმა უნდა, არ გასცემს.

ძალიან კარგად მესმის გიორგისა, რომელმაც ქრისტიანობა მიიღო და, ალბათ, გამართლებულია მისი შიშიც, რომ თურქეთში ჩასვლისთანავე რეპრესიებში მოჰყვება. მაგრამ, მიმაჩნია, რომ თვითონ უნდა სძლიოს შიშს, ჩავიდეს თურქეთში და ოფიციალურად მოიხსნას ამ ქვეყნის მოქალაქეობიდან.

*— უშუალოდ პრეზიდენტს არანაირი უფლება არა აქვს, თუნდაც რაიმე სტატუსის მინიჭებისა?*

— კონსტიტუციის საფუძველზე, პრეზიდენტს აქვს უფლება მხოლოდ „საპატიო მოქალაქის" წოდების მინიჭებისა, მაგრამ ამ პიროვნებას საქართველოს წინაშე რაღაც განსაკუთრებული ღვაწლი და დამსახურება უნდა ჰქონდეს. აქ კი, ეს შემთხვევა არა გვაქვს.

*— ე.ი. გამონაკლისის დაშვება გამორიცხულია?*

— ჩვენი საკანონმდებლო ბაზა არ არის გიორგისა და მისი მსგავსი პიროვნებებისათვის სასარგებლო, ეს, ერთი მხრივ, სწორიცაა. არ შეიძლება ვინმეს გამონაკლისის სახით მივანიჭოთ ორმაგი მოქალაქეობა, რადგან არ ვიცით, ხვალ რა ვითარება გვექნება ქვეყანაში. განსაკუთრებით საშიშია ეს გარემოება აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონთან დაკავშირებით, რადგან რუსეთმა რამდენჯერმე უკვე შესთავაზა საქართველოს ხელისუფლებას, შეეტანა კონსტიტუციაში ცვლილება ორმაგი მოქალაქეობის თაობაზე და ამიტომ არავითარ შემთხვევაში მსგავსი პრეცენდენტის დაშვება არ შეიძლება.

დასასრულ, ვიტყვი, რომ როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელმა ხელისუფლებამ რაღაც გზა უნდა გამონახოს გიორგის მდგომარეობასთან დაკავშირებით და ვიდრე ის მოიხსნება თურქეთის მოქალაქეობიდან, მიეცეს მას რაღაც საბუთი, რომლის საფუძველზეც მას საქართველოს ტერიტორიაზე თავისუფლად შეეძლება მუშაობა, გადაადგილება და ა.შ.

**ედუარდ შევარდნაძისა და ლუდვიგ ჩიბიროვის შეხვედრა** 31 ოქტომბერს გაიმართება ჯავაში. ჩიბიროვის პრეს-სამსახურის ცნობით, მოლაპარაკება ქართული მხარის თხოვნით დაიგეგმა.

**აშშ-ის თვითმფრინავმა საქართველოში 500 ათასი დოლარის ღირებულების ჰუმანიტარული ტვირთი ჩამოიტანა**, კერძოდ, ორი სახანძრო, სასწრაფო დახმარების მანქანები, ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობები, სამედიცინო აპარატურა და მედიკამენტები. ამ ტვირთის შესაძენი თანხა აშშ-ში შემოწირულობებით შეგროვდა, ხოლო ტვირთის ტრანსპორტირების ხარჯები პენტაგონმა გაიღო.

**რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდლობა ელის ელცინისა და მთავრობის გადაწყვეტილებებს** საქართველოსთვის შავი ზღვის ფლოტის ზოგიერთი სამხედრო გემის გადაცემის თაობაზე, განაცხადა რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი შტაბის უფროსმა ვლადიმირ კუროედოვმა მოსკოვში გამართულ ბრიფინგზე. მისი თქმით, ურთიერთობები რუსეთსა და საქართველოს სამხედრო-საზღვაო უწყებებს შორის ისე ვითარდება, როგორც მეგობარ სახელმწიფოებს შეეფერება.

დამკვირვებლებმა კუროედოვის ეს განცხადება შეაფასეს როგორც დსთ-ის წევრი ქვეყნების ლიდერების სამიტის წინ საქართველოსთვის დაყრილი მორიგი საკენკი, რომლის აკენკვის შემთხვევაში, კუროედოვს („ქათმისმჭამელს") შეიძლება ნოყიერი ლუკმა ჩაუვარდეს პირში, კუროედოვის სახით კი, რუსეთს. იგულისხმება ის ფაქტი, რომ საქართველოსთვის გემების გადმოცემის შემთხვევაში, კრემლი მოითხოვს ამ გემების ბათუმის ნავსადგურში განლაგებას. ასე რომ, რუსეთი ამ პირობის შესრულების შემთხვევაში, გადმოგვცემს გემებს, ხოლო რატომ აკეთებს იგი აქცენტს ბათუმის ნავსადგურზე, ეს, ალბათ, მხოლოდ კუროედოვისა და მისი უფროსობის ტვინმა უწყის...

**1998 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ერთი მილიონ 6000 ათასი ლარი არ არის საკმარისი** ქვეყანაში სასამართლო რეფორმის გასატარებლად, განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა პარლამენტში გამართულ საკომიტეტო მოსმენაზე. მისი აზრით, სასამართლო რეფორმის განხორციელებისთვის სულ ცოტა, 8 მილიონი ლარია საჭირო.

როცა პროკურორს 60 ლარი აქვს ხელფასი, იქ კანონიერებასა და რეფორმაზე ზედმეტია მსჯელობა!

**საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო ამოცანებს მიეძღვნა პრეს-კონფერენცია**, სადაც სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ ზაზა შენგელიამ განაცხადა, რომ პროგრამის უმთავრესი მიზანია, გააუმჯობესოს ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და მართვის სტრუქტურა. პროგრამას მსოფლიო ბანკი და საქართველოს მთავრობა აფინანსებს. ტექნიკურ დახმარებას კი ევროპის საბჭო ახორციელებს.

**ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი უარს არ ამბობს თავის განზრახვაზე**, შეაგროვოს 500 ათასი ხელმოწერა ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის კანონ-პროექტთან დაკავშირებით რეფერენდუმის ჩატარების მიზნით, განაცხადა კაკო ასათიანმა. მისი თქმით, ტრადიციონალისტები ყველა პოლიტიკურ ხერხს მიმართავენ ამ განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, ასათიანი ავტორიტარული რეჟიმის დამყარების მცდელობად აღიქვამს იმ ფაქტს, რომ იგი გამოიძახეს პროკურატურაში „განმარტების" მისაცემად იმასთან დაკავშირებით, რომ პრესისთვის მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში ასათიანმა განაცხადა: „ხელისუფლებაში მოსულ ბანდას შემოსავლის წყაროს დაკარგვის ცხოველური შიში აქვს".

**19 ოქტომბერს მცხეთასთან მომხდარმა ავტოკატასტროფამ** აშშ-ის მოქალაქის, 66 წლის დევიდ რუნპენის და საქართველოში აშშ-ის საელჩოს თანამშრომლის, 24 წლის მარინა გაბრიაძის სიცოცხლე იმსხვერპლა. „კამაზისა" და „ჟიგულის" („ჟიგულს" მარინა გაბრიაძე მართავდა) შეჯახების შედეგად, დაშავდა მარინას და, ასევე აშშ-ის საელჩოს თანამშრომელი ირინა გაბრიაძე და მის გვერდით მჯდომი ამერიკელი მაიკლ გოლდშტეინი. ორივე ამერიკელი მოქალაქე საქართველოში ჩამოსული იყო სამუშაოდ აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ხაზით.

**პრეზიდენტი შევარდნაძე შეხვდა საქართველოში სტუმრად მყოფ ინგლისელ ლორდს** აივარდ მაუნთმეთენს და მის თანმხლებ პირებს. ლორდის ვიზიტის მიზანია თავისი წინაპრების საცხოვრებელი ადგილების, ლიკანისა და თბილისის მოსანავლეთა სასახლის დათვალიერება. რუსეთის სამეფო დინასტიასთან ნათესაური სისხლით დაკავშირებული ლორდი პუშკინისა და ნიკოლოზ პირველის მეოთხე ვაჟის, მიხეილ რომანოვის შთამომავალთა წარმომადგენელია.

**მთავრობის მორიგ სხდომაზე გამოსვლისას, ედუარდ შევარდნაძემ ეკონომიკური რეფორმების პირველი ეტაპის შედეგები შეაჯამა**. მისი თქმით, მიწის რეფორმამ, ფასების ლიბერალიზაციამ და პრივატიზაციის დასრულებამ არჩეული კურსის სისწორე დაადასტურა. ეკონომიკური რეფორმების მეორე ეტაპის განმსაზღვრელი, მისი აზრით, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება უნდა გახდეს.

წლეულს, 9 თვეში, საქართველოში აწარმოეს 4,3 მილიარდი ლარის საერთო-ეროვნული პროდუქტი. ინფლაციის მაჩვენებელმა 0,35% შეადგინა, გეგმით გათვალისწინებული 1%-ის ნაცვლად, გაორმაგდა ხელფასები, საბიუჯეტო ორგანიზაციების მოსამსახურეთა საშუალო ხელფასი 39 ლარს გაუტოლდა.

**9 თვეში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალმა 500 მილიონი ლარი შეადგინა**, რაც ერთნახევარჯერ აღემატება შარშანდელ შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს, განაცხადა ფინანსთა მინისტრმა მიხეილ ჭკუასელმა მთავრობის სხდომაზე. მისი თქმით, ბიუჯეტი, 87,6%-ით შესრულდა და რომ წლის ბოლომდე დარჩენილ დროში, ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შესრულებისას, ქვეყანა მხოლოდ საკუთარ რეზერვებს უნდა დაეყრდნოს, რადგან საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი კრედიტები უკვე ათვისებულია.

## საბედისწერო შემთხვევითობას პროკურატურის თანამშრომელი შეეწირა

19 ოქტომბერს, სასტუმრო „ივერიაში", პროკურატურის თანამშრომელი გიორგი (გიგი) პაპინაშვილი მოკლეს.

20 ოქტომბერს, პროკურატურაში, რემი ვაშაკიძის პროცესთან დაკავშირებით, პრეს-კონფერენცია უნდა გამართულიყო. თუმცა, რკინიგზის დეპარტამენტის ყოფილი შეფი, რომლის შესახებაც მასმედიელები საგამოძიებო ჯგუფისაგან დამატებითი ინფორმაციის მიღებას ელოდნენ, არავის უხსენებია. ვაშაკიძის თემის აქტუალობა „ივერიაში" მომხდარმა ფაქტმა დაჩრდილა. ფაქტის შესახებ გენერალური პროკურორის მოადგილემ სოსო ყიფიანმა გვამცნო.

გაირკვა: წინა დღეს „ივერიაში" საქორწინო სუფრა იყო გაშლილი. სუფრასთან პროკურატურის კადრების ინსპექციის უფროსი გიორგი პაპინაშვილიც იჯდა. საღამოს 6-7 საათზე, ვინმე ზურაბ ნონიაშვილი მექორწინეთა დარბაზში შეიჭრა და სტუმრებს, განსაკუთრებით კი ვინმე გია გეწაძეს, ლანძღვა-გინება დაუწყო. გეწაძემ ნონიაშვილი გარეთ გაიყვანა, სცემა და გააგდო. ნონიაშვილი მოგვიანებით კანონიერი ქურდის, რამაზ ძნელაძის (მეტსახელად „ტარტაროზა") თანხლებით დაბრუნდა. სროლა ატეხა, რის შედეგადაც პაპინაშვილი და ვინმე გორგოძე ზურგში დაიჭრნენ. ორივე ქალაქის პირველ კლინიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. გიორგი პაპინაშვილს თირკმელი ამოკვეთეს, რადგან მოარულმა ტყვიამ მუცლის არეში ჩაალნია. თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ გადამწყვეტ წუთს პაპინაშვილს გულმა უმტყუნა. იგი 19-ში, ღამით, გარდაიცვალა. მძიმე მდგომარეობაშია გორგოძეც.

მკვლელი, რომელიც „ტარტაროზასთან" ერთად დაუყოვნებლივ გაუჩინარდა შემთხვევის ადგილიდან, იძებნება. საქმეს თბილისის პროკურატურა იძიებს.



**გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე (ლალი) ჯავახიშვილი.**

დიდი ივანეს ცოცხალი ხატი, სისხლი სისხლთაგანი აღარ დააბიჯებს თბილისის ქუჩებში, აღარ ეფერება ნოსტეს და მცხეთას, ანანურს და არმაზს, ნოქალაქევს და ბესლეთს... მელანი შეაცივდა კალამს...

სულიერ საქართველოს გაიყოლა ბატონმა ლალიმ საქართველოს გაერთიანების ნატვრა. განუსვენოს უფალმა მართალთა შორის...

„კვირის პალიტრის" რედაქცია თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახსა და მის ახლობლებს.



„უწინარეს ჟამსა ტფილისი იყო სოფელი“
(„ქართლის ცხოვრება“)

მინდა, ავვარდე მამადავითზე,
იქ აიჩრიე, სულო, ბინა შენ.
მინდა, უეცრად მუხლზე დავეცე
ჩემი თბილისის და მზის წინაშე.
პაოლო

„საქართველოს ასაოხრებლად მოსულნი, პირველად ფეხის მოკიდებას ტფილისში სცდილობდნენ.“



„ხომ ჩვენი ქალაქია, მაგრამ იქ გული არ მიდგება, თითქოს ჩვენები აბარგებულან, გახიზნულან და სხვები დასახლებულან“.
(ილია)

1122 წელს დავით აღმაშენებელმა „ტფილისი ოთხას წელ ქონებული სპარსთა, დაიხსნა და დაუმკვიდრა შვილთა თვისთა საჭურჭლედ და სახლად თვისად საუკუნოდ“ — მემატიანე







„მუდამ ჭრელი და მრავალფეროვანი მოსახლეობა თავისი ენით მეტყველებდა, ეს იყო ქალაქური ენა.“



რიტი გაგარიტი, რიგორ გაგარიტი, ჩემი იარალი ის ღრით წავიდა...






„ქართული“ პრესის ჯიხური

**თბილისში ექვსი გზა შემოდიოდა:**
**აბანოს კარი**
**კოჯრის კარი**
**წავკისის კარი**
**დიღმის კარი**
**განჯის კარი**
**მუხრანის კარი**
**კალას კარი**

გადუვარა ნარიყალას ნაცრიანი ბური...
ხაში, ხილი და თონიდან ამოყრილი პური,
თაბახი და საზანდარი, მზე შინა და გარეთ
ეგებება მზეს თბილისი თავის ექვსი კარით.
გოგლა





განცხადება
თბილისის უსაქმო ინტელიგენტთა ბიურო აცხადებს, რომ კვირა-უქმე დღეებში ქალაქის გამგეობის შენობაში დილის ათი საათიდან საღამოს შვიდ საათამდე საჯაროდ იმართება მუშტი-კრივი... პრინციპიალური საკითხების გამოსარკვევად.
*კომარი-კოლო (1906)*

დღევანდელ გმირთა მოედნის ტერიტორიაზე — ცნობილი დუქანი **„ნე უეზჟაი გოლუბჩიკ მოი.“**



XIX საუკუნის თბილისი ერთი სახით აზიას ეკუთვნოდა, მეორეთი — ევროპას.

„კალას და ისანს თბილისის მთელი არსებობის მანძილზე არ შეუწყვეტია ცხოვრება“.



მე თბილისი მიყვარს...
თბილისის ყოველი ფოლორცი, თბილისის ყოველი შუკა სავსეა ლეგენდარული სახეებით; შეიძლება უცხოელისათვის ეს წელგამწყდარი ქუჩები და მერცხლის ბუდესავით მიკრული სახლები არც ჰიგიენური იყოს და არც გამწყაზრული, მაგრამ ჩემთვის თბილისის ყოველი კენჭი, თბილისის ყოველი ხის ფურცელი მეტყველია და მნიშვნელოვანი. თბილისი ჩემი არსებობის დასაწყისი და დასასრულია.
*იოსებ გრიშაშვილი*

ოცნებაო, ჩემო ძველო,
ვართ ღამეთა მთეველი,
კიდევ ბევრი სადღეგრძელო
დაგვრჩა დაულეველი.
*გალაკტიონი*

# ბათუმი თბილისს დუელში იწვევს

„ჟვანია ჩუმად გვისმენდა, მერე ადგა და წავიდა“, — ასე ამთავრებს ბათუმის ტელევიზიისათვის მიცემულ სკანდალურ ინტერვიუს ბათუმის ექს-მერი თამაზ ხარაზი, მეტსახელად „ბაცინკა“. იგი ძველი ფუნქციონერია და აჭარაში საკმაო ავტორიტეტით სარგებლობს. ინტერვიუში, რომელსაც ჟურნალისტი გიორგი თარგამაძე უძღვებოდა, ექს-მერმა საქვეყნოდ განაცხადა, რომ უცნობი ახალგაზრდების მიწვევით, იგი აგვისტოში ურეკში შეხვდა პარლამენტის თავმჯდომარეს ზურაბ ჟვანიას და საპროცედურო საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეს როსტომ დოლიძეს. ხარაზის მტკიცებით, მასპინძლებმა მას დახმარება სთხოვეს ასლან აბაშიძის დიქტატურის დამხობაში, რაზეც ხარაზმა უარი განაცხადა.



რაღა თქმა უნდა, როსტომ დოლიძემ ხარაზის ბრალდება უარყო, თუმცა არ დაუმალავს, რომ ექს-მერი მისი მეგობარია. „აგვისტოს ბოლოს, დაახლოებით 22-დან 29-მდე, სოფელ შეკვეთილში ჩემთან მოვიდა თამაზ ხარაზი... სხვადასხვა საკითხზე ვისაუბრეთ. საუბარს არავინ დასწრებია, მითუმეტეს, ზურაბ ჟვანია. თანაც, როგორც ვიცი, ზურაბ ჟვანია თამაზ ხარაზს არც იცნობს“, — თქვა დოლიძემ და დასძინა, რომ ხარაზს უთუოდ შეეშინდა, ვინმე რამეს გაუხსენებდა და ამიტომ ტყუილ-მართალი თქვა. ამავე დროს, აჭარაში მოხდა თბილისის მოწინააღმდეგე შიდა და გარე ძალების ინტერესთა თანხვედრა, რათა იგი, როგორც ყოველთვის, განხეთქილების ვაშლად იქცესო.

აჭარის პოლიტიკური ორგანიზაცია „დედა საქართველოს“ თავმჯდომარემ და ამავდროულად, ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის“ მთავარი საბჭოს წევრმა როსტომ დოლიძემ „აღმოაჩინა“ — „აჭარაში დიქტატურაა და დიქტატორი ყოველთვის პირველი პირია. იგი, როგორც წესი, იქმნის შესაბამის გარემოს. აბაშიძე უკვე ველარ მართავს თავის გუნდს, პირიქით, გარემომცველები მართავენ მას“. მიუხედავად მეგობრობისა(?!), დოლიძემ ხარაზს სასამართლოში უჩივლა.

თბილისსა და ბათუმს შორის კარგა ხანია მიმდინარეობს შეფარული ბრძოლა, მაგრამ 19 ოქტომბრის ინტერვიუ დუელში აშკარა. გამოწვევა გახლავთ. აღსანიშნავია, რომ ინტერვიუს კვალი უშუალოდ „ასლან ბაბუსთან“ შეგნებულად თუ შეუგნებლად არ მიჰყავთ. „არ არის გამორიცხული, რომ ინტერვიუ ასლან აბაშიძის ჩაურევლად შეითხზა. საეჭვოა, ვინმე პიროვნულად იყოს დაინტერესებული ამ ინტერვიუთი. პროვოკაცია საქართველოს ფარგლებს სცილდება“, — განაცხადა ბრიფინგზე ზურაბ ჟვანიამ, თუმცა მაინც საეჭვოა, ინტერვიუზე აბაშიძეს არაფერი სცოდნოდა, რადგანაც აჭარის ტელევიზიას უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკონტროლებს, თანაც საუბარს „აბაშიძის ჟურნალისტად“ მონათლული თარგამაძე უძღვებოდა და იგი უზენაესი საბჭოს ერთ-ერთ კაბინეტშია ჩაწერილი. ძნელი მისახვედრი არ არის, ვინ იგულისხმება „საქართველოს ფარგლებს გარეთ“-ში, რაღა თქმა უნდა, რუსეთი, რომელმაც, როგორც ჩანს, ძველისძველი კოზირის — აჭარის — გათამაშება განიზრახა. „თანამედროვე ქართული დემოკრატიის ერთადერთ ნათელ ფიგურად“ აღიარებულმა ჟვანიამ ბათუმის დუელში გამოწვევა მიიღო. მისი თქმით, დღეს აჭარა თბილისში მტრის ხატს აშკარად ეძებს. შეურაცხყოფილმა ჟვანიამ ცილისწამებისთვის სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მოითხოვა (ცნობისთვის: ჯამლეტ ბაბილაშვილის გადაწყვეტილებით, უკვე შეიქმნა ამ საქმის გამომკვლევი საგამოძიებო ჯგუფი). ბატონ ზურაბს დაუჟინია — ნასროლი ტალახი მსროლელს უკან მიუბრუნდებაო.

მიუბრუნდება თუ არა ბათუმს თბილისის ნასროლი გუნდა, ამას მომავალი გვიჩვენებს, ისე კი, ჯერჯერობით, მოგებული აბაშიძეა. ერთი ქულა, თბილისში ჩამოუსვლელობით, კარგა ხნის წინ აიღო, თუმცა საპასუხო ბურთი თბილისმა მაშინ გაიტანა აჭარელთა კარში, როცა აბაშიძის საპარლამენტო ფრაქცია „აღორძინება“ გაიხლიჩა და ასე თუ ისე აჭარაში ავტორიტეტიანმა ნაწილმა დამოუკიდებელ დეპუტატთა დახმარებით, ფრაქცია „მამული“ შექმნა. ეს მოვლენა თავის დროზე „უმსუბუქეს გადატრიალებად“ შეფასდა და „მოქალაქეებმა“ ბათუმში სატელიტები დააყენეს. „აღორძინებას“ „მამულის“ სახით ალტერნატივა მოეძებნა, ხოლო აბაშიძეს სურმანიძით შეცვლით ემუქრებიან. ამ გახმაურებულ კულუარულ ჭორს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ედვარდ სურმანიძე, რაღა თქმა უნდა, უარყოფს. ნეტა, რას ფიქრობს მომხდარზე „მამულის ტვინად“ წოდებული არმაზ ახვლედიანი? „ყველაფერს საზღვარი აქვს, მაგრამ ძალიან გამაოცა ჟვანიას ამ კონტექსტში მოხსენიებამ“.

ყოველივე ეს ხდება მაშინ, როცა საპარლამენტო კოალიცია „ერთიანი საქართველოს“ წევრები ლეიბორისტ შალვა ნათელაშვილისა და „ამღორძინებელ“ ჯემალ გოგიტიძის თავმჯდომარეობით ქუთაისში ამომრჩევლებს ხვდებოდნენ. ქუთაისის შემდეგ, ისინი ბათუმს ეწვივნენ. ავადმყოფობისა და საქართველოში დაბრუნების შემდეგ, აბაშიძესთან შეხვედრა სანაპიროზე შედგა. არ ვიცით, კონკრეტულად რაზე ისაუბრეს, მაგრამ, ჩვენი ბათუმელი კოლეგების ცნობით, სკანდალურ ინტერვიუს, მიუხედავად მოსახლეობის აღშფოთებისა, დესტაბილიზაცია არ მოჰყოლია. თუმცა ქუჩა, რომელზედაც აბაშიძე ცხოვრობს, ღამით სამხედრო ტექნიკით იკეტება.

ფრაქცია „აღორძინების“ თავმჯდომარემ ჯემალ გოგიტიძემ, არაერთხელ ამხილა ზურაბ ჟვანია, — ფრაქციის რამდენიმე წევრი ფსიქოლოგიური ზეწოლით, თანამდებობრივი თუ ქონებრივი დაინტერესებით გადაიბირა და „მამული“ შეაქმნევინაო. „ამგვარი მუშაობა აჭარის მოსახლეობაშიც მიმდინარეობს, — თქვა გოგიტიძემ, — იყენებენ ეგრეთ წოდებულ განაწყენებულ ადამიანებს. როგორც ბათუმლებისთვისაა ცნობილი, პარლამენტის ბიუროს ყბადაღებული „ნაბანავები“ გამსვლელი სხდომის დროს ჟვანია და დოლიძე ხვდებოდნენ ყველას, ვისი თავის მოქონვაც შეიძლებოდა. ერთ-ერთი იყო ხარაზი. მაგრამ მან არ გაამართლა“.

როგორც ვნახეთ, „სამთა თათბირს“ ჯემალ გოგიტიძეც ადასტურებს, რასაც ზურგს უმაგრებს ხარაზის განცხადება, — მზად ვარ, ყველაფერი სასამართლოზე გავიმეოროო.

„მამულის“ შექმნამდე ბათუმი შეეცადა ანგარიში თავის სასარგებლოდ ორამდე გაეზარდა. 1995 წლის ნოემბერში, პარლამენტის სხდომაზე არმაზ ახვლედიანმა განაცხადა, — როსტომ დოლიძე ასლან აბაშიძის მიმართ ტერორისტული აქტების ორგანიზატორიაო. მას კვერი დაუკრა ედვარდ სურმანიძემ. ბრალდება სპეციალურად შექმნილმა საპარლამენტო კომისიამ უარყო. მიუხედავად ამისა, საქართველოს პროკურატურას ცილისწამებისთვის პასუხისგებაში არავინ მიუცია. ალბათ, ასე იყო საჭირო და იმიტომ! დოლიძის თქმით, ახვლედიანი და სურმანიძე ჩადენილს დღეს ნანობენ და ეს ასეცაა. ბატონმა არმაზ ახვლედიანმა ჩვენთან საუბარში განაცხადა: — დოლიძის მხილება ასლან აბაშიძემ დამავალაო, — თურმე, „ბაბუ“ მას არწმუნებდა — შენ თქვი, დოკუმენტაცია პრეზიდენტს მაგიდაზე უდევს და ყველაფერი კარგად იქნებაო. ახვლედიანისა და სურმანიძის შემდეგ დაგეგმილი იყო სამი „ამღორძინებლის“ გამოსვლა, მაგრამ ისინი ბუჩქებში მიიმალნენ — თქვენ ისე კარგად ილაპარაკეთ, რომ სათქმელი აღარ დაგვიტოვეთო და ბათუმელთა დუეტი მაშინ მიხვდა, თუ რა შეცდომა დაუშვა. ახვლედიანის თქმითვე, ხარაზი განირეს; მნიშვნელობა არა აქვს, ვინ იქნებოდა ხარაზის მაგივრად, მოსახდენი მაინც მოხდებოდაო. „ინტერვიუს მეორე დღეს ბათუმში ჩაველი, შემხვედრნი გაოცებულნი მეკითხებოდნენ — ნუთუ, ესეც შერჩებათ და ყველაფერი უკვალოდ ჩაივლის?“



არმაზ ახვლედიანმა ისიც გვითხრა, — მშობლიურ ქალაქში ჩასვლა არც მეშინია, არც მრცხვენია და არც არავინ მიკრძალავს, როგორც ზოგიერთს ჰგონიაო. მას სურმანიძეც ეთანხმება და დასძენს, — მოვა დრო, ასლან აბაშიძე მიხვდება, ვისთან აქვს საქმე, — მე ვგულისხმობ მის გარემოცვას, რომელმაც გარკვეული ფულადი კაპიტალი დააგროვა და დღეს ამ პოზიციების დათმობა არ სურს. ისინი იმდენად ძლიერნი არიან, რომ ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობის კურსს განსაზღვრავენო.

სურმანიძე ჯემალ გოგიტიძესაც გადასწვდა, — „მან ისე იცის პოლიტიკა, როგორც ჩინეთის ისტორია, „გოგიტიძე დიდ მჯილშია მოქცეული და მამლის ფუნქცია აკისრია — ხელს თუ მოუჭერენ — დაიყივლებს“. ახვლედიანისგან განსხვავებით, სურმანიძეს არ უნდა ავტონომიის გაუქმება, რადგანაც „ავტონომია დიდ როლს თამაშობს და ითამაშებს სახელმწიფოს მშენებლობაში“.

მაშ ასე, „მოქალაქეთა“ ერთ-ერთმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა „დაადგინა“ — აჭარაში დიქტატურაა და სიტუაციას დემოკრატიული არჩევნები უშველისო: „დასამალი არ არის, რომ აჭარის ავტონომიის გაუქმებაზე სერიოზული ძალები მუშაობენ, რადგანაც მისი არსებობა საქართველოსთვის შეურაცხმყოფელია“. იქნებ, ამიტომაც შეიქმნა ფრაქცია „მამული“ და ჩავარდა თავის დროზე კანონი „თავისუფალი ეკონომიკური ზონის შესახებ“, მაგრამ „მამულს“ და თბილისს არ ეტყობა ავტონომიის გაუქმების სურვილის ქონა; ისე კი, დედაქალაქელი პოლიტიკოსები ხარაზს პატიოსან ადამიანად მიიჩნევენ, — ტყუილს არ იტყოდაო! სიმართლე, ალბათ სასამართლოზე გაირკვევა, თუ, რასაკვირველია, შედგა.

უნდა ითქვას, რომ ბათუმი ისევე არ არის დემოკრატიის ოაზისი, როგორც თბილისი, ბათუმმა ისევე გადაუხვია დემოკრატიის გზიდან, როგორც თბილისმა, ბათუმი ისევეა ათას დარღვევათა კერა, როგორც თბილისი. ერთი სიტყვით, ბათუმში არაფერი ხდება ისეთი, რაც თბილისში და მთელ საქართველოში არ ხდებოდეს. თბილისი კი ბათუმთან მაშინ შედის საარჩევნო ბლოკსა თუ კოალიციაში, როცა საამო, ფერად სიზმრებს ნახავს. მერე კი ერთმანეთისა რაღაც არ მოეწონებათ და პირადულ თუ კლანურ დაპირისპირებებში, ხშირად სრულიად უდანაშაულონი ზარალდებიან, ამიტომ დროა, ცენტრმა კონკრეტული ნაბიჯი გადადგას „ურჩი ფეოდალის“ დასაშოშმინებლად ან იგი „სამთულიან ფაშად“ აღიაროს.

*მათე კირვალიძე*

P.S. წერილი დასაბეჭდად მზად იყო, როდესაც სტუდია „აუდიენციით“ გადაიცა ასლან აბაშიძის ინტერვიუ, რომელმაც არსებული სიტუაცია უფრო დაძაბა. ბათუმი თბილისს პირდაპირ დაეჯახა. ყანდიაშვილის შეკითხვას, — ხარაზი ხომ არ ცრუობსო, ასლან აბაშიძემ უპასუხა — „გამორიცხულია“. ავადმყოფობის მერე მიცემულ პირველ ინტერვიუში აბაშიძემ აღნიშნა, რომ მას ზურაბ ჟვანიასთან ყოველთვის თბილი დამოკიდებულება ჰქონდა და რომ გადატრიალება აჭარაში მას უნდა აძლევდეს ხელს, ვისაც უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობა ელანდებაო. ნეტავ, ვინ იგულისხმა ბატონმა ასლანმა — ედვარდ სურმანიძე თუ როსტომ დოლიძე?

# რუსებს ტექნიკა გააქვთ

გასულ კვირას, ელიაზე დისლოცირებულ ქართულ-რუსულ სამხედრო ნაწილებს შორის ინციდენტი მოხდა. საარტილერიო ბრიგადის ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებით, ქართველ ჯარისკაცთა ათეულს რუსი სამხედროების მიერ სარემონტო ბაზიდან გატანილი ტვირთი უნდა შეემოწმებინა. რუსმა ჯარისკაცებმა უარი განაცხადეს. ათმეთაური მძღოლს მოკვლით დაემუქრა, თუმცა, ინციდენტი შეიარაღებულ შეტაკებაში არ გადაზრდილა. სიტუაცია თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა განმუხტეს.

ცნობისათვის: ქართულ-რუსულ სამხედრო ნაწილებს ერთი კედელი ჰყოფს. კედლის იქით რუსეთის თავდაცვის სამინისტროს 47-ე სარემონტო ბაზის ტერიტორიაა, კედლის აქეთ — საარტილერიო ბრიგადის. არტილერისტთა შტაბ-ბინიდან ხელისგულივით მოჩანან რუსი ჯარისკაცები, რომლებიც ბაზიდან იარაღსა და საბრძოლო ტექნიკას ეზიდებიან. პროცესმა პიკს რუსი გენერლების თბილისური ვიზიტის დასრულების შემდეგ მიაღწია, საფიქრებელია, ვიზიტის დროს მიღებული გადაწყვეტილების გამო. შეგახსენებთ: გადაწყვეტილება ჩვენს ტერიტორიაზე განლაგებულ რუსულ სამხედრო ობიექტებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიაკუთვნებს. საარტილერიო ბრიგადის მფლობელობაში გადადის სარემონტო ბაზაც. რუსებმა დროის მოგება სცადეს,



ქართველებმა — პერსპექტივაში მინიჭებული უფლებით სარგებლობა, რამაც ინციდენტი წარმოშვა.

17 ოქტომბერს რუსული სამხედრო ნაწილის მახლობლად ქართველ ჯარისკაცთა ათეული განლაგდა. ფუნქციების განაწილება ვერც მოასწრეს, ჭიშკარს სარემონტო ბაზის მხრიდან გაურკვეველი რაოდენობისა და სახეობის ტვირთით სავსე მანქანა მიადგა. ჯარისკაცები გადაეღობნენ. მძღოლი არ დაემორჩილა. ატყდა ჩოჩქოლი, რომელიც ქართულ-რუსული შენაერთების ხელმძღვანელობის ჩარევისთანავე, ათიოდე წუთში ჩაცხრა. დადგინდა: ათეული კვლავ ბრიგადის დისლოკაციის ადგილს დაუბრუნდეს; ქართულმა მხარემ ტვირთის კონტროლზე პრეტენზია არ განაცხადოს, ოფიციალურად გაფორმებულ დოკუმენტს დაელოდოს, რომელიც რუსულ სამხედრო ობიექტებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაუქვემდებარებს.

ეს, ქართველი ჯარისკაცების აზრით, მორიგი მარცხი, უკანდახევაა, რადგან საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ობიექტები, შესაძლოა, იარაღისა და ტექნიკისაგან პირწმინდად დაიცალოს, ხოლო ქართულ არმიას გაპარტახებული ტერიტორიაღა შერჩეს.

*საკუთარი ინფორმაცია*

ფირმა «თემიდა»
გთავაზობთ ყველაზე იაფად და უმოკლეს ვადაში
საწარმოების დოკუმენტაციის მომზადებას, ფირმების რეგისტრაციას, აუდიტორულ მომსახურებას და იურიდიულ კონსულტაციას.
თბილისი, ვაჩნაძის 9, მთაწმინდის რნ-ის სასამართლოს შენობა, მე-3 სართ.
ტელ: 99-83-27

# მასხულიას რეაბილიტაციას, შესაძლოა, იოსელიანის კარიერა შეეწიროს

ყოფილი მხედრიონელისა და ბიზნესმენის თემურ მასხულიას გათავისუფლების სენსაციურმა ცნობამ ქვეყანა მოიარა. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ფაქტმა, რომ მასხულიას ბრალდებები არ დაუდასტურდა. იგი რეაბილიტირებულია. სანაცვლოდ, საფრთხე ემუქრება უშიშროების სამსახურის მაღალჩინოსნის ავთანდილ იოსელიანის პრესტიჟსა და კარიერას. მას რუსეთის რეზიდენტობაში მხილებული მასხულია გაცილებით უფრო სოლიდური ორგანიზაციის — ცსს-ს აგენტობის ბრალდებით უპირისპირდება. თავის მხრივ, იოსელიანი არ ხსნის ბრალდებებს მასხულიასადმი და საზოგადოებაზე შთაბეჭდილების მოხდენას



ვიდეოფირით ცდილობს, რომელზეც მასხულია-იოსელიანის შეხვედრაა აღბეჭდილი. შეხვედრა ყოფილი მხედრიონელის დაკავებამდე ერთი კვირით ადრე შედგა.

სადაზვერვო სამსახურის შეფის განმარტებით, ბიზნესმენი საკუთარი ნებით გამოცხადდა უშიშროების სამინისტროში რუსეთის დაზვერვასთან თანამშრომლობის შესახებ აღიარებითი ჩვენებების მისაცემად.

მასხულია შეხვედრის ინიციატორად იოსელიანს ასახელებს და მომხდარს საქართველოს ნავთობპროდუქტების ბაზარზე ატეხილ ბენზინის ბუმთან აკავშირებს. ცნობისათვის: იგი საშუამავლო ფირმა „მედუზას“ საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა მენეჯერი იყო. ფირმა შავი ზღვის აუზის ქვეყნებიდან ჩამოტანილი საქონლის, უპირველესად, ბენზინის ჩამოცლა-დატვირთვასა და ფოთის პორტიდან დანიშნულების ადგილამდე გადაზიდვას აკონტროლებდა. სერიოზულ კონკურენციას უწევდა გავლენიან ფინანსურ წრეებს, რომელთაც ყურადღება ადგილმდებარეობის თვალსაზრისით გამორჩეული სომხეთისაკენ მიეპყროთ. აფხაზეთისა და აზერბაიჯანის მხრიდან ჩაკეტილი სომხეთის ბაზრისაკენ ერთადერთი სავაჭრო გზა საქართველოზე, კერძოდ, ფოთზე გადიოდა.

გავლენიანმა ფინანსურმა წრეებმა სარეალიზაციო არხის განწენდა სცადეს. მათ მიერ ბრძოლის მეთოდად არჩეულმა დემპინგურმა ფასებმა 1996 წლის აპრილ-მაისში ბიზნესმენთა უზარმაზარი ნაკადი გარიყა ნავთობპროდუქტების ბაზრიდან. „მედუზამ“ დემპინგს გაუძლო. მას კანონის სახელით დაუპირისპირდნენ. 8 ივნისს მასხულია დააკავეს. 15-ში დიდი რაოდენობით ბენზინი შემოზიდეს და ფასები დასცეს. ბენზინგასამართი სადგურების უმრავლესობა გაუქმდა. „მედუზა“ ოფიციალურად არ დაულუქავთ. მას ბეჭედი და დოკუმენტაცია ჩამოართვეს, რის შედეგადაც საბანკო ოპერაციების წარმოება შეწყდა. ფირმა გაკოტრდა, ხოლო გათავისუფლებული სარეალიზაციო არხი მარშრუტზე: თურქეთი- საქართველო-სომხეთი სხვა კომერციულმა სტრუქტურამ დაიკავა. სტრუქტურისა და უშიშროების სამსახურის თანამშრომელთა ინტერესების თანხვედრამ მონოპოლიის მოსურნე ფინანსური დაჯგუფება სერიოზული კონკურენტისგან იხსნა.



მასხულიას დაპატიმრების საბაბი, მისი განმარტებით, უშიშროების მინისტრის მაშინდელი მოადგილის ავთანდილ იოსელიანის მიერ შეთავაზებულ თანამშრომლობაზე უარის თქმა აღმოჩნდა („იოსელიანმა „კრიშობა“ შემომთავაზა, მე უარი ვუთხარი“). ფირმის მენეჯერი 1996 წლის 8 ივნისს რუსეთის სადაზვერვო სამმართველოს აგენტობაში ამხილეს. ამიერკავკასიის ჯარების დაჯგუფების დაზვერვის შეფ მარუსინთან და რუსეთის ფედერალური სამსახურის თანამშრომელ ნიკიტინთან ურთიერთობა გაუხსენეს. ნივთმტკიცების სახით, დაზვერვის განვითარების კონცეფციის ჩანაწერიანი დისკეტიც აღმოუჩინეს, რომელიც, ოფიციალური ვერსიის თანახმად, მასხულიამ უშიშროების სამსახურიდან მოიპარა. ჟურნალისტ აკაკი მიქაძის მტკიცებით კი, დოკუმენტი ელდარ გოგოლაძემ შექმნა.

დღეს ბრალდებების დიდი ნაწილი გაქარწყლებულია. ჩანს, მასხულიას ბედი პოლიტიკური ამინდის შესაბამისად შეიცვალა. მოხსნეს კვირაია, გაათავისუფლეს ელდარ გოგოლაძე, აღმკვეთი ღონისძიება თავდებობით შეუცვალეს თემურ მასხულიასაც. წინ სამსჯავრო ძიებაა, მაგრამ „მედუზას“ მენეჯერს არ ელოდება გასამართლება 29 აგვისტოს ტერაქტში მონაწილეობისა და უცხოეთის აგენტურასთან თანამშრომლობის ბრალდებებით. რჩება მხოლოდ საიდუმლო დისკეტის უკანონო გზით მოპოვება და იარაღის უნებართვოდ ტარება, რაც ძველ სამხილებთან შედარებით, ზღვაში წვეთია.

*შორენა ლებანიძე*

*რედაქციაში წერილი მოვიდა*

## ვთხოვ ყველას, უწინარესად ედუარდ შევარდნაძეს — მაღირსეთ ქართველობა!

პატივცემულო რედაქცია!



მინდა ჩემი გასაჭირი გაგიზიაროთ და დახმარება გთხოვოთ.

მე გახლავართ გიორგი მაღლაკელიძე, ქართველი. დავიბადე თურქეთში, ართვინის ვილაიეთის ბორჩხის რაიონში, სადაც მოსახლეობის 90% ქართველია. ჩემი თავდაპირველი გვარი და სახელი გახლდათ ფათიჰ ჩევიქი, მაგრამ სისხლით და ხორცით ქართველი ვიყავი და ვარ. ჩემი წინაპარი — ქეშელაშვილი — მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში გადასახლებულა ართვინში, რომელიც მაშინ საქართველოს ეკუთვნოდა. ჩემი საგვარეულო და ოჯახი კასპის რაიონის სოფელ წინარეხიდან ვართ, სადაც დღემდე ბევრი ნათესავი მყავს.

მიუხედავად იმისა, რომ თურქულ გარემოში გავიზარდე, მუდამ „ვგურჯობდი“. ქრისტიანულად მოვინათლე კიდეც და 1991 წლის 14 სექტემბერს საქართველოს მოვაშურე — ქართველს საქართველოში ცხოვრება მსურდა!

ძალიან დამეხმარა კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია II, საპატრიარქოს შენობაში მომიჩინა ბინა, მისი შემწეობით შევისწავლე მშობლიური ენა და უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე ჩავირიცხე.

მინდა ჩემი ქვეყნის — საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე გავხდე. ამიტომ განცხადებით მივმართე შესაბამის ინსტანციებს. სამწუხაროდ და საუბედუროდ, უარი მივიღე — ჩვენი კონსტიტუციით, ორმაგი მოქალაქეობის უფლება არა გაქვსო. არადა, თურქეთი თავის მოქალაქეობას არ მიხსნის.

კეთილი ადამიანების წყალობით, ტელევიზიაში ვმუშაობ. აქ გავიცანი ჩემი მომავალი მეუღლე, მაია მაღლაკელიძე; ახლა გვყავს 4 თვის ვაჟი, გიორგი.

ცხადია, ჩემი ნამდვილი გვარის დაბრუნებაზე ოცნებაც შეუძლებელი იყო, ამიტომ, ქორწინებისას მეუღლის გვარი მივიღე.

პირადობის დამადასტურებელი არანაირი საბუთი არ გამაჩნია. რადგან ჩემს თურქულ პასპორტს ვადა გაუვიდა (თან დავკარგე), 29 წლის კაცი სტუდბილეთით ვსარგებლობ.

თბილისის გარდა, მეშინია სხვა ქალაქსა და რაიონში წასვლა. მე მინდა სტატუსი, ბოლოს და ბოლოს, „ვილაცა“ ხომ უნდა ვიყო? ზოგიერთი „კეთილმოსურნე“ იმასაც კი მეუბნება, რად გინდა საბუთი, ისე იცხოვრეო(!). კი მაგრამ, იქნებ არჩევნებში ხმის მიცემა მინდა, ან სამხედრო სამსახურში შესვლა?

უმორჩილესად ვთხოვ ყველას, ვისაც ეს საქმე ეხება, ყურადღება მიაქციონ, რათა გიორგი ქეშელაშვილი-მაღლაკელიძე საქართველოს რესპუბლიკის სრულუფლებიანი მოქალაქე გახდეს. ასიათასობით ქართველი წავიდა უცხოეთში, მე კი ჩემს სამშობლოში დამკვიდრების გზებს ვეძებ! ჩემი პატარა ვაჟიშვილის სახელითაც ვთხოვ ყველას და უწინარესად, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს — **მაღირსეთ ქართველობა!**

## უცხოეთის საელჩოების თანამშრომლებმა გაძარცვეს მთელი საქართველო

***გურამ შარაძე:*** გიორგის განცხადებები საქართველოს მოქალაქეობის მიღების შესახებ, გვაქვს მე, ბატონ რომან მიმინოშვილსა და ქალბატონ ელენე თევდორაძეს, რათა დასკვნა წარვადგინოთ ამ თხოვნაზე. ასეთი შემთხვევა პირველი არ გახლავთ. მსგავსი თხოვნით სხვებიც მოგვმართავენ, განსაკუთრებით, ისრაელში წასული და უკან, საქართველოში დაბრუნებული მოქალაქეები, მაგრამ ჩვენ გვაქვს ცალსახად ერთმნიშვნელოვანი პოზიცია: ორმაგი მოქალაქეობა საქართველოში აკრძალულია... ის ფაქტი, რომ ქართველ კაცს, ისტორიული ბედუკუღმართობის გამო, არა აქვს თავისი ისტორიული გვარი და ეროვნება ოფიციალურად აღდგენილი და დაფიქსირებული პასპორტში, თავისთავად მძიმეა, მაგრამ მოსაწონია იმ მხრივ, რომ ამ მოქალაქეებს სურთ დაიბრუნონ გვარიც და ეროვნებაც.

მისასალმებელია ბატონ ჩევიქის ქართველობაზე თავდადება, მაგრამ ჩვენ მას ვურჩიეთ უკვე, ისევე როგორც ისრაელიდან ჩამოსულ მოქალაქეებს, მიემართათ თურქეთისა და ისრაელის საელჩოებისათვის.

ჩვენი კანონის თანახმად, იმ პიროვნებამ, რომელსაც საქართველოს მოქალაქეობა სურს, უარი უნდა თქვას სხვა ქვეყნის მოქალაქეობაზე, რომლის მოქალაქეც არის იგი ამჟამად. სხვათა შორის, ჩვენ არ ვიყენებთ საქართველოში აკრედიტებულ უცხოეთის ქვეყნების საელჩოებს, უფრო სწორად, ჩვენს სახელმწიფოს მათ თვალში სათანადო ავტორიტეტი არა აქვს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ეს საელჩოები და ელჩები ისე გვამადლიან თავიანთ თავს, თითქოს ჩვენ რაიმეთი დავალებულნი ვიყოთ მათ წინაშე. ისინი იმიტომ არიან აქ, რომ აქვე, ადგილზე მოაგვარონ წამოჭრილი პრობლემები. მე პასუხს ვაგებ თითოეულ ჩემს სიტყვაზე და გთხოვთ, ეს დაბეჭდოთ თქვენს გაზეთში: მე ვლაპარაკობ საქართველოს პარლამენტისა და პირადად ჩემი სახელით და ვაფრთხილებ საქართველოში აკრედიტებულ უცხოეთის ქვეყნების საელჩოებს — ნუ უყურებენ საქართველოს სახელმწიფოს ზემოდან და ალმაცერად, შეასრულონ თავიანთი მოვალეობები, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ბევრ მათგანს გამოვაცხადებთ პერსონა ნონ გრატად! რა შეიძლება დაერქვას, მაგალითად, საქართველოში გერმანიის საელჩოს კონსულის საქციელს, რომელმაც უარი უთხრა აჭარის სახელმწიფო ცეკვის ანსამბლს ტრანზიტის ვიზის გაცემაზე, როცა ეს ანსამბლი ფრანკფურტის გავლით ესპანეთში მიდიოდა გასტროლებზე. ანსამბლს ესპანეთიდან ფაქსით ჰქონდა მიღებული მიწვევა, გერმანიის საელჩოს კონსულმა კი გაბედა და თქვა: ქართველები სანდო ხალხი არა ხართ, ამ ფაქსს ვერ ვენდობი, წადით და მოწვევის ორიგინალები ჩამომიტანეთო(!), ე.ი. ბათუმიდან ესპანეთში უნდა წასულიყვნენ ორიგინალის ჩამოსატანად, შემდეგ მიეტანათ იგი ქალბატონი კონსულისათვის და შემდეგ წასულიყვნენ ესპანეთში. ვთქვათ, ანსამბლი უშუალოდ გერმანიაში რომ ყოფილიყო ჩასასვლელი კონცერტებით, გასაგებია ამგვარი სიფრთხილე, რადგან კონსული პასუხს აგებს საკუთარი სახელმწიფოს წინაშე, მაგრამ იმის გამო, რომ ფრანკფურტი სატრანზიტო აეროპორტია, ამისთვის ესპანეთში უნდა გავგზავნოთ ფაქსის „ორიგინალების“ ჩამოსატანად? აი, ეს არის შეურაცხყოფა საქართველოსა და ქართველი ხალხისა.

— ***როგორ დამთავრდა ეს ამბავი?***

— დავურეკე გერმანიის საელჩოს და ველაპარაკე ელჩის მდივანს ქალბატონ ნინო ჟღენტს, რომელსაც ვუთხარი: გადაეცით ქალბატონ კონსულს, რომ გამოვაცხადებთ პერსონა ნონ გრატად ქართველი ერის შეურაცხყოფისა და თავისი უფლება-მოვალეობის გადამეტებისათვის-მეთქი. სხვათა შორის, იმასაც მოგახსენებთ და გთხოვთ, ესეც დაწეროთ, რომ თავად ქალბატონი ნინო ჟღენტიც, არც წინა ელჩის დროს და არც ახლა, საქართველოს ინტერესების დამცველი არ არის გერმანიის საელჩოში. ის კარგი ცხოვრებისათვის მუშაობს საელჩოში და ძალიან კარგად მოერგო გერმანიასა და არა საქართველოს. ამიტომ, მე ასევე უნდობლობას ვუცხადებ ნინო ჟღენტს, რომელიც არასოდეს არ იცავს საქართველოს ინტერესებს და, შესაბამისად, გერმანიის საელჩოს თანამშრომლები ისე იქცევიან, როგორც ჯუნგლებში.

ასევე, ისრაელის საელჩოს ვუთხარი პირდაპირ: „რატომ არღვევთ ადამიანის უფლებებს, — ადამიანმა თვითონ აირჩიოს თავისი საცხოვრებელი ადგილი?“ და, როგორც იქნა, მივაღწიეთ ამ საელჩოსთან იმას, რომ საქართველოდან წასული ის ებრაელი მოქალაქეები, რომლებსაც აღარ სურთ ისრაელში ცხოვრება, დაბრუნდებიან უკან.

თურქეთის საელჩოს ვუცხადებ პროტესტს და მოვითხოვ, რომ დააკმაყოფილოს ადამიანის თხოვნა (გიორგის ვგულისხმობ) და მოგვწერონ პასუხი: „რატომ არ აძლევენ თურქეთის მოქალაქეობიდან მოხსნის უფლებას, ან თუ არ აძლევენ, რატომ, რა მიზეზით?“ იქნება აქვთ თურქებს რაღაც ისეთი ცნობები ამ კაცზე, რომლის თანახმადაც იგი არ გამოგვადგება ჩვენ? მაგრამ, გვითხრან პასუხი. სხვას რას აკეთებენ?.. და გთხოვთ, ესეც დაწეროთ: **საქართველოში აკრედიტებული უცხოეთის ქვეყნების საელჩოთა თანამშრომლების უმრავლესობა დაკავებულია ბიზნესითა და საქართველოდან სამუზეუმო და ანტიკვარული ძეგლების გატანით. ისინი სარგებლობენ ქართველი ხალხის, ინტელიგენციის გაჭირვებით, სილატაკით და კაპიკების ფასად იძენენ უძვირფასესს სამუზეუმო, ისტორიული ღირებულების ძეგლებს და გააქვთ საქართველოს გარეთ. ამასთან, სარგებლობენ დიპლომატიური სტატუსით და საბაჟო უკონტროლობით, რის შედეგადაც გაძარცვეს მთელი საქართველო! სადამდე და როდემდე უნდა ვითმინოთ ეს ამბავი და მათი საქციელი?**

ისევ ჩევიქის შემთხვევას დავუბრუნდები და როგორც საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენელი და მიგრაციისა და უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეების საქმეთა კომიტეტის ხელმძღვანელი, რომელსაც ევალება ამ საქმის გარკვევა (და თქვენს გაზეთში ჩემი განცხადების გამოქვეყნების შემდეგ, გაუგზავნეთ იგი თურქეთის საელჩოს), პროტესტს ვუცხადებ ბატონ ოქიაიუზს და მოვითხოვ მისგან პასუხს: რატომ არ უხსნის თურქეთის ხელისუფლება მოქალაქეობას ბატონ ჩევიქს?

— ***გმადლობთ.***

*ზურაბ მჭედლიშვილი*

## კანონს საკუთარ სავარძელს მოარგებენ?!

**მიმდინარე სასესიო კვირის მანძილზე პარლამენტმა სამივე მოსმენით უნდა მიიღოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტი**

მართალია, პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის დავა რეფორმატორთა პროექტის განხილვის ფონზე მიმდინარეობს, მაგრამ პოზიციათა იდეური გამიჯვნის მიღმა პრივილეგიებისათვის ბრძოლა იმალება. **ბრძოლის პრინციპის თანახმად — „იმარჯვებს ის, ვის ხელშიც არის გამოძიება“** — უპირატესობა სამინისტროს მხარეზე იყო. დღეს ძალთა თანაფარდობა პროკურატურის სასარგებლოდ იცვლება. თარგამაძის უწყება ბალანსის დარღვევას რეფორმატორებს მიაწერს, ლოგიკით: სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტი აშკარად სიმპათიურად არის განწყობილი პროკურატურის მიმართ და არ სწყალობს შინაგან საქმეთა სამინისტროს. პროკურატურა პრივილეგირებულია, ხოლო სამინისტრო — სამართალდამცავ ორგანოთა უფუნქციო დანამატი. ფუნქციებში, უპირველესად, გამოძიებაზე კონტროლი იგულისხმება. კონტროლის არსის გამოსახატავად კონსტიტუცია გვთავაზობს ტერმინს „ზედამხედველობა“, რომელსაც პროექტი „პროცესუალურ ხელმძღვანელობასთან“ აიგივებს. ამდენად, თუ კონსტიტუცია პროკურატურას ზედამხედველობის პრეროგატივას ართმევს, ხოლო პროექტი პროცესუალური ხელმძღვანელობის უფლებას ანიჭებს, ოპონენტების მტკიცებით, ორ საკანონმდებლო აქტს შორის შეუსაბამობასთან გვაქვს საქმე. პროექტის ავტორები შეუსაბამობას გამორიცხავენ, რადგან: „პროცესუალური ხელმძღვანელობა სისხლის სამართლის დევნის შემადგენელი ნაწილია. კონსტიტუცია კი პროკურატურის უფლებებს დევნის სფეროზეც განავრცობს,“ — განმარტავს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე გია მეფარიშვილი.

უმთავრესი ბრალდება დევნის ცნებას უკავშირდება. განმარტებაზე უკვე შეთანხმდნენ. ახლა უწყებათა შორის კომპეტენციის განაწილების საკითხია გასარკვევი, ანუ ვინ უნდა აღძრას სისხლის სამართლის საქმე, ვინ შეადგინოს დასკვნა, ვინ დაესწროს დაკითხვებს და ა.შ.

პროექტის ავტორები უპირატესობას პროკურორს ანიჭებენ, ოპონენტები — გამომძიებელს. ერთნი არგუმენტად სხვადასხვა უწყების წარმომადგენელთა ფუნქციების მკვეთრ გამიჯვნას ასახელებენ, მეორენი — გამომძიებლის რეაბილიტაციას. შესაბამისად, ერთ შემთხვევაში, მოკვლევა გამომძიებელს ევალება, დასკვნის გამოტანა — პროკურორს, მეორე შემთხვევაში, ერთიცა და მეორეც — გამომძიებელს, მოტივით: ბრალდების წაყენების უფლება საქმის მომკვლევს, მტკიცებულობების შემკრებს, ანუ დანაშაულსა და დამნაშავესთან ყველაზე ახლოს მყოფ პიროვნებას აქვს. მამხილებლის მისიის ჩამორთმევა მას პროკურორის თანაშემწედ, ტექნიკურ მუშაკად აქცევს, რეფორმატორთა აზრით კი, პირიქით, ე.წ. საბრალდებო გადახრისგან (მრავალუფლებიანობისაგან) იხსნის.

**იდეური შეურიგებლობა „რევოლუციურ დოკუმენტთან“ სახეზეა, სახეზეა ფაქტიც, რომ პროკურატურა და შინაგან საქმეთა სამინისტრო იდეებზე მეტად ერთმანეთს გავლენის სფეროს გამო ედავებიან. სამინისტროს სურს, შეინარჩუნოს, ხოლო პროკურატურას — მოიპოვოს პრეროგატივა ინსტანციათა ჯაჭვის ყველაზე შემოსავლიან რგოლზე, რომელსაც გამოძიება ჰქვია. გამოძიებისათვის ბრძოლა პირველობისათვის ბრძოლას ნიშნავს. მასში თითოეულ მხარეს საკუთარი ინტერესები აქვს.** რეფორმატორთა ინტერესები უწყებათა ურთიერთდაქვემდებარებით შემოიფარგლება: გამომძიებელი სისხლის სამართლის საქმის აღძვრისათვის ნებართვას პროკურორისაგან, ხოლო პროკურორი — მოსამართლისაგან ითხოვს. იკვრება ჯაჭვი, რომელშიც შედარებით იოლია ადამიანის უფლებების დაცვა.

ოპონენტები ურთიერთკონტროლის მექანიზმის ნაცვლად ქაოსს პროგნოზირებენ. პროგნოზს ცალკეული მუხლებისადმი გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები უდევს საფუძვლად.

კრიტიკა არც სასამართლო ხელისუფლების სფეროს ასცდა. პროექტის მიხედვით, თუ პროკურორი სამსჯავრო ძიების პროცესში ბრალდებას მოხსნის, მოსამართლეს არა აქვს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის უფლება.

დაპირისპირებული მხარე დებულების მიღმა პროკურატურის ნების უძლეველობას ხედავს. არ გამორიცხავს, რომ მართლმსაჯულების აღსრულებაში, შესაძლოა, კვლავ გამეორდეს სახელმწიფო ბრალმდებლის უხეში ჩარევის პრეცენდენტი, სასამართლოს უზენაესობა კი დაემსგავსოს ფიქციას. აბსოლუტურად საპირისპირო აზრის მქონე რეფორმატორები, პროექტის მეშვეობით, ე.წ. ინკვიზიციური პროცესის წინააღმდეგ ილაშქრებენ და ახალი ტიპის სასამართლოს გვთავაზობენ, სადაც მოსამართლე სამსჯავრო ძიების წარმმართველი ფიგურა კი არა, მსაჯი (Судья), არბიტრია. **იგი არ კამათობს, მხოლოდ უსმენს. არეგულირებს მხარეების ურთიერთობას და სულ ბოლოს, ბრალდებისა და დაცვის პოზიციების შეჯამების შემდეგ, განაჩენის სახით გამოხატავს საკუთარ აზრს, განახორციელებს მართლმსაჯულებას.** ძიება მხარეების (ბრალდება და დაცვა) პრეროგატივაა, საქმის გადაწყვეტა და საბოლოო სიტყვის თქმა — მოსამართლისა.

პოზიციები გამოკვეთილია. ერთ მხარეს არის პროკურატურა, მეორე მხარეს — შინაგან საქმეთა სამინისტრო; ერთ მხარეს — მოსამართლეთა ძველი, მეორე მხარეს — ახალი კორპუსი; ერთ მხარეს — რეფორმატორთა, მეორე მხარეს — პროფესორთა ჭარმაგი თაობა, რომელიც კანონშემოქმედებს ქართული მეცნიერული აზრის უგულებელყოფას სწამებს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კრიმინალისტიკის კათედრის გამგე აპოლონ ფალიაშვილი იგონებს დროს, როდესაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაქმნელად სახელმწიფო კომისია ჩამოაყალიბეს და მის ხელმძღვანელად დანიშნეს. 1994 წლის ბოლოს, პროექტის ზოგადი ნაწილი იუსტიციის სამინისტროს გადასცეს, მაგრამ იგი არავის განუხილავს, რამდენიმე თვეში ხელუხლებლად დააბრუნეს უკან. სანაცვლოდ, რუს მეცნიერს იგორ პეტრუხინს შესთავაზეს პროექტის შექმნა. პეტრუხინმა კანონი დაწერა, რაშიც, თურმე, გარკვეული თანხა მიიღო. ამ ფაქტს პროექტის ქართველი თანაავტორებიც არ უარყოფენ. ასეა თუ ისე, მეცნიერთა ჭარმაგი თაობა პროექტს „რუსულ დოკუმენტს“ უწოდებს და კანონშემოქმედებაში ქართველთა მონაწილეობას კატეგორიულად გამორიცხავს. პროექტის თანაავტორის გია მეფარიშვილის განმარტებით, იგორ პეტრუხინმა, იუსტიციის მინისტრის გადაწყვეტილების საფუძველზე, შექმნა პროექტის კარკასი, რომელსაც შემდგომ ქართველმა მეცნიერებმა ხორცი შეასხეს.

საზოგადოების ნაწილი კოდექსის გარშემო ატეხილ აჟიოტაჟს თაობათა შორის ბრძოლასთან, რეფორმატორთა და კონსერვატორთა მარადიულ ქიშპთან აიგივებს, რომელმაც პროექტის გამოქვეყნების დღიდან (1997 წლის 4 სექტემბერი) სამართალდამცავი ორგანოების ყველა ინსტანცია მოიარა, ამჟამად კი პარლამენტში გადაინაცვლა. პროექტის ბედს მიმდინარე სასესიო კვირა გადაწყვეტს. პარლამენტმა სამივე მოსმენით უნდა მიიღოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტი (ცნობისათვის: დოკუმენტი 687 მუხლს მოიცავს და მასზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. კერძოდ, ფუნქციების გადანაწილება ძალოვან სტრუქტურებს შორის; ახალი ტიპის სასამართლოს მოდელის შექმნა; სამართალდამცავი ორგანოებისა და სასამართლო ხელისუფლების ურთიერთდამოკიდებულება; დემოკრატიულობის ხარისხი და ა.შ).

დასკვნის სახით კი დავძენთ, რომ ოპონენტები გულისწყრომას პათეტიკური ფრაზით გამოხატავენ: არ შეიძლება ადამიანმა კანონი საკუთარ სავარძელს მოარგოს. პროექტის ავტორები კი მიიჩნევენ, რომ მათ კანონი ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმს მოარგეს.

*შორენა ლებანიძე*

*(„რუსთავი-2“)*


პოლიგრაფიული მასალები

ქაღალდი

☎ 98-74-44

33-78-07

საგაზეთო — სიგანე 60; 84სმ, სიმკვრივე 45; 49 გრ/მ²

ოფსეტური — სიგანე 60; 84სმ, სიმკვრივე 65; 120 გრ/მ²

ცარცის (LEIKAM) — ფორმატი 64X90, 70X100, სიმკვრივე 80-დან 250 გრ/მ²

საწერი და საბეჭდი

მინიმალური რაოდენობა 10 შეკვრა

I ხარისხის (ქსეროქსის), ფორმატი A4, შეკვრაში 200 ფურცელი - 2,3 ლ

II ხარისხის, ფორმატი A4, შეკვრაში 250 ფურცელი - 1,5 ლ

აგრეთვე: საღებავები

ოფსეტური, უნგრული, ტრიადა

# უამრავ შამპანურს სვამენ, მერე იწყებენ სროლას...

ვაშინგტონელ ბიზნესმენს ელიზაბეთ პესკელს მობეზრდა ერთფეროვანი ცხოვრება. ამიტომ, 1992 წელს, ჩაალაგა ბარგი და თბილისში ჩამოვიდა. ის აქ მოგზაურობის და საქმის დაწყების სურვილმა ჩამოიყვანა და ორივე იპოვა. 1994 წელს თბილისში, ერთ-ერთ წყნარ ქუჩაზე, გახსნა პატარა და მყუდრო „ბეტსის სასტუმრო“ და ანტიკვარიატით, ხელით ნაქსოვი ხალიჩებით, ნახატებითა და თანამედროვე ავეჯით მორთო. მალე ქვეყანაში, რომელშიც 1991 წლის სამოქალაქო ომის შემდეგ სრული განუკითხაობა სუფევდა, ეს თხუთმეტადგილიანი სასტუმრო უცხოელი მოგზაურებით, დიპლომატებით, ბიზნესმენებით, მსახიობებით გაივსო.



„ნიუზუიქს“ კორესპონდენტი ელიზაბეთს შეხვდა და ესაუბრა.

— **როგორი იყო პირველი შთაბეჭდილება, როდესაც საქართველოში ჩამოხვედით?**

— ყველაფერი დანგრეული იყო. ყველგან დალეწილი მანქანები ეყარა, არ იყო სურსათისა და ტანსაცმლის მაღაზიები: ქუჩაში 6 სთ-ის მერე გასვლა სახიფათო იყო, თანაც საგანგებო ნებართვის გარეშე გარეთ ვერ გახვიდოდი. არაფერი კონტროლდებოდა. ჩემამდე აქ იყო ავსტრიელების მიერ აშენებული სასტუმრო „მეტეხი“. მის მმართველებს საქმის წარმართვა უჭირდათ, ამიტომ სასტუმროს დაცვისათვის, ბანდიტ-ყაჩაღთა ლიდერის, ჯაბა იოსელიანის ხალხი იქირავეს, რომლებიც თანდათანობით სასტუმროს დაეპატრონნენ. ფოიეში კალაშნიკოვის ავტომატებით დასეირნობდნენ. სასტუმროში შესულ მოწინაალმდეგეებს ცემდნენ, ძარცვავდნენ და გარეთ ყრიდნენ. შარშანდლამდეც კი ეკიდა ნიშანი, რომელიც სასტუმროში ცეცხლსასროლი იარაღით შესვლას კრძალავდა, მაგრამ ქართველები ამგვარ წესებს არ დაგიდევენ. ისინი უამრავ შამპანურს სვამენ, მერე იწყებენ სროლას — არავინ უწყის, თუ საით გაფრინდება როყიო ტყვია. აშშ-ის საელჩომ მთხოვა, მომეძებნა ადგილი, სადაც ხალხის დაბინავებას შევძლებდი და ბედად, ეს ადგილი ქირავდებოდა.

— **ქართველები კარგად შეგხვდნენ?**

— თავდაპირველად, სუკმა მითხრა — ჩვენ გვაქვს ფოტოები, რომელზედაც აღბეჭდილია მეძავები, რომლებიც თქვენს სასტუმროში ღამის 2-3 საათზე მოდიანო. ყოველთვის პირველ სართულზე მეძინა და ვიცი, მსგავსი რამ არასოდეს მომხდარა. ეს კი სერიოზული ბრალდებაა, რასაც ბიზნესის ჩაშლა შეუძლია. თანაც ეს სურათები არასდროს მინახავს.

— **რატომ დაინტერესდნენ?**

— ეს, ალბათ, მაშინდელი სიტუაციით იყო გამოწვეული. ზოგიერთს დღესაც კი ჰგონია, რომ აქ **ცსს** შტაბ-ბინაა და, თქვენ წარმოიდგინეთ, **სუკისაც**. და ყოველ სართულზე მოსასმენი აპარატურაა დამონტაჟებული.

— **ვინ ჩერდება თქვენთან?**

— სტუმრობდა ექვსი ამერიკელი კონგრესმენი, ის იაპონელი ბიჭიც კი, სამი წელი მოტოციკლით რომ მოგზაურობს მსოფლიოს გარშემო, ფრანგმა მსახიობმა პიერ რიშარმაც ჩვენთან სადილობა არჩია.

— **ქართველები დღეს კეთილი თვალით გიყურებენ?**

— დღეს მეტი მუშაობის საშუალებას მაძლევენ. მართალია, ჩემი ბიზნესი მცირეა, მაგრამ დედაქალაქისათვის მნიშვნელოვანია. ჩვენ ბევრ ბიზნესმენს ვმასპინძლობთ საქართველოს სამინისტროების თხოვნით, მივიღეთ უამრავი რეკომენდაცია უცხოეთის საელჩოებიდან. ეტყობა, ჩემი საქმიანობა მოსწონთ და ხელსაც მიწყობენ. ალბათ, უფრო ძნელი იქნება 40-ოთახიანი სასტუმროს პატრონობა, მაგრამ მაინც ვგეგმავ...

— **გენატრებათ სამშობლო?**

— რა თქმა უნდა.

— **რის გაკეთებას აპირებთ?**

— იდეალური იქნებოდა, რომ მქონდეს სასტუმრო შავი ზღვის სანაპიროზე, ბაქოში „აბრეშუმის გზის“ მარშრუტზე. აქ უამრავი შესაძლებლობაა ბიზნესისათვის. ვერ უარვყოფ, რომ აქ ყოფნა ძალიან თავისებური და საინტერესოა.

*ნიუზუიქი, 27 ოქტომბერი*

# დაინახავს კი შევარდნაძე თავისი ჯარისკაცების პრობლემებს?

ჩვენს პრესაში ბევრი დაიწერა იმ ქართველი ჯარისკაცების შესახებ, რომელთაც დაუსვეს დიაგნოზი — რადიაციული დასხივება. სამხედრო პროკურატურამ საქმე აღძრა სასამართლოში, რადიაქტიული ნივთიერების გამოყენებისა და შენახვის წესების დარღვევის გამო. საიდან აქვთ ქართველ მესაზღვრეებს ეს რადიაქტიული ნივთიერებანი? 1992 წლამდე იმ ტერიტორიაზე ინახებოდა ჯერ კიდევ საბჭოეთის დროიდან რამდენიმე რადიაქტიული კონტეინერი. საქმე ის არის, რომ ხელმძღვანელობას აზრადაც არ მოსვლია ფიზიკურად და რადიოლოგიურად გამოეკვლიათ „ფეთქებადი“ ადგილი. საქართველოს ჯარში დღესაც იღუპება ახალგაზრდობა, არის თვითმკვლელობის ფაქტები. ამას წინათ, ერთმა ჩოხატაურელმა ჯარისკაცმა ვენები გადაიჭრა და მერე ავტომატით მოისწრაფა სიცოცხლე. მეორემ, ჯარში აუტანელი პირობების გამო, მდინარეში თავი დაიხრჩო. ერთ-ერთი სამხედრო მოსამსახურე გაიქცა და შინ მისულმა თავი მოიკლა. ტრაგედიების მიზეზია ხელმძღვანელობის მიერ შეურაცხყოფა, ცემა, გაუპატიურება, და ა.შ. დღეს საქართველოში დეზერტირთა რიცხვი დღითიდღე იზრდება. ამის მიზეზია ცუდი კვება, საყაზარმო უწესრიგობა, საშინელი ყოფითი პირობები, არა აქვთ ჩასაცმელიც. რაც მთავარია, თავდაცვის სამინისტრო არ არის დაინტერესებული „ნაგვის შინიდან გატანით“.

*პრავდა-5 №154*

# ს. კოვალიოვმა კრასნოდარის ხელისუფლება დაადანაშაულა



სამართალდამცველმა სერგეი კოვალიოვმა კრასნოდარის მხარის ხელმძღვანელობა იძულებითი მიგრანტების — თურქ მესხების მიმართ აღმაშფოთებელ დამოკიდებულებაში დაადანაშაულა. მოსკოვში გამართულ პრეს-კონფერენციაზე მან თქვა: ამ რეგიონში განხორციელებული ეროვნული პოლიტიკა მხოლოდ ცუდის მომტანია, გუბერნატორმა ნ. კონდრატენკომ აშკარად გამოაცხადა, — ეს მხარე მხოლოდ რუსების და კაზაკების არისო. კონფერენციაზე მყოფმა ცენტრ „მემორიალის“ ხელმძღვანელმა ოსიპოვმა, უზბეკეთში 1996 წლის ტრაგიკული მოვლენის შემდეგ კრასნოდარის მხარეში გადმოსახლებული თურქ-მესხებისათვის განსაკუთრებული რეჟიმის შემოღებას, გენოციდის აქტი უწოდა.

*რია-ნოვოსტი*

# გოჩა ბექაურის „შეცდომები“

31 წლის გოჩა ბექაურს ექიმები გულს, ჩვეულებისამებრ, იქ უსინჯავდნენ, სადაც უნდა ყოფილიყო, მაგრამ... გული, თურმე, მარჯვნივ ჰქონია. არც ღვიძლი და ნაღვლის ბუშტი აღმოაჩნდა თავის ადგილას (მარჯვენა მხარეს). მართლაც სენსაციური შემთხვევაა, თანაც იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ექიმებმა გოჩას 33 სახის დაავადება აღმოუჩინეს და მხოლოდ 33 წლამდე სიცოცხლე უწინასწარმეტყველეს.

ექიმებს მშობლებისთვის უთხოვიათ, — ამ ბავშვს დიდი დღე მაინც არ უწერია და საექსპერიმენტოდ დაგვიტოვეთო, მაგრამ ცივი უარი მიუღიათ. დედ-მამას ჩვილი სამშობიაროდან მოუტაციათ.

გოჩა ბუნებით ოპტიმისტია, მიუხედავად ამდენი ანომალიისა, თავს მშვენივრად გრძნობს, ჰყავს ოჯახი, 11 წლის ვაჟი. ამას წინათ, მისით ამერიკელი და ჰოლანდიელი მეცნიერები დაინტერესდნენ. გოჩა იმასთან დადებს ხელშეკრულებას, ვინც მეტს გადაუხდის...

*კომსომოლსკაია პრავდა №192*

## დაიჯესტი

# რამდენი უმუშევარია საქართველოში?!

პასუხობს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების მინისტრის პირველი მოადგილე ბატონი **გიორგი კალანდაძე**.

— **რამდენი შრომისუნარიანი მოქალაქეა აღრიცხული საქართველოში?**

— დაუზუსტებელი მონაცემებით, სამ მილიონამდე.

— **მათგან რამდენია დასაქმებული?**

— ორი მილიონი.

— **დასაქმებულთა რამდენი პროცენტია კერძო სტრუქტურებში?**

— 62-ია კერძო სტრუქტურებში, დანარჩენი კი — სახელმწიფო სტრუქტურებში.

— **მეეზოვეები, მენაყინეები და გაზეთების გამყიდველები კერძო სტრუქტურებში ითვლებიან?**

— დიახ.

— **ოფიციალურად რამდენი უმუშევარია საქართველოში?**

— აღრიცხულია 150.000, ისე გაცილებით მეტი იქნება!

— **თქვენი სამინისტრო თუ სთავაზობს ვაკანტურ ადგილებს?**

— დიახ, ვაკანსიები ქვეყნდება ჩვენს გაზეთში „სოციალური მაცნე“, მაგრამ, ძირითადად, მუშები და გამყიდველები სჭირდებათ. მალე პარლამენტი განიხილავს დასაქმების კანონს. ასე რომ, ნელ-ნელა მოგვარდება პრობლემა.

**მინისტრის მოადგილის ოპტიმიზმმა ცოტა დამაეჭვა და უნებურად ვთქვი: საიდან გაქვთ ასეთი საიმედო მონაცემები, როცა ყოველი მეორე ადამიანი უმუშევარია?**

— საიდან იცით? — კითხვა შემიბრუნა ბატონმა გიორგიმ.

— **მაგალითად, ჩემი მეზობლები, ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდები, ამაოდ ეძებენ სამსახურს.**

— არ ვიცი, ჩემი მეზობლები ყველანი მუშაობენ! — ნიშნის მოგებით მიპასუხა მინისტრის მოადგილემ.

*იბერია-სპექტრი №238*

## პატივცემულო რედაქცია!

ამას წინათ საქართველოს ტელევიზიის პირველ არხთან გამართულ ინტერვიუში აზერბაიჯანის საერთაშორისო კომპანიის პრეზიდენტმა ბ-მა ტერი ადამსმა განაცხადა, რომ ე.წ. დასავლეთის მარშრუტით საქართველო დღე-ღამეში გაატარებს 800 ბარელ ნავთობს და ამ ტრანზიტის საფასურად ერთ ბარელში მიიღებს 17 ცენტს. ამ ინფორმაციამ, ცოტა არ იყოს, გაგვაოცა: აქ ან თარგმანს ახლდა ტექნიკური წუნი, ან, მეტი რომ არა ვთქვათ, რამე სხვა გაუგებრობას აქვს ადგილი. ცნობილია, რომ, ვინაიდან საქართველო ნავთობსადენის მშენებლობის ფინანსირებაში ვერ მონაწილეობს, ნავთობის ტრანზიტის ტარიფი მისთვის ასეთი დაბალია. და თუ ამ გარემოებას დაემატა მილების გამტარუნარიანობის სიმცირე — ჩვენი დიდი იმედები ამ ნავთობსადენზე არ უნდა იყოს გამართლებული, რადგან უბრალო გაანგარიშებაც გვიჩვენებს, რომ საქართველოს ამ საქმეში ერგება წელიწადში მხოლოდ 48.400 ამერიკული დოლარი... მერწმუნეთ, ასე არ უნდა იყოს, თორემ ღირდა კი „ჩიტი ბდღვნად“?!.. ეს თანხა ხომ ჩვენი ორი მილიარდი ვალის პროცენტებსაც ვერ დაფარავს?!.. ეს აშკარა შეცდომა (თუ დეზინფორმაცია?) მოჰყვა ბ-ნ ტერი ადამსის თბილისში ჩამოსვლის დაყოვნებას და იმას, რომ ამ იძულებითმა დაგვიანებამ (როგორც გამოირკვა, მისი ავადმყოფობის გამო) გამოიწვია როგორც თბილისის, ასევე მოსკოვის გარკვეულ წრეებში, სხვადასხვა სახის ვნებათაღელვა...

პრესაში ბევრჯერ დაიწერა, რომ დასავლეთის მარშრუტის ნავთობსადენმა (ისევე, როგორც მისმა ჩრდილოეთის ალტერნატიულმა ვარიანტმა) უნდა გაატაროს წელიწადში 5,0 მლნ. ტონა ადრეული ნავთობი. ამ სიმძლავრეზეა გათვალისწინებული მშენებარე სუფსის ტერმინალიც. 5,0 მლნ. ტონა — ესაა დაახლოებით 36,8 მლნ. ბარელი ნავთობი წელიწადში და მის საფასურად საქართველომ ზემოხსენებული დაბალი ტარიფის მიხედვით, უნდა მიიღოს არა 48,4 ათასი, არამედ 6,25 მლნ. ამერიკული დოლარი! ღმერთმა გვისმინოს და, თუ ყველაფერი წესიერად წარიმართა, ჩვენ ნავთობსადენის 8 წლის ექსპლოატაციის შემდეგ გვერგება 1 ბარელი ნავთობის ტრანზიტში არა 17 ცენტი, არამედ უკვე ორ დოლარზე მეტი. გამოდის, ამ ნავთობსადენიდან საქართველო 2007 წლიდან მოყოლებული (ე.ი. იმ დროიდან, როცა დადგება ჩვენი დიდი ვალების თანდათან დაბრუნების ვადა) მიიღებს წელიწადში არანაკლებ 73 მლნ. დოლარს. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ არსებობს ამ ნავთობსადენის გამტარიანობის გაზრდის გეგმა, ქვეყნის შემოსავალი ბევრად უფრო დიდი იქნება. გვჯერა, რომ დადებითად გადაწყდება ნავთობსადენის კიდევ ერთი, სრულებით ახალი მარშრუტის მშენებლობის გეგმა თურქეთის პორტ ჯეიჰანამდე. ეს იქნება საქართველოსთვის არა მარტო უფრო დიდი მოგების მომტანი, არამედ ეკოლოგიურად ბევრად უფრო გამოსადეგი და მასშტაბური პროექტი. ასე რომ, ოპტიმიზმისათვის გლობალური საფუძვლები გაგვაჩნია!

*მურმან ნაყოფია, საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.*

# გოგოებო, «პადზემკებს» გულგრილად ნუ ჩაუვლით!



ქუჩაში გიტარით ხელში მდგარი მუსიკოსი რამდენიმე წლის წინ თბილისისთვის უცხო ხილი იყო და ასეთ ნაბიჯს ან ძალიან გაჭირვებულნი, ან ძალიან უკომპლექსონი თუ დგამდნენ, მაგრამ დღეს მიწისქვეშა გადასასვლელი — „პადზემკა“, თვალსა და ხელს შუა მუსიკალურ სკოლად ქცეულა. თანამედროვე ქართული მუსიკა „პადზემკებში“ იბადებაო, ვერ ვიტყვით, მაგრამ ბევრი ღარიბი დამწყები მუსიკოსისთვის ქუჩა, თავშესაფართან ერთად, ერთგვარი სკოლა მართლაც არის.

— მართალია, ფულსაც ვშოულობ, მაგრამ მხოლოდ ამის გულისთვის ნამდვილად არ დავუკრავდი. 18 წლის ვარ. 3 წელია, ქუჩაში ვუკრავ. მუსიკა აქ ვისწავლე.

— **თავიდან კომპლექსი არ გქონდა? მშობლები და ახლობლები როგორ ეგუებიან შენს ქუჩაში დგომას?**

— ქუჩა ჩემთვის უცხო ხილი არასოდეს ყოფილა, მაგრამ შეგუება მაინც გამიჭირდა. ჩვენი თაობა ბევრად უფრო უკომპლექსო და თავისუფალია. რა მნიშვნელობა აქვს ფილარმონიაში დავუკრავ თუ „პადზემკაში“, მსმენელი ხომ ერთი და იგივეა. ამ სამ წელში მუსიკაც ვისწავლე და ცხოვრებაც. მინდა, პროფესიონალი მუსიკოსი გავხდე, ამისთვის კი სხვა საშუალება არა მაქვს. მშობლებიც უკვე შეგუებულნი არიან. — აჩიკო ციმაკურიძე, PINK FLOYD-ის უდიდესი თაყვანისმცემელი.

— თუ გინდა რომ პროფესიონალი გახდე, აქ დგომა საკმარისი არ არის. „SOFT EJECT“-ი და „ZUMBA LEND“-ი ქართულ როკ-ჯგუფთაგან ყველაზე პოპულარულია, რადგან ისინი „პადზემკიდან“ უკვე ამოვიდნენ, მაგრამ გვყავს მათზე არანაკლები ჯგუფებიც, რომელნიც არ ჩანან, მათ ჩვენს გარდა არავინ იცნობს (ზაზა, რომელსაც ძალიან უყვარს „ZUMBA LEND“-ი, ქართული ხალხური მუსიკა, 20 წლისაა და ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მე-3 კურსზე სწავლობს, თუმცა გიტარა ყველაფერს ურჩევნია, წერს სიმღერებს, როცა ძალიან ცუდ ხასიათზეა, მაგრამ უკრავს და მღერის განწყობის მიუხედავად.

„10 წელია ქუჩაში ვუკრავ... მაგრამ ერთი ამ გოგოებს ჰკითხეთ, რატომ არ თხოვდებიან, ნახეთ, რა ბიჭები ვართ, დაკვრაც ვიცით და სიმღერაც, ფულიც გვაქვს (გიტარის წინ გაფენილ ჩანთაზე, ბედად, ლარიანი ვარდება), ისინი კი აქეთაც არ იყურებიან“ (უკვე „ძველი“ ჭაღარაშერეული გიტარისტი ღიმილით შეჰყურებს კიბეებზე ამვლელ-ჩამვლელ გოგოებს).

ეს ბიჭები უკვე პროფესიონალები არიან, თუმცა ერთი ძალიან მწყინს, ქართული მუსიკისადმი ნაკლებ ინტერესს იჩენენ. დღეს თანამედროვე ქართული მუსიკა თითქმის მკვდარია. ესტრადაზე ლაპარაკი საერთოდ არ ღირს. ჩვენს ახალგაზრდა მუსიკოსებს ნამდვილად შესწევთ ძალა, თანამედროვე ქართული მუსიკა შექმნან, ოღონდ მათთვის ხელშეწყობა და „პადზემკიდან“ ამოყვანაა საჭირო, თუმცა იმედია, ეს დროც დადგება.

*კავკასიონი №184*

# თბილისის წყალი არ მოგწამლავთ

„თბილისის მოსახლეობას წყლით მოწამვლის საშიშროება არ ემუქრება. მე მინდა ეს გაიგოს დედაქალაქის ყველა მოქალაქემ. ბოლო დროს გავრცელებული ხმები, თითქოს ჟინვალ-თბილისის კოლექტორის დაზიანების გამო საკანალიზაციო წყლები ჩაედინება არაგვის აუზში, სიმართლეს არ შეეფერება“. — განაცხადა „თბილწყალკანალის“ გენერალურმა დირექტორმა იუზა ცარციძემ. მისი თქმით, დედაქალაქის წყლით მომარაგება მთლიანად არაგვის წყალზეა დამოკიდებული, მაგრამ არაგვის აუზი კი, რომელიც სანიტარულ ზონად იქცევა, უზრუნველყოფილია შესაბამისი სანიტარული და ეკოლოგიური პირობებით, ამასთანავე, არაგვის აუზი თბილისამდე მოწმდება 450 დამახასიათებელ ადგილზე, სადაც ბაქტერიოლოგიური მაჩვენებლების შემოწმებით კონტროლდება წყლის ხარისხი“, — აცხადებს გენერალური დირექტორი და ბოლო პერიოდში წყლის ხარისხიანობის შესახებ ატეხილ ხმაურს უკავშირებს იმ ქარხნების პროდუქციის რეალიზაციის კრიზისს, რომლებიც ბუნებრივ წყალს ბოთლებით ჰყიდიან. იგი ურჩევს თბილისელებს არ აყვნენ პანიკას და გააგრძელონ ბუნებრივი წყლის ონკანებიდან მოხმარება, რომლის ბაქტერიოლოგიური მაჩვენებლები სავსებით შეესაბამება სახელმწიფო სტანდარტებს.

*საქართველო №104*

## შემთხვევითობის მსხვერპლი



ფრანც ფუჩსი ნამდვილად უიღბლო ტერორისტია. ავსტრიის პოლიციამ ის სრულიად შემთხვევით დააკავა. პოლიცია ციხიდან გაქცეულ პატიმარს ეძებდა და გზა გადაკეტეს. ყველა მანქანას აჩერებდნენ, ფუჩსიც გააჩერეს. მას საბუთებიც კი არ მოსთხოვეს — ძებნილისგან ხომ ის მართლაც განსხვავდებოდა — ძებნილი შავკანიანი გახლდათ. ფუჩსი დაიბნა, ეგონა, მიჭერენო და პოლიციას თვითნაკეთი ბომბი ესროლა. ორი მათგანი დაიჭრა. უიღბლო ტერორისტი შეიპყრეს. ფუჩსის ბინაში ნამდვილი არსენალი აღმოაჩინეს. მან აღიარა, რომ მისი მოწყობილია ავსტრიაში 1993-96 წლებში მომხდარი აფეთქებები, რომლებსაც ოთხი ბოშა შეეწირა. ფუჩსი „ბავარიის თავისუფლების არმიის" წევრი ყოფილა. ეს პარტია მცირერიცხოვანი ტერორისტული დაჯგუფებაა, რომლის მთავარი მიზანი ავსტრიის ეროვნულ უმცირესობათაგან სრული განწმენდაა.

*ნიუზუიქ, 20 ოქტომბერი*

## ჩვენი პლანეტის ყველაზე პატარა სახელმწიფო

მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე ახალი სახელმწიფო ჩნდება, იგი ჩვენს პლანეტაზე ყველაზე პატარა იქნება. კარიბის კუნძულ ნევისის ხუთივე კანონმდებელმა ხმა მისცა ფედერაციიდან გამოსვლას, რომელშიც ისინი სენტ-კიტსის კუნძულთან ერთად შედიოდნენ. ეს იყო ნევისის სუვერენული სახელმწიფოს ასაღიარებლად გადადგმული პირველი ნაბიჯი, შემდეგი იქნება რეფერენდუმი, რომელზეც გადამწყვეტ სიტყვას იტყვის კუნძულზე რეგისტრირებული 5 ათასი მოქალაქე.

*იტარ-ტასი*

## მარკესმა შუამავლობა იკისრა

კოლუმბიაში რამდენიმე წელია, გრძელდება პარტიზანული ომი. მან უკვე ასი ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. საკითხის მშვიდობიანი გზით მოგვარების მცდელობას, ამ ხნის განმავლობაში, შედეგი არ მოუტანია. ამჟამად მოლაპარაკების ჩატარების ინიციატივა კოლუმბიის პრეზიდენტობის კანდიდატმა ხუან მანუელ სანტოსმა აიღო და შუაკაცობა ცნობილ კოლუმბიელ მწერალს გაბრიელ მარკესს სთხოვა, იგი სამშობლოში უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს. მარკესმა განაცხადა, რომ ყველა ღონეს იხმარს, რათა მოლაპარაკების მაგიდასთან დასვას ორივე მხარე — ხელისუფლებაც და პარტიზანული რაზმების მეთაურებიც, რადგან ყველამ საკმარისად იწვნია ამ დაუნდობელი ომის შედეგები.

*კომერსანტ დეილი №225*

## სინგაპური რუსეთის „ნემსზეა"

სინგაპურმა რუსეთისაგან გადასატანი — საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი „იგლა" შეიძინა. ეს პირველი (და, ალბათ, არა უკანასკნელი) შემთხვევაა, როცა სინგაპური რუსეთისაგან იარაღს იძენს. რუსეთი დიდ ძალისხმევას იჩენს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის იარაღის ბაზრის ასათვისებლად. სულ ახლახან უახლესი რუსული გამანადგურებლები ინდონეზიაშიც იყიდა.

ლონდონის სტრატეგიული გამოკვლევის ინსტრუქციის მონაცემების თანახმად, იარაღით მსოფლიო ვაჭრობაში რუსეთის წილმა უკვე 10%-ს გადააჭარბა. ახლა ბაზარზე ლიდერობს ამერიკა (40%) და დიდი ბრიტანეთი (20%).

*სეგოდნია №226*

## ელისაბედ II ყოფილ კოლონიებს ეწვია



ინგლისის დედოფალი ელისაბედ II 36 წლის მანძილზე პირველად ეწვია ინგლისის ყოფილ კოლონიებს. ინდოეთმა და პაკისტანმა თავიანთი დამოუკიდებლობის 50 წლისთავი აღნიშნეს. დედოფალმა თითოეულ ქვეყანაში ექვს-ექვსი დღე დაჰყო. ვიზიტს ერთგულების ელფერი აკლდა, სამივე მხარე ორაზროვან განცხადებებს აკეთებდა.

პაკისტანის პარლამენტში გამოსვლისას დედოფალმა აღნიშნა, „ქაშმირის საკითხი" მოუგვარებელიაო, რამაც დელი ძალიან აღაშფოთა, — ეს საკითხი მხოლოდ ორი მხარის განსახილველია და მესამის ჩარევა დაუშვებელიაო. „სიტყვით ბრძოლა" გაცხარდა: პაკისტანის პრემიერმა საპასუხო გამოსვლაში „ქაშმირის საკითხთან" დაკავშირებით, ყველა ცოდვა ინდოეთს გადააბრალა. დედოფალს ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ინდოეთში ვიზიტის დროს განუმარტა, რომ არასოდეს გამოუთქვამს ისეთი რამ, რაც ზიანს მიაყენებდა რომელიმე მხარეს.

დედოფლის ვიზიტი პაკისტანში სიტყვიერი სკანდალით დასრულდა. ინდოეთის „პატრიოტ-ნაციონალისტებმა" მოითხოვეს, ელისაბედ II-ს ბოდიში მოეხადა ბრიტანეთის კოლონიური ჯარის უხამსობის გამო. და საერთოდ, დედოფლის ვიზიტის გადადებაც სურდათ. მეომარმა სიქჰებმა განაცხადეს, — ინგლისმა დაგვიბრუნოს დედოფალ ვიქტორიას მიერ წართმეული განძიო.

*ნეზავისიმაია გაზეტა №196*

## პლანეტის მაჯისცემა



**ისრაელი.** კანადის ელჩი დევიდ ბერგერი ისრაელში დაბრუნდა მას შემდეგ, რაც ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მას ოფიციალურად მოუბოდიშა. საქმე ის არის, რომ „მოსადის" ორმა აგენტმა კანადის პასპორტები გამოიყენა. ისრაელმა განაცხადა, რომ მსგავსი ინციდენტი აღარ განმეორდება.

**კუვეიტი.** „შერიგების" წლისთავზე ჩრდილო ერაყში კვლავ განახლდა საომარი ოპერაციები ქურთისტანის დემოკრატიულ პარტიასა და პატრიოტული კავშირის რაზმებს შორის.

**მაინის-ფრანკფურტი.** გაიხსნა წიგნის 49-ე საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობა. მასში მონაწილეობს მთელი პლანეტის 10 ათასი გამომცემლობა, წარმოდგენილია 310 ათასი წიგნი.

**ვატიკანი.** ვატიკანმა გამოუშვა ლათინური ენის ახალი, 15 ათასი ნეოლოგიზმით გამდიდრებული ლექსიკონი. ლექსიკონში შეტანილია სიტყვები: „ვიდეოკასეტა", „შამპუნი", „ვისკი", „ფლეიბოი", „სტრიპტიზი" და სხვ. ლექსიკონზე 8 წელიწადი მუშაობდნენ რომის პაპის მრჩევლის, მსოფლიოში მთავარი ლათინისტის, აბატ კარლო ეგერას ხელმძღვანელობით.

**ბოსნია.** სერბეთის რესპუბლიკის ჩრდილო-დასავლეთით ააფეთქეს რადიოსა და ტელევიზიის რეტრანსლატორი, რომლის საშუალებითაც ხდებოდა გადაცემა ქალაქ ბანია-ლუკაში, სადაც არის პრეზიდენტ ბილიანა პლავშიჩის შტაბ-ბინა. ვარაუდობენ, რომ ტერორისტული აქტი ერთგვარი შურისძიება იყო პრეზიდენტის მოწინააღმდეგე ბოსნიელი სერბებისა ნატოს მიმართ.

**ლონდონი.** ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა გერმანიის კანცლერს აცნობა, რომ დიდი ბრიტანეთი წინააღმდეგია ერთიანი ევროვალუტის მიღებისა.

**შვეიცარია.** ბერლინის პოლიციამ დააპატიმრა „საუკუნის ძარცვაში" მონაწილე, მთავარი ეჭვმიტანილი ჰასან ელ ბასტი. ბანდიტებმა ციურიხის საფოსტო განყოფილებიდან ტომრებით გაიტანეს 53 მილიონი შვეიცარიული ფრანკი. პოლიციამ მაშინვე დააკავა 15 დამნაშავე და 4 ორგანიზატორი, დაიბრუნეს ნაძარცვი ფულის ნახევარიც. ახლა ბერლინში დაკავებულია ბანდის მეთაური, რომელსაც ყალბი იტალიური პასპორტი აღმოაჩნდა.

## „კლასიკური ანტისემიტი"



ასეთი ტიტული მიაკუთვნა მალაიზიის პრემიერ-მინისტრ მაჰატჰირ მოჰამადს ლოს-ანჯელესში მდებარე სიმონ ვიზენტალის ცენტრმა, რომელიც მსოფლიოს ქვეყნებში ანტისემიტიზმის გამოვლენის ფაქტებს აგროვებს. მოჰამადი „ჩავარდა" განცხადებით, რომელშიც ნათქვამი იყო, მალაიზიის ეროვნული ვალუტის კრიზისი „ებრაელთა საერთაშორისო წრეების" მიერ იყო პროვოცირებულიო. „კლასიკური ანტისემიტი" კი მას იმიტომ უწოდეს, რომ მოჰამადი ადრე თავისი ხელისუფლების ყველა პრობლემაში ერთ ებრაელს — სოროსს ადანაშაულებდა, ახლა კი ებრაელთა მსოფლიო შეთქმულებაზე ლაპარაკობს, რომლის მიზანია მალაიზიისათვის ვალუტის ჩამორთმევა, რაც თავისთავად სუვერენიტეტის გაუქმებას ნიშნავს.

მალაიზიის პრემიერმა მაშინვე უარყო ნათქვამი, სამაგიეროდ, ვიზენტალის ცენტრის წარმომადგენლები ისევ თავის ნათქვამზე დგანან — მოჰამადი კლასიკური ანტისემიტიაო.

*კომერსანტი №38*

## ბუკინგემის სასახლეს ზანგი იცავს



ეს გაბედული სარეკლამო ნაბიჯი ბრიტანელმა სამხედროებმა იმიტომ გადადგეს, რომ დაემტკიცებინათ — შეიარაღებულ ძალებში ფერადი ინგლისელების რაოდენობას 7%-მდე გავზრდითო. ეს ის დონეა, რომელიც ბრიტანულ საზოგადოებაში ეთნიკურ უმცირესობას უჭირავს. შავკანიან გვარდიელთან დაკავშირებულმა აქციამ სათავე დაუდო ფერადკანიანი მოქალაქეების დიდი ბრიტანეთის შეიარაღებულ ძალებში ჩართვის ფართომასშტაბიან კამპანიას. კამპანიის სიმბოლო გახდა ყველა ბრიტანელისათვის პირველი მსოფლიო ომის პერიოდიდან ცნობილი პლაკატი. ერთიც არის, რომ იმპერიის პერიოდის ეროვნული გმირის — ფელდმარშალ კიტჩენერის პორტრეტი კაპიტან ფელიქს დეტსონის (ფოტოზე) გამოსახულებამ შეცვალა.

*კომერსანტი №38*

## ისრაელის ისტორიაში ყველაზე დიდი შეცდომა



დასავლეთის პრესამ იორდანიაში ისრაელის სპეცსამსახურის აგენტების ჩავარდნას, რაც ტერორისტული ჯგუფის „ჰამასის" ერთ-ერთ ლიდერზე თავდასხმის მომზადების დროს მოხდა, უდიდესი შეცდომა უწოდა. ისრაელს აღარაფერი დარჩენოდა იმის გარდა, რომ თავისი აგენტები ციხეში მჯდომ „ჰამასის" თავკაცზე გაეცვალა. პოლიტიკური შედეგებიც სახეზეა. არაბულ ქვეყნებს შორის იორდანია ყველაზე ნაკლებ მტრულად იყო განწყობილი ისრაელის მიმართ, ახლა კი იორდანია იქით კარნახობს შერიგების პირობებს.

*კომერსანტი №37*

## პოლიტიკოსს სიფრთხილე მართებს



მექსიკის გაზეთ „მილენიოსათვის" მიცემულ ინტერვიუში კანადის ელჩმა მექსიკაში თქვა, — ქვეყანაში ვერ აღმოიფხვრა კორუფცია და ნარკომანიასაც ბოლო ვერ მოეღოო. მექსიკელი პოლიტიკოსები რომ მექრთამეები არიან და ნარკოტიკებით ვაჭრობაც ძველებურად ყვავის, ყველამ იცის, მაგრამ მექსიკელებს არ სიამოვნებთ, როცა უცხოელი პოლიტიკოსები მათ პრობლემებს განიხილავენ. კანადის ელჩის ბედი გაზეთის გამოსვლისთანავე გადაწყდა, იგი ახლა უკვე სამშობლოშია, მისი შემცვლელი, ალბათ, უფრო იფრთხილებს.

*კომერსანტი №37*

## პარტიული პრესა — ტუალეტის ქაღალდია?



ჩრდილო კორეელმა მუშებმა, რომლებიც კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში ბირთვული რეაქტორების მშენებლობაში არიან ჩართულნი, მუშაობა შეწყვიტეს. პროტესტის მიზეზი გახდა ის, რომ სამხრეთ კორეელი კოლეგა-მშენებლები პარტიულ პრესას ტუალეტის ქაღალდად იყენებდნენ. პოლიტიკური პროვოკატორების მხილება გაზეთის ნახევის საშუალებით გახდა შესაძლებელი — საპირფარეშოში კიმ ჩენ ირას ფოტოიანი ნახევარი იპოვეს. არავინ იცის, განრისხებული ჩრდილოელები რას უზამდნენ სამხრეთელ კოლეგებს, ამიტომაც, ისინი შენობაში გამოკეტეს და დაცვა დაუყენეს. გაფიცვა ორ დღე-ღამეს გრძელდებოდა, სამხრეთ კორეელებმა ფიცი დადეს, — არასოდეს ტუალეტის ქაღალდად აღარ გამოვიყენებთ პარტიულ პრესასო. რეაქტორის მშენებლობა განახლდა.

*კომერსანტი №37*

## პოლონეთს ახალი პრემიერ-მინისტრი ჰყავს

პოლონეთის პრემიერ-მინისტრად აირჩიეს 57 წლის ეჟი ბუზეკი. იგი ინჟინერ-ქიმიკოსია, დაამთავრა სილეზიის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, კარგად იცის ინგლისური და რუსული ენები. დღიდან შექმნისა, არის საზოგადოება „სოლიდარნოსტის" წევრი. ბოლო დროს იყო ABC-ის მთავარი ეკონომიკური მრჩეველი. სხვათა შორის, პრემიერ-მინისტრად არჩევის დღეს პოლონეთის პრეზიდენტს მისთვის პროფესორის დიპლომი უნდა გადაეცა. ბუზეკის ხელფასი 3800 ზლოტი იყო, ახლა კი (როგორც პროფესორს) 8600-მდე გაეზრდება. ეჟი ბუზეკი — მორწმუნეა. მეუღლეც ინჟინერ-ქიმიკოსი ჰყავს. ქალიშვილი თეატრალურ აკადემიაში სწავლობს. ოჯახის ყველა წევრს თავ-თავისი კატა ჰყავს (მიტია, მიდასი და ტოლსტი). ბუზეკს ახასიათებენ, როგორც კულტურულ ადამიანს, დისკუსიებში არ უყვარს თავის გამოჩენა. ძალიან უყვარს ლუდი. ცოლის აზრით, მისი ერთადერთი უარყოფითი მხარეა — შრომისმოყვარეობა, ხოლო შვილი ამბობს, — წუთში ათასი იდეა მოსდის თავშიო.

*იზვესტია №198*

## ბრაზილიას არ სურს ვაშინგტონის დროზე გადასვლა

თეთრი სახლის ოფიციოზის აზრით, აშშ-ის პრეზიდენტის ვიზიტი ბრაზილიაში იყო განცხადება იმისა, რომ ვაშინგტონი ბრაზილიას, ამ ლათინურ ამერიკულ გიგანტს, „სერიოზულად" ეპყრობა და თავის დიქტატს თავს არასოდეს მოახვევს.

ქლინთონი რიო-დე-ჟანეიროს სპორტულ კომპლექსში „ვილა-ოლიმპიკოში" გამოდიოდა. აშშ-ის საიდუმლო სპეცსამსახურისა და ამერიკის საკონსულოს თანამშრომლებმა შეამოწმეს ახლომდებარე შენობები, შეაჩერეს გამვლელი მატარებლები; ქვეყნის ხელისუფლებას მოსთხოვეს, ტყვიაგაუმტარი მინის ოთხმეტრიანი კედელი აღემართათ, რომელიც ოთხივე მხრიდან დაიცავდა ქლინთონს. სპორტკომპლექსი ორი დღით დაიხურა. დააყენეს მძიმე ტექნიკა, მატარებელთა მოძრაობა გადაიდო, უფრო მეტიც- მთელი ბრაზილია ვაშინგტონის დროზე უნდა გადასულიყო. ბრაზილიელების აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა. მით უმეტეს, ვიზიტის მიზანი იყო „ღარიბ ბრაზილიელებთან შეხვედრა". „თუ ქლინთონის ხალხი ამდენად არ გვენდობა, სულაც არ უნდა ჩამოსულიყო", — განაცხადა ერთ-ერთმა 75 წლის ქალმა. თვით ქლინთონმა მოიბოდიშა ბრაზილიელების წინაშე და ქვეშევრდომთა აქციას „უნდობლობა" კი არა, პრეზიდენტის მიმართ ამერიკელების მუდმივი ზრუნვა უწოდა. ამდენმა მოთხოვნებმა თეთრი სახლის საიდუმლო სპეცსამსახურის, ცოტა არ იყოს, „გადახრა" გამოავლინა. მეორე მხრივ, ნათლად გამოჩნდა, რომ ლათინური ამერიკა გამოდის აშშ-ის ქვეშევრდომობიდან, მას არ სურს, საათი ვაშინგტონის დროის მიხედვით შეამოწმოს. ბოლო წუთებში მდგომარეობის „გადასარჩენად" „ვილა-ოლიმპიკოს" სტადიონზე გამოვიდნენ ბრაზილიის ეროვნული გმირი — პელე და თვით ქლინთონი; მათ მონაწილეობა მიიღეს ახალბედა ბრაზილიელი ფეხბურთელების თამაშში. პრეზიდენტმა გოლიც კი გაიტანა...

მაგრამ ეს უშველის საქმეს?

*იზვესტია №199*

## დსთ-ის კვარტეტში სოლისტი სხვა იქნება



კიშინიოვში დსთ-ის ქვეყნების მეთაურთა სამიტამდე, რუსეთის, ბელორუსიის, ყაზახეთისა და ყირგიზეთის პრეზიდენტებმა კრემლში საბაჟო კავშირის წევრი ქვეყნების სახელმწიფოთაშორისო საბჭოს სხდომა გამართეს. შეხვედრა, ძირითადად, ინტეგრაციის გასაღრმავებლად, შარშან მარტში, ხელმოწერილი ხელშეკრულების რეალიზაციას ეხებოდა. ალექსანდრ ლუკაშენკოს იმედი ჰქონდა, თავის ყველა მოწინააღმდეგეს დაუმტკიცებდა, რომ მას და ბორის ელცინს კვლავაც გულთბილი დამოკიდებულება აქვთ, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ელცინი საპროტოკოლო ხელის ჩამორთმევით დაკმაყოფილდა, ლუკაშენკოს ხუმრობაზე ერთხელაც არ გაუღიმია. ყაზახეთის პრეზიდენტი ნურსულთან ნაზარბაევი სახელმწიფოთაშორისო საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე შეცვლის თავის ბელორუსიელ კოლეგას. სახელმწიფოთა მეთაურებმა დადებითად შეაფასეს პრეზიდენტ ემომალი რახმონოვის განცხადება საბაჟო კავშირში ტაჯიკეთის შესვლაზე.

*სეგოდნია №232*

## პრეზიდენტებმა დსთ-ის მომავალი განიხილეს

დსთ-ის ქვეყნების მეთაურთა კიშინიოვის სამიტის შედეგების მიხედვით, ძნელი სათქმელია, აღდგება თუ არა ერთმანეთის მიმართ გაგულგრილებული ქვეყნების ურთიერთობა და ჩაითვლება თუ არა ეს სამიტი მნიშვნელოვან მოვლენად თანამეგობრობის ისტორიაში. დღის წესრიგის მიხედვით, ყველა პუნქტი შესრულებულია, ხელი მოეწერა მრავალ დოკუმენტს. სამიტზე მნიშვნელოვანი იყო ეგრეთ წოდებული კონფლიქტური სიტუაციების კომიტეტის შექმნის იდეა, რომლის მთავარი ინიციატორი რუსეთი გახლავთ. დსთ-ის ქვეყნების ლიდერებს შორის მოლაპარაკებები მეტად დაძაბულად მიმდინარეობდა. ჰეიდარ ალიევს დსთ-ის კონფლიქტური სიტუაციების კომისიის შექმნა აზერბაიჯანისათვის მიზანშეუწონლად მიაჩნია, რადგან მისთვის უფრო ხელსაყრელია ეუთოსა და გაეროსთან საქმის დაჭერა. ამ აზრისაა ტაჯიკეთის პრეზიდენტი — ემომალი რახმონოვიც. საქართველოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ დსთ-ის სახელმწიფოთა ლიდერებს შეახსენა დაპირება აფხაზეთში რუსეთის სამშვიდობო ძალებისათვის მანდატის შეცვლის შესახებ, მაგრამ სამშვიდობო ძალების გაყვანის საკითხი არ წამოუჭრია.

მომავალი კომიტეტის ქმედითუნარიანობის მიმართ, დსთ-ის საგარეო საქმეთა მინისტრები სკეპტიკურად განეწყვნენ, მაგრამ ამის გამო კონფლიქტი არ დაწყებულა და აზრთა გაზიარების შემდეგ, შეთანხმდნენ, რომ საკითხი „დამუშავებას“ მოითხოვს.

დნესტრისპირეთის ლიდერს კი დსთ-ში შესვლაზე უარი უთხრეს, — ელცინმა განაცხადა, მოლდავეთი ერთიანი, განუყოფელი უნდა იყოსო.

*იზვესტია №203*

## ყირიმში
## ისევ მოსკოვის დრო და რუსული ენა დაბრუნდება

ყირიმის უმაღლესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რესპუბლიკის ტერიტორიაზე ისევ მოსკოვის დროის შემოღებაზე. ამავე დროს, დეპუტატებმა რუსული ენა ნახევარკუნძულის ტერიტორიაზე განლაგებული სამთავრობო დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების სამუშაო ენად აღიარეს.

ყირიმის მთავრობის გადაწყვეტილებით, ნახევარკუნძული შარშან გაზაფხულზე კიევის დროზე გადავიდა. საკითხის განხილვისას დეპუტატები ერთხმად აღიარებდნენ გადაწყვეტილებას, მოსკოვის დროის დაბრუნებას პოლიტიკური კი არა, ეკონომიკური მოსაზრებით ვღებულობთო. უკრაინის იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელმა ყირიმის რესპუბლიკაში ს. სკისოვმა განაცხადა, რესპუბლიკის გადაწყვეტილება არ შეესაბამება უკრაინის მინისტრთა კაბინეტის მოქმედ სამართლებრივ აქტსო. თუ ყირიმის უმაღლესი საბჭო შესძლებს თავისი გადაწყვეტილების დაცვას, დეპუტატები პოლიტიკურ ქულებს ჩაიწერენ.

*სეგოდნია №226*

## კვირის ფრაზა

„გოსდუმის უაზრო კანონებით ისარგებლეს და რუსეთში რეგისტრაციაში გატარდა 7 ათასი სექტა, რელიგია, სწავლება, რომლებიც ჩათვალეთ, როგორც მართლმადიდებლობის წინააღმდეგ მიქსეული ქოფაკები“.

ვალენტინ რასპუტინი

## კონფლიქტი დუმა-მთავრობას შორის თებერვლის ყინვებამდე გადაიდო

როგორც მოსალოდნელი იყო, პარლამენტ-მთავრობის კრიზისი მშვიდობიანად გადაწყდა. ნიშნავს ეს იმას, რომ პოლიტიკურ ფრონტზე ყველა დაშოშმინდა? ალბათ, არა. სიტუაცია ყოველ წუთს შეიძლება დაიძაბოს, მაგრამ მთავრობა ამას მშვიდად უყურებს. „ასეთი მოქმედებით მდგომარეობიდან ვერ გამოგვიყვანენ“, — განაცხადა ჩერნომირდინის უახლოესმა თანამოაზრემ, მთავრობის აპარატის ხელმძღვანელმა ვ. ბაბიჩევმა, „კონფრონტაცია გაგრძელდება“, — კვერი დაუკრა ვიცე-პრემიერმა რ. აბდულატიპოვმა. „იზვესტიის“ შეკითხვას — დარჩებიან თუ არა თავიანთ სავარძლებში პრემიერ-მინისტრი და მისი პირველი მოადგილეები? — აბდულატიპოვმა უპასუხა: მთავრობამ დღეს თავისი პოზიციები მხოლოდ ბორის ელცინის წყალობით შეინარჩუნა. ვნახოთ, შემდეგ რა იქნებაო.

დუმელების აზრით, მორიგი პოლიტიკური აქტიურობის ტალღა, ალბათ, თებერვალში აგორდება. ვინ ვის აჯობებს — გოსდუმა მთავრობას თუ მთავრობა გოსდუმას, ძნელი სათქმელია.

*იზვესტია №202*

## აშშ-ში განიხილავენ რუსეთის თავდაცვის სტრატეგიას

„WASHINGTON TIMES“-ის კორესპონდენტის ცნობით, მას ხელთ ჩაუვარდა აშშ თავდაცვის სამინისტროს სრულიად გასაიდუმლოებული მოხსენების ასლი, რომელიც მომზადებულია აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, კანადისა და ავსტრალიის სადაზვერვო სამსახურების მონაცემების მიხედვით. მასში ნათქვამია, რომ რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გეგმით (იგი მიმდინარე წლის ბოლოს დამტკიცდება), ბირთვული იარაღი მიჩნეულია ძირითად საშუალებად მომავალ საბრძოლო კონფლიქტში. 2005 წლისათვის სამხედრო მოსამსახურეები 500-600 ათასით შემცირდებიან. რეფორმა არ შეეხება სამხედრო-საზღვაო და საჰაერო ძალებს. რუსეთი ორჯერ შეამცირებს მიწისზედა სამხედრო შეიარაღებას და ორიენტაციას ბირთვულ იარაღზე აიღებს.

*სეგოდნია №228*

## კვირის ფრაზა

აშშ-ის პრეზიდენტის ყოფილმა თანაშემწემ ბჟეზინსკიმ განაცხადა: მას შემდეგ, რაც კომუნიზმი დავამარცხეთ, ჩვენი უპირველესი მტერი — მართლმადიდებლობააო.

## ვ. ჩერნომირდინმა ინგუშები და ოსები ვერ მოარიგა





ინგუშეთისა და ჩრდილო ოსეთის პრეზიდენტებმა რ. აუშევმა და ა. გალაზოვმა, აგრეთვე პრემიერ-მინისტრმა ვ. ჩერნომირდინმა ხელი მოაწერეს პროგრამას რუსეთსა და ორი რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ერთობლივი მოქმედების შესახებ ოსეთ-ინგუშეთის კონფლიქტის შედეგების აღმოსაფხვრელად. როგორც მოგვიანებით გაირკვა, პროგრამაში არ არის ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტი, რომლის აუცილებლობაზე პრეზიდენტი ელცინი ჯერ კიდევ აგვისტოში ლაპარაკობდა. კერძოდ, რა არის ეს პუნქტი? ორივე რესპუბლიკამ 15-20 წლის განმავლობაში უარი უნდა თქვას ტერიტორიულ პრეტენზიებზე. თავის დროზე, ეს პუნქტი უნდა შესულიყო ადრე ხელმოწერილ შეთანხმებაში, მაშინ არ შევიდა, არც ახლა მოხდა ეს. ვერც რ. აბდულატიპოვმა, ვერც ვ. ჩერნომირდინმა ვერ დაიყაბულეს ა. გალაზოვი და რ. აუშევი ერთხელ და სამუდამოდ გადაეჭრათ სადავო პრიგოროდნის რაიონის პრობლემა.

*კომერსანტ დეილი №223*

## გუბერნატორი აიაცკოვი წმინდანი გახდა

დიმიტრი დონელის სახელობის ეკლესიით სარატოვის ოლქის სოფელ სტოლიპინოს მკვიდრნი გუბერნატორმა დმიტრი აიაცკოვმა რამდენიმე წლის წინათ გააბედნიერა, როცა ჯერ კიდევ არ იყო დიდი მოხელე. ეპარქიამ მაშინვე ეკლესიის მფარველის სახელი უბოძა. ტაძარი ახლახან, გუბერნიის 200 წლისთავთან დაკავშირებით მოხატეს და ღვთისმშობელ მარიამს გვერდით, როგორ ფიქრობთ, ვინ მიუხატეს? ვინ და, ახლანდელი გუბერნატორი აიაცკოვი, ტანთ ძვირფასი სამოსი აცვია, თავს ნიმბი უმშვენებს. ამბობენ, როცა ღვთისმშობლის გვერდით თავისთავი იხილა, არ შემცბარა, გახარებულიც კი იყოო. მართალია, რუსეთში არსებობდა ეკლესიის ამგების კედელზე გამოსახვის ტრადიცია, მაგრამ, შემწირველები იშვიათად თანხმდებოდნენ ასეთ დიდ პატივს, ეტყობა, ჩვენი წინაპრები თავმდაბალი ადამიანები იყვნენ.

*კომსომოლსკაია პრავდა №192*

## თათრეთს არ სურს ახალი რუსული პასპორტი

ყაზანში, თავისუფლების მოედანზე, ადგილობრივმა ნაციონალისტებმა რუსეთის ახალი პასპორტის მაკეტი დაწვეს. მაშინვე მცირე საპარლამენტო დეპუტაციამ სახელმწიფო საბჭოს შენობაში მიიღო დადგენილება, მოქალაქეებისათვის ახალი დოკუმენტის გაცემა შეეჩერებინათ. დეპუტატებს არ მოსწონთ პასპორტის ყდაზე გამოსახული ორთავიანი არწივი და, რაც მთავარია, მასში არ არის „ეროვნების“ მიმანიშნებელი გრაფა. ეს ფაქტი, ხალხის რჩეულთა აზრით, ეროვნულ თვითშეგნებას შეურაცხყოფს. საოცარია, მსოფლიოს ყველა ხალხი ოცნებობს ამ გრაფის ამოღებას. ბევრმა ამოიღო კიდეც. თათრეთის პარლამენტის სპიკერის, ვასილი ლიხაჩოვის აზრით, ახალი ტიპის პასპორტი ფორმითა და შინაარსით არ შეესაბამება თათრების შინაგან სამყაროს. რუსული პასპორტის ბედს თათრეთში ნოემბრის სახელმწიფო საბჭოს პლენარული სესია გადაწყვეტს.

*კომსომოლსკაია პრავდა №194*

## შაიმიევს კარგად ესმის, რა დღეშიცაა მასხადოვი



თათრეთის პრეზიდენტი მინტიმერ შაიმიევი ფედერალურ ცენტრს სთავაზობს, ჩეჩნეთთან ურთიერთუფლებამოსილების პრინციპები აღიარეთო. ის დარწმუნებულია, რომ რუსეთ-ჩეჩნეთის მოლაპარაკებათა სირთულის მიუხედავად, ეს პროცესი აუცილებლად უნდა განვითარდეს. შაიმიევმა ისიც განაცხადა, — ცუდ დღეშია ასლან მასხადოვი, ორი წლის უმძიმესი ომის შემდეგ, უცებ ხომ ვერ დათანხმდება მოსკოვის მიერ წაყენებულ წინადადებებს. ამიტომ ცოტა მოვუთმინოთ, ძალიან ნუ გავაკრიტიკებთო.

*ინტერფაქსი*

## ზავარზინს უთხრეს: "ნატო!" გენერალმა უპასუხა: "არის!"



რუსეთის თავდაცვის სამინისტროში ვარაუდობდნენ, რომ ნატოში სამხედრო წარმომადგენელს ინგლისური ეცოდინებოდა და დიპლომატიური მუშაობის გარკვეული გამოცდილება ექნებოდა. თავად ბრიუსელში კი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ნატოში რუსეთის წარმომადგენელი სამხედრო კი არა, საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი იქნებოდა და ამ სამუშაოს ბელგიაში ელჩის პოსტს შეუთავსებდა. პროგნოზი არ გამართლდა. გენერალ ზავარზინის პირად საქმეში წერია — უცხო ენებს არ ფლობს, საზღვარგარეთ არ უმუშავია. „მოსკოვსკი კომსომოლეცის“ წყაროების ცნობით, ნატოში სამხედრო პირის დანიშვნა მინისტრ სერგეევთან შეხვედრის შემდეგ გადაწყდა, — სერგეევმა შესძლო ელცინის დარწმუნება იმაში, რომ ნატო დიპლომატს სათანადო ანგარიშს არ გაუწევსო. საგარეო საქმეთა სამინისტროს, ჯერჯერობით, ოფიციალურად ამის თაობაზე არაფერი განუცხადებია, თუმცა მაინც გახარებულნი არიან, მადლობა ღმერთს, გრაჩოვი რომ არ დანიშნესო.

*მოსკოვსკი კომსომოლეცი №200*

## უკანასკნელ საათს

მინსკში ბელორუსმა ჟურნალისტებმა საპროტესტო აქცია გამართეს „პრესის კანონში“ პარლამენტის მიერ ცვლილებების შეტანის წინააღმდეგ. მიტინგის კულმინაციად იქცა ორტ-ს კორესპონდენტის პ. შერემეტის გამოსვლა, რომელმაც განაცხადა, — ჩვენი ქვეყნის საკონცენტრაციო ბანაკად ქცევის საშუალებას არავის მივცემთო.

მოსკოვის მერის განკარგულებით, მოსახლეობისთვის 1 ათასი კუბური მეტრი ბუნებრივი გაზის ფასი 173 ათას 680 რუბლი გახდა. თუ ბინაში გაზის ქურა და გაზისავე წყლის გამაცხელებელი დგას, ყოველთვიურად ერთ სულ მოსახლეზე გადასახადი 3905 რუბლია.

ტიუმენის ერთ-ერთი ფირმა 10 000 დოლარად ოლქის მცხოვრებლებს პირდება, რომ დეპუტატად აქცევს ნებისმიერს, ვისაც კი ამის სურვილი გაუჩნდება. ფირმის მომსახურებაში შედის კანდიდატის წარდგენა, ხელმოწერების შეგროვება, წინასაარჩევნო პროგრამისა და სარეკლამო მასალების მომზადება. დეპუტატობის მსურველ კლიენტს მხოლოდ ამომრჩევლების წინაშე წარდგომა ევალება.

დუშამბეს ციხიდან გაათავისუფლეს ტაჯიკეთის ოპოზიციის 58 მომხრე, რომლებიც მთავრობის წინააღმდეგ მიმართულ აჯანყებაში მონაწილეობდნენ.

რამდენიმე ხნის წინ გამოცხადდა, რომ ნობელის პრემია ლაზერული ფიზიკის დარგში ამერიკელ და ფრანგ მეცნიერებს მიენიჭათ. ამავე დარგში მომუშავე რუსი მეცნიერები ამტკიცებენ, რომ იმავე შედეგებს (იგულისხმება, რასაც უცხოელებმა მიაღწიეს) მათ გაცილებით ადრე მიაღწიეს და გაცილებით წინაც წავიდნენ.

პარიზიდან სორბონას საპატიო დოქტორის მანტიით დაბრუნებულ ლევონ ტერ-პეტროსიანს შინ უსიამოვნება ელოდა — სომხეთის ინტელიგენცია მის გადადგომას ითხოვს. პრეზიდენტს მთიანი ყარაბაღის საკითხში უკან დახევაში ადანაშაულებენ, რაც, მათი აზრით, მკაფიოდ გამოიკვეთა საფრანგეთში ლევონ ტერ-პეტროსიანის გამოსვლებში.

რუსეთის მთავრობამ, როგორც იქნა, მიიღო იმპერატორ ნიკოლოზ II-ისა და მისი ოჯახის წევრების ნეშტის დაკრძალვის გადაწყვეტილება. ეს მოხდება 1998 წლის 1 მარტს.

ლონდონის უმაღლესმა სასამართლომ განსახილველად არ მიიღო რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილის ბ. ბერეზოვსკის სარჩელი, რომელსაც ის ამერიკულ ჟურნალებში FORBES -ს უყენებს. ამ ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიაში ბერეზოვსკი „კრემლის ნათლიად“ და ლისტევისა და კივილიდის მკვლელობაში ეჭვმიტანილად იყო მოხსენიებული.

## კვირის ფრაზა

კომუნიზმის აჩრდილი ძეხვის აჩრდილს ბადებს (რედაქციისგან: ძეხვის ნაცვლად, შეგიძლიათ „სელიოდკა“ ან არაყი იგულისხმოთ).

## მეფური საჩუქრები

არაბეთის გაერთიანებული საამიროს უმაღლესი მთავარსარდლის მოადგილე, ტახტის მემკვიდრე პრინცი აბუ-დაბი თურქმენეთს ეწვია. მან მოლაპარაკება გამართა თურქმენეთის პრეზიდენტთან საფარმურატ ნიაზოვთან. პრინცმა აბუ-დაბიმ ბატონ ნიაზოვს საჩუქრად ნახევარმეტრიანი ოქროს პალმა მიართვა. თურქმენეთის ლიდერიც არ დარჩენილა ვალში. სტუმარს წმინდა სისხლის თექური კვიცი უძღვნა.

*კომსომოლსკაია პრავდა №194*

# LEGION ETRANGERE

# უცხოური ლეგიონი

„კვირის პალიტრის“ მკითხველები ხშირად გვთხოვენ, გამოვაქვეყნოთ მასალები სხვადასხვა სამხედრო საკითხზე. ამჯერად, ვასრულებთ ჩვენი გაზეთის ერთგული მკითხველების — მ. ბარამიძის, ლ. მეტრეველისა და სხვათა სურვილს და მოგითხრობთ საფრანგეთის უცხოური ლეგიონის შექმნასა და თანამედროვე საქმიანობაზე.

საფრანგეთის უცხოური ლეგიონი ამაოდ როდი იქცევს ასე დიდ ყურადღებას, არა მარტო მთელ მსოფლიოში, არამედ ბრძოლებგამოვლილ საქართველოშიც. დღეს გაჭირვებაში ჩავარდნილ ჩვენი ქვეყნის ბევრ მოქალაქეს სურს, გაეცალოს უპერსპექტივო მომავალს და ახალგაზრდობაში მოასწროს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მონახულება. საფრანგეთის უცხოური ლეგიონი კი ამის საუკეთესო საშუალებას იძლევა.

დამოუკიდებელი სამხედრო ექსპერტების მონაცემებით, რამდენიმე ათეული ქართველი დღეისათვის უკვე მსახურობს საფრანგეთის ამ სამხედრო შენაერთში, სადაც ისინი სხვადასხვა გზით მოხვდნენ. თუმცა, ზუსტი მონაცემების მოპოვება ამ ფაქტზე, ძალზე ძნელია, ისევე როგორც საფრანგეთის უცხოური ლეგიონის დამახასიათებელი სხვა ინფორმაცია.

ეს სამხედრო შენაერთი თავის საიდუმლოებებს თვალისჩინივით იცავს.

უცხოური ლეგიონის ჩამოყალიბება 1831 წელს, საფრანგეთის მიერ ჩრდილო აფრიკის ექსპანსიის შემდეგ დაიწყო. იმის გამო, რომ ეს სამხედრო შენაერთი უცხოელი მოქალაქეებით იყო დაკომპლექტებული, მას უცხოური ლეგიონი შეერქვა. 1836 წელს ლეგიონერებმა არაბების წინააღმდეგ ახალი სამხედრო ტაქტიკა გამოიყენეს — არაბი ცხენოსნების მწკრივებს გაშლილი ფრონტით უტევდნენ და, ამასთან, მუშკეტებით ერთდროულად ორ ტყვიას ესროდნენ, — მეორე ტყვია მიზანში მოხვედრისას სკდებოდა, რითაც არაბებს დიდი ზიანი მიადგათ.

მაგრამ ამ ცნობილ შეტაკებამდე ექვსი წლით ადრე, ჩრდილო აფრიკაში, ერთმანეთისგან საკმაოდ დაშორიშორებულ ლეგიონერთა ბანაკებში, სამხედრო დისციპლინა კატასტროფულად დაეცა, ოფიცრები და ჯარისკაცები სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდნენ ერთმანეთს.

აჯანყებას არაფერი აკლდა, რომ პარიზმა სწორი ნაბიჯი გადადგა — უდაბნოს ერთფეროვნებით გულშეღონებული ლეგიონერებისთვის დაიწყო ცხელი კერძების მიწოდება, გაუგზავნეს „პინარის“ ჯიშის შავი ღვინის კონცენტრატი, რომელიც წყალში გახსნისთანავე ჩვეულებრივ ღვინოდ იქცეოდა.

და ბოლოს, საფრანგეთის ხელისუფლებამ აფრიკის უდაბნოებში მდგარ ლეგიონერებს გაუგზავნა საველე საროსკიპოები, რომლებსაც სამხედრო მოსამსახურეებს შორის საჭირო დისციპლინა და მორალის წესები უნდა დაეცვა. ამ დაწესებულებისთვის ქალებს საგანგებო კომისიები არჩევდნენ და ლეგიონერებთან მხოლოდ საუკეთესოებს აგზავნიდნენ.

ფრანგი მხედართმთავრების ამ, იმ დროისათვის პროგრესულმა გადაწყვეტილებამ გადაარჩინა ლეგიონერთა შენაერთები მორალურ თვითგანადგურებას.

იმავე პერიოდში ლეგიონში საფუძველი ჩაეყარა ოფიცერთა და ჯარისკაცთა შორის განსაკუთრებულ, დემოკრატიულ ურთიერთობას, — ისინი ერთნაირ პირობებში ცხოვრობდნენ და იბრძოდნენ, ამიტომაც, ოფიცრებს მხოლოდ პირადი ავტორიტეტისა და გამბედაობის გამო სცემდნენ პატივს.

ასეთი ურთიერთობები იმდროინდელი ინგლისური თუ გერმანული არმიებისათვის და, მითუმეტეს, რუსული არმიისათვის, წარმოუდგენელი იყო.

დღემდე საამაყოდ აქვთ ლეგიონერებს 1863 წლის 30 აპრილის შეტაკება მექსიკაში, სადაც 65 კაცი, ერთი დღე-ღამის განმავლობაში, 2000-მდე მექსიკელის შეტევას იგერიებდა.

უცხოურმა ლეგიონმა განსაკუთრებული როლი შეასრულა ინდოჩინეთის დაპყრობაშიც.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ საფრანგეთმა თავისი უცხოური ლეგიონი ალჟირსა და ტუნისში გადაისროლა.

ინდოჩინეთში, 1930 წელს, ანტიფრანგულმა აჯანყებამ იფეთქა, რომელიც ლეგიონერებმა სისხლში ჩაახშვეს. ერთ-ერთი სამხედრო ალლურის დროს, ლეგიონერების მეთაური ბრბოდან სიტყვიერად შეურაცხყვეს, საპასუხოდ, ლეგიონერებმა ხალხიდან 6 ადამიანი გამოიყვანეს და იქვე, ხიდზე დახვრიტეს.

1940 წლის საფრანგეთის კაპიტულაციის შემდეგ, უცხოური ლეგიონი რამდენიმე ნაწილად გაიყო, ზოგმა პროფაშისტ ვიშის ხელისუფლებას დაუჭირა მხარი, ზოგმაც საერთოდ მიატოვა სამსახური. იმავე პერიოდში, ერთი ბატალიონი ინდოჩინეთში იაპონელებს ჩაბარდა. ეს ამ შენაერთის პირველი კაპიტულაცია იყო. იგივე ბედი გაიზიარა მაროკოში მდგარმა ბატალიონმა, რომელმაც აქ 1942 წელს გადმოსხმულ ამერიკელებს აუწია ხელები.

უცხოური ლეგიონი 1945 წელს დაბრუნდა ვიეტნამში და მაშინვე პარტიზანებთან ბრძოლაში ჩაება.

თითქმის ათწლიანი სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ, ფრანგებმა ვიეტნამი დატოვეს, პარალელურად, 1954 წლის 1 ნოემბერს, ალჟირის განმათავისუფლებელმა არმიამ ფრანგებს შეუტია, პარიზი იძულებული გახდა, უცხოური ლეგიონის ნაწილები ვიეტნამიდან პირდაპირ ალჟირში გადმოესროლა.

1957 წლისათვის უცხოურმა ლეგიონმა ალჟირის მრავალრიცხოვანი განმათავისუფლებელი არმია, თითქმის 15 ათას კაცამდე შეამცირა და განადგურების პირას მიიყვანა, მაგრამ ამ კრიტიკულ მომენტში ბრძოლაში ჩაერია ეგვიპტე, რომლის პრეზიდენტი ნასერი ალჟირელებს დაუფარავად აწვდიდა უახლეს იარაღს.



ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ იარაღი ეგვიპტეში საბჭოთა კავშირიდან ჩადიოდა. სწორედ საბჭოთა იარაღმა გადაარჩინა ალჟირის განმათავისუფლებელი არმია უცხოური ლეგიონისაგან სრულ განადგურებას.

თუმცა მიუხედავად ამისა, 1958 წლისათვის უცხოური ლეგიონის საპარაშუტო ნაწილმა ალჟირის განმათავისუფლებელი არმია ტუნისის საზღვრამდე გარეკა.

ფრანგებმა 400 კმ-იანი სასაზღვრო ზოლი იმ დროისათვის საუკეთესო სასიგნალო მოწყობილობებით და ნაღმური ველებით აღჭურვეს. თანაც, მთელ საზღვარს მათი კბილებამდე შეიარაღებული მობილური ჯგუფები აკონტროლებდნენ, რაც თითქმის გამორიცხავდა ალჟირელების საზღვარზე გადმოსვლას.

1960 წელს, სამხრეთ აფრიკაში, ფრანგული სამხედრო შენაერთების სარდალმა, გენერალმა შალემ ახალი მარჯვე შეტევები განახორციელა ალჟირის განმათავისუფლებელი არმიის წინააღმდეგ.

თუმცა, მიუხედავად ასეთი წარმატებებისა, ალჟირში მიმდინარე ომი საფრანგეთისთვის, პოლიტიკური თვალსაზრისით, ძალზე წამგებიანი ხდებოდა, განსაკუთრებულ უკმაყოფილებას გამოხატავდნენ ფრანგი ახალგაზრდები, რომლებსაც არ სურდათ ალჟირში უაზროდ დაღუპვა.

საფრანგეთის პრეზიდენტი, გენერალი შარლ დე გოლი იძულებული გახდა, ალჟირელ მეამბოხეებთან მოლაპარაკებები დაეწყო.

ფრანგული რეგულარული ჯარის სავალდებულო სამსახურის ჯარისკაცებისაგან განსხვავებით, უცხოური ლეგიონის პარაშუტისტებმა საფრანგეთის პრეზიდენტს არ აპატიეს, მათი აზრით, კაპიტულაციური საქციელი და 1961 წელს ალჟირში სამხედრო აჯანყება მოაწყვეს, მაგრამ დანარჩენებმა — პარიზის ერთგულმა სამხედრო ნაწილებმა, პუტჩისტების გამოსვლები სისხლში ჩაახშვეს.

1962 წელს პარიზმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.

უცხოური ლეგიონის ზოგიერთმა წარმომადგენელმა დე გოლს გამყიდველობა დასწამა, შექმნეს იატაკქვეშა ორგანიზაცია (OAC) და რამდენჯერმე უშედეგოდ თავს დაესხნენ პრეზიდენტს.

1969 წელს საფრანგეთმა უცხოური ლეგიონის მე-2 საპარაშუტო პოლკი ჩადის რესპუბლიკაში გადასვა ადგილობრივი მთავრობის დასაცავად, რომელსაც ლიბიის მიერ დაფინანსებული აჯანყებულები ებრძოდნენ.

1973 წელს ლიბიამ მოახდინა ჩადის ბუნებრივი რესურსებით მდიდარი მხარის ანექსირება. ამ დროს, ლიბიელ ჯარისკაცებს დაუპირისპირდნენ საფრანგეთის უცხოური ლეგიონის მებრძოლები, მაგრამ ხელჩართულ ბრძოლებამდე საქმე აღარ მისულა.

სულ ბოლოს უცხოური ლეგიონის რაზმები ყოფილ იუგოსლავიაში გამოჩნდნენ და მეომარ სერბებსა და მუსულმანებს შორის ჩადგნენ.

დღეისათვის უცხოური ლეგიონი მოიცავს შვიდ პოლკს, ერთ ნახევრადბრიგადას და ერთ სპეციალურ რაზმს.

უცხოური ლეგიონის პირველი პოლკი 1831 წელს შეიქმნა და დგას ვიენოსა და ობანში, რომელიც, ფაქტობრივად, უცხოური ლეგიონის შტაბ-ბინას წარმოადგენს. აქ თავმოყრილია ლეგიონის ყველა ადმინისტრაციული სამსახური, მათ შორის, ე.წ. „გესტაპოც“, ანუ ლეგიონის განსაკუთრებული სამსახური, რომელიც ძირფესვიანად ამოწმებს ყოველ ახალ კანდიდატს. პოლკის საქმიანობაა ლეგიონში სამსახურის მსურველებთან მუშაობა.

მე-4 პოლკი მაროკოში დგას და ლეგიონის ერთგვარ „აკადემიას“ წარმოადგენს, რადგან სწორედ აქ მდებარეობს საოფიცრო და სასერჟანტო სკოლები.

1-ლი ჯავშანსატანკო პოლკი ლიაბუშსა და ორანჟეშია. ის 1921 წელს ჩამოყალიბდა ტუნისში, ლეგიონის ყოფილი მე-2 პოლკისა და ვრანგელის დამარცხებული არმიის ნარჩენებით. დღეს ამ პოლკის მთავარი ამოცანაა დაზვერვა და მოწინააღმდეგის ტანკებთან ბრძოლა.

ვალონგსა და ნიმეში მდგარ მე-2 მოტომსროლელ პოლკს ევალება მტრის ფეხოსნებისა და ტანკების განადგურება.

მე-6 საინჟინრო-მენაღმეთა პოლკი ძირითადია არა მარტო უცხოურ ლეგიონში, არამედ მთლიანად საფრანგეთის არმიაში.

ის 1984 წლის 1 ივლისსაა შექმნილი. ამ პოლკს ევალება ხიდების, გზების, თავდაცვითი ნაგებობების როგორც მშენებლობა, ისე განადგურება, აგრეთვე, ნაღმური ველებისა და „სიურპრიზნაღმების“ მოწყობა-დაყენება. პოლკი დგას ავინიონის კამპ-არდუაზში. მისი პირადი შემადგენლობა 700 კაცია. მასვე აქვს საბრძოლო მომზადების ტროპიკული სკოლა ფრანგულ გვინეაში.

ამ პოლკის შემადგენლობაში შედის სპეცრაზმი — DINOPS, რომელშიც მყვინთავ-დივერსანტები არიან გაერთიანებულნი. იმავდროულად, ეს სპეცრაზმი სწრაფი რეაგირების ფრანგული ძალების (FAR) ძირითადი ბირთვია და უცხოური ლეგიონის ერთადერთი სამხედრო დანაყოფი, რომელიც მშვიდობიან დროს საფრანგეთის ტერიტორიას არ ტოვებს.

1955 წელსაა შექმნილი უცხოური ლეგიონის მე-2 საპარაშუტო-სადესანტო პოლკი, რომელიც კორსიკაში, რაფალის ყაზარმებში დგას. ეს პოლკი ლეგიონში ყველაზე ცნობილია, რადგან „ცხელ წერტილებში“ პირველად მას გზავნიან.

პოლკში შედის CRAP — უცხოური ლეგიონის სპეცრაზმი, რომელიც მხოლოდ მოხალისე ოფიცრებით კომპლექტდება, ასევე 4 ბატალიონი.

პირველი ბატალიონი ასრულებს ღამის ოპერაციებს, ებრძვის ტანკებს და მოქმედებს ქალაქის პირობებში; მეორის მოვალეობაა სამთო მოქმედებები, მესამისა — საზღვაო დესანტის გადასხმა და მეოთხისა — დივერსიული მოქმედებები და სნაიპერთა განაწილება.

ფრანგულ გვინეაში მდგარი მესამე მოტომსროლელი პოლკი იცავს კურუზე არსებულ საფრანგეთის კოსმოსურ ცენტრსა და კოსმოდრომს.

წყნარ ოკეანეში, ათოლ მურუროზე მოწყობილ საფრანგეთის ბირთვულ პოლიგონს უცხოური ლეგიონის მე-5 პოლკი იცავს. სხვათა შორის, ამ პოლკში ხშირად ისვენებენ სხვადასხვა „ცხელი წერტილებიდან“ დაბრუნებული ლეგიონერები.

მე-13 ნახევრადბრიგადა, ჯერ კიდევ 1940 წელს შეიქმნა ფინელების მხარდასაჭერად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. უცხოური ლეგიონის ეს სამხედრო ნაწილი დღეისთვის ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკაში — ჯიბუტში დგას.

სპეციალური დანიშნულების რაზმი DLEM, მოზამბიკის სრუტეში მდებარე კომორის არქიპელაგის უზარმაზარი ლაგუნის ვულკანური კუნძულის — მაიოტის სიღრმეშია დისლოცირებული, რადგანაც კომორის კუნძულების სახელმწიფომ 1976 წელს გადაწყვიტა, საფრანგეთის შემადგენლობაში დარჩენილიყო, ეს სპეცრაზმი ამ რეგიონში სწორედ მეტროპოლიის ინტერესებს იცავს.

ჩვენ გაგაცანით საფრანგეთის უცხოური ლეგიონის ყველა ის ნაწილი, სადაც თავგადასავლების მოყვარულებმა შეიძლება იმსახურონ. უცხოურ ლეგიონში ღებულობენ მათ, ვინც გაუძლებს განსაკუთრებით მკაცრ შერჩევას.

უცხოურ ლეგიონში მისაღები პუნქტები საფრანგეთის ბევრ ქალაქშია. შენობის შესასვლელს ფრანგულად აწერია მხოლოდ ორი სიტყვა „LEGION ETRANGERE“ — უცხოური ლეგიონი. აქ მსურველს თავაზიანად ხვდებიან, მოსთხოვენ პასპორტს, დაადგენენ მის ეროვნებას, დააწერინებენ ავტობიოგრაფიას და ამ ფორმალობების შემდეგ, ლეგიონერობის კანდიდატთა სიაში ჩარიცხავენ. ამ წუთიდან მას, როგორც კანდიდატს, დღეში 50 ფრანგულ ფრანკს (დაახლოებით, 10 აშშ დოლარი) აძლევენ, დღეში სამჯერ კვებავენ, მაგრამ უკრძალავენ ყოველგვარ საფოსტო და სატელეფონო კავშირს გარესამყაროსთან.

სასწავლო დღე დილის 5 საათზე იწყება. მთელი დღის განმავლობაში კანდიდატები მძიმე ფიზიკურ მზადებას გადიან. სერჟანტები გულმოდგინედ აკვირდებიან მათ და დაუყოვნებლივ აღნუსხავენ სუსტებს, მათ მეორე დღეს „ცივილი“ — უკან გაბრუნება ელით.

სულ უბრალო დანაშაულისათვის ან სერჟანტთან შეკამათების გამო, კანდიდატს ისე სჯიან, რაც საბჭოთა ჯარისკაცსაც კი არ მოელანდება.

პარალელურად, უცხოური ლეგიონის განსაკუთრებული სამსახური — „გესტაპო“, დაწვრილებით ამოწმებს კანდიდატის წარსულს და სულ მცირე ეჭვის შემთხვევაშიც კი, უკან უშვებს. ისინი კანდიდატის კრიმინალურმა წარსულმა შეიძლება ისე არ შეაწუხოს, როგორც შიში, რომ იგი რომელიმე ქვეყნის დაზვერვის აგენტი არ აღმოჩნდეს.

უცხოურ ლეგიონში ბრძანებები მხოლოდ ფრანგულ ენაზე გაიცემა და თუ კანდიდატმა ტალახში წოლას, წვიმაში სირბილს და „გესტაპოს“ დაკითხვებსაც გაუძლო, მას უცხოური ლეგიონის სააღლუმო ფორმას საზეიმოდ გადასცემენ და ზემოჩამოთვლილ, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გაბნეულ უცხოური ლეგიონის ერთ-ერთ ნაწილში გაამწესებენ.

დანარჩენი კი, ბედსა და საკუთარ მარიფათზეა დამოკიდებული, შეიძლება, სადღაც, შუა აფრიკაში აჯანყებულებთან პირველსავე ბრძოლაში დაიღუპოს ლეგიონერი, შეიძლება — გაუმართლოს, ცოცხალი დარჩეს და 20-40 ათასი დოლარიც აიღოს.

ყველაფერი გამართლებაზეა. საფრანგეთის უცხოური ლეგიონი კი, კვლავ ელოდება ფათერაკებისა და ფულის მოყვარულ, თავზეხელაღებულ „რემბოებს“.

## თურქები საქართველოში რუსებს ამოწმებენ

მსოფლიო განვითარების ახალ ეტაპზე გადადის, სადაც ქვეყნებს შორის ურთიერთნდობა და პატივისცემა ჩვეულებრივი, მიღებული ფორმებია.

საქართველო, რომელსაც სურს დემოკრატიული ქვეყანა იყოს, ცდილობს, გაწევრდეს ბევრ ახალ დემოკრატიულ ინსტიტუტში.

ერთ-ერთი მათგანია ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ პარიზის 1990 წლის ხელშეკრულება, რომელსაც საქართველოც უჭერს მხარს.

სწორედ ამ ხელშეკრულების ფარგლებში, 23 ოქტომბერს, თბილისში, ჩამოფრინდა თურქეთის შეიარაღებული ძალების სამხედრო ინსპექცია, რომელსაც საქართველოს ტერიტორიაზე მდგარი სამხედრო ნაწილის ინსპექცირება სურდა.

ხელშეკრულების მონაწილე ყველა ქვეყანას უფლება აქვს, წელიწადში 6-ჯერ ჩაატაროს სხვა, მეზობელი სახელმწიფოს სამხედრო ნაწილების სრული ინსპექცირება. საქართველოსაც, რა თქმა უნდა, იგივე უფლებები გააჩნია; თუმცა, უსახსრობის გამო, ამას ვერ ახერხებს.

თურქებმა კი მოახერხეს, მაგრამ მათ ქართული სამხედრო ნაწილი კი არ აინტერესებდათ, არამედ საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი რუსი სამხედროების შემოწმებას აპირებდნენ.

წესის თანახმად, ინსპექცირების სურვილი თურქულმა მხარემ სამი დღით ადრე განაცხადა, თუმცა, რომელ რუსულ სამხედრო ბაზას შეამოწმებდა, არ დაუკონკრეტებია.

დაკონკრეტება 23 ოქტომბერს, თბილისის აეროპორტში მოხდა — თურქებს გუდაუთის სამხედრო ბაზის ნახვა სურდათ.

ქართულმა მხარემ მათ დახმარება აღუთქვა, შეჰპირდა, რომ ენგურამდე მიაცილებდა, შემდგომ მასპინძლობა რუსებს უნდა ეკისრათ.

ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის — ГРВЗ-ს სამხედრო წარმომადგენლები დაიბნნენ, მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ აღიარეს, რომ გუდაუთის სამხედრო ბაზა უშუალოდ მოსკოვს ექვემდებარება და ГРВЗ-ს იქ არავინ უშვებს.

გაწბილებულმა თურქებმა პირი იბრუნეს. დაირღვა საერთაშორისო ხელშეკრულების მთავარი პუნქტი, რამაც საეჭვოა, საქართველოს, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს პრესტიჟი ასწიოს მსოფლიოში.

*გვერდი მოამზადა*
*ირაკლი ალადაშვილმა*

## კავკასია

**ორშაბათი**

**13.30 „უფროსკლასელთა ნაკრები“**
**(კომედია, აშშ)**

კოლეჯის ორი ქარაფშუტა უფროსკლასელი გაკვეთილებზე დაგვიანებისას, შემთხვევით დაასახიჩრებენ დირექტორის ახალთ-ახალ მანქანას, შემდეგ კი, მთელი ფილმის განმავლობაში, ცდილობენ თავიდან აიცილონ დირექტორის მრისხანება.

რეჟისორი კელი მაკინი. როლებში: მეტ ფრუერი, ლოურენს დანო, ტომი ჩონგი.

**სამშაბათი**

**13.30 „ბაბილონი-5“**
**(ფანტასტიკა, აშშ)**

2257 წელი. კოსმოსურ ბაზაზე „ბაბილონი-5“ გალაქტიკის კონტროლის მუდმივი საბჭო შეიკრიბება. მიღებულია შეტყობინება, რომ მალე კოსმოსური ბრძოლა დაიწყება...

რეჟისორი რიჩარდ კომპტონი: როლებში: ტომლინ ტომიდა, ჯერი დოილი, მირა ფერლანი.

**ოთხშაბათი**

**13.30 „უკანონოდ ლურჯებში“**
**(დეტექტივი, აშშ)**

შვეულად: 1. პოსტამენტი; 2. თერძი; 3. კასტილია; 4. სიმფონია; 5. სარკაზმი; 6. დისკუსია; 7. ქსელი; 8. კრიალოსანი; 11. ბლინდაჟი; 16. წენგო; 18. უნაბი; 21. ფანტა; 22. კადრი; 25. პანამა; 27. ცუსიმა; 28. დეტონატორი; 29. ინფექცია; 34. ლაბორანტი; 36. კაჭკაჭი; 37. გურიელი; 41. ირმა; 42. გამა.

## ლისტევის მკვლელობაში „ოჯახური ვერსია“ ამოტივტივდა



როგორც „მოსკოვსკი კომსომოლეცისათვის“ სარწმუნო წყაროებიდან გახდა ცნობილი, ვლად ლისტევის მკვლელობის საქმის ძიებაში ახალმა, ასე ვთქვათ, „საოჯახო ვერსიამ“ იჩინა თავი. გამომძიებლები გამოწვლილვით იძიებენ ლისტევ-ალბინა-რაზბაშის სამკუთხედის ურთიერთობას. ლისტევსა და მის ცოლს — ალბინას, ხელი მოწერილი არ ჰქონდათ. ზოგიერთი მონაცემით, ვლადი ალბინასთან დაშორებას აპირებდა — სხვა ქალი შეუყვარდა. ალბინასა და რაზბაშის გულთბილი ურთიერთდამოკიდებულება ლისტევის სიკვდილისთანავე გამომჟღავნდა, თუმცა ამ წყვილს არც უცდია ვინმესთვის თავისი გრძნობების დამალვა. ზემოთ ნათქვამი უკვე შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც ნაწილობრივი სამხილი და მასზე დაყრდნობით ბრალდებაც ჩამოყალიბდეს: „ოჯახური ვერსიით“ დაინტერესება ლისტევის დედის (იგი იყო ტელეკომპანია „ვიდში“ შვილის ქონების ერთი მემკვიდრე) უეცარმა სიკვდილმაც გამოიწვია. როგორც ცნობილია, იგი უეცრად დაიღუპა — შინიდან იქვე, მაღაზიაში მიმავალი, მანქანის ბორბლებქვეშ მოჰყვა. ვერსია ტელეკომპანია „ვიდის“ თვალსაზრისითაც საინტერესოა. ცნობილია, რომ ლისტევმა, როგორც ორტ-ს გენერალურმა დირექტორმა, საჯაროდ რამდენჯერმე განაცხადა, ამ პოსტზე „ვიდის“ კაცად ვერ ვიქნებიო. მას სურდა, „ვიდის“ გადაცემებიდან თავისთვის არხზე დაეტოვებინა მხოლოდ „პოლე ჩუდესი“ და „უგადაი მელოდიუ“ (რომელსაც მაშინ ამზადებდა). „ვიდის“ საქმეები დღემდე ბოლომდე არ გარკვეულა. დღის წესრიგში დგას მისი დამფუძნებლების თავიდან მოშორება. შესაძლოა, მათ შორის აღმოჩნდეს ივან დემიდოვიც. თუ ვისთვის გახდა თავის დროზე ზედმეტი ვლად ლისტევი, ძიება შეეცდება, ახლა „ოჯახური მიმართულებით“ დაადგინოს.



*მოსკოვსკიე ნოვოსტი №201*

## ნაწყვეტები პატიმრის დღიურიდან

მოქმედების ადგილი: რუს. ტულის ოლქი, ქალაქი ალექსინი

მოქმედების დრო: დღევანდელობა

მოქმედი პირნი: ეჭვმიტანილი ალ. ვოლოდკო, ადგილობრივი მილიციელები, ალექსინის შს განყოფილების უფროსის მოადგილე გნიტეცკი, სპეცდანიშნულების რაზმი

***პრეამბულა.*** *1995 წლის აგვისტოში დაუდგენელმა პირმა ღამით, უკუნეთ სიბნელეში, ტყვია დაუშინა ადგილობრივი მილიციის უფროსის მოადგილეს ვლ. გნიტეცკის. ბოროტმოქმედი მიიმალა. საგამოძიებო ორგანოებმა მის შესახებ მხოლოდ ის იცოდნენ, რომ თავდამსხმელი მაღალი იყო. ძიებამ დააკავა დანაშაულის ორგანიზაციის სავარაუდო ჯგუფი და იმხანად მომხდარი ყველა დანაშაულის მისთვის მიწერა განიზრახა. ეძებდნენ უშუალო შემსრულებლებს და ერთ მშვენიერ დღეს 40 წლის მაღალი აღნაგობის ვოლოდკო დააპატიმრეს. თანაც იგი, თურმე, იცნობდა თანაქალაქელ კარპუხინს — დანაშაულის უშუალო შემკვეთს. ძნელი სათქმელია, როგორ შესძლო უბედურმა ვოლოდკომ ციხიდან თავისი დღიურების გამოგზავნა...*

*ის, რასაც ვოლოდკო წერს, შეიძლება მხოლოდ რფ შინაგან საქმეთა მინისტრს გაუკვირდეს, თორემ ყოველმა რიგითმა მოქალაქემ კარგად იცის, რასაც ნიშნავს მილიციაში ჩვენების „მიცემა“, რას ნიშნავს „ლასტოჩკა“ თუ „სლონიკი“...*



„...შინ რომ დავბრუნდით, პირველი საათი იყო დაწყებული. მანქანის ნათურები მანამ არ გამომირთავს, სანამ ნადენკამ (რვა თვის ფეხმძიმე) სახლის წინ დაყრილი ფიცრები და თხრილი არ გადაიარა. კარს რომ ვკეტავდი, იქვე, გვერდით ვიღაც დავლანდე. იმავე წამს მუცელზე იარაღი მომადეს, ხელბორკილი რომ დამადეს, ტკივილი ვიგრძენი. მანქანაში შემტენეს და გამარტყეს. მუშტი კბილებში მომხვდა, პროთეზია-მეთქი, ვუთხარი და კეფაში მირტყეს. როგორც იქნა, მანქანა გაჩერდა. თმით გადმომათრიეს, გზის პირას დამაგდეს, წიხლებით მცემდნენ, მერე ტალახში მათრიეს, უკანასკნელად გეუბნებით — გამოტყდიო, მითხრეს. როჟკოვმა მუცელში ჩამარტყა, მეორემ, ოპერმა — საზარდულში, მერე ფეხებში მტაცეს ხელი და თავით მდინარეში ჩამაყუდეს. გონებაში ჩემიანებს დავემშვიდობე, ვიხრჩობოდი... წყლიდან ამომიღეს და ისევ მანქანაში ჩამტენეს, შერმნევმა მკერდში მგლიჯა, პირველი ნეკნი მაშინ გამებზარა. მილიციაში მესამე სართულზე ამათრიეს, ქალმა დამკითხა, მელიას ჰგავდა. ვუთხარი — მცემეს, მახრჩობდნენ-მეთქი. გაიღიმა და... არაფერი გეტყობაო, მითხრა...“

„...საკანში რვანი ვართ. შინაგანაწესი გამაცნეს — ტუალეტში დღეში ერთხელ გავყავართ — დილის 6 საათზე. ათ წუთში ვედრო უნდა გაიტანო, დაგავო, გაიპარსო, კბილები გაიხეხო, გამომძიებელს კათხა მიართვა თავის ოთახში... და ჩაის დაიმსახურებ, ანუ ცხელ წყალს... საკანში რომ შევედი, ყველა თარო დაკავებული აღმოჩნდა. საწოლის ზურგს მივეყუდე, ვითიშებოდი... სამი-ოთხი საათის შემდეგ ვიღაცას შევებრალე, თავისი ტახტი დამითმო. შიშველ ფიცარზე ვიწექი, არც ბალიში, არც ლეიბი“.

„...გამომძიებელთან მიმათრევენ. საუბარი ვერ აეწყო... ჩემი თავი „გობლინებს“ ანუ „მასკა-შოუს“ ბიჭებს გადასცეს. ესენი 22-24 წლის ყმაწვილები არიან, თავზე თვალგამოჭრილი შავი ქუდები ახურავთ, ნავარჯიშებ მუშტებზე ბებერები აზით. ისევ მანქანა და... კითხვები — გვიამბე, რაც ჩაიდინეო. მცემენ. ყვირილი არ შემიძლია — სუნთქვა მეკვრის. უკაცრიელ ადგილას პანღურით მისვრიან. ვცნობ — ოკას ნაპირა, ტყისპირი. პროფესიულად მირტყამენ. ტუჩებს ვიკვნეტ, ვღმუი... წიხლებს მირტყამენ — გაქცევის მცდელობის მიზეზით დაგხვრეტთო, — მეუბნებიან, გამოტყდი, უკანასკნელი სიტყვის უფლებას გაძლევთო“.

„...გაშიშვლებულ მავთულს მადებენ იდაყვზე და დენს უერთებენ. საზარელი ბლავილი აღმომხდა, ციებიანივით ვცახცახებ. ეგზეკუცია მეორდება — ტკივილის შეგრძნება აღარ მაქვს. იატაკზე ვაგდივარ, მირტყამენ, ვეშმაკობ — დარტყმისთანავე ვყვირი, ხვდებიან, რომ ცემასაც აღარ აქვს აზრი...“

„...საკანში ვზივარ, მომავალი დაკითხვის შიშით ნერვული თრთოლვა მიპყრობს. მახსენდება, ამას წინათ, ფანჯრის რაფაზე სამართებელი შევნიშნე. ძველი ყოფილა, ხერხივითაა, ვიჭრი ვენებს, არაფერი გამოდის, ვცდილობ, ჭრილობა გავაღრმაო: პატიმრები კარებს ამტვრევენ — ჩქარა, კაცი თავს იკლავსო. სასწრაფო მოვიდა, თხოულობენ ჩემს გადაყვანას სანიტარულ ნაწილში, მორიგე ოპერაციის ადგილზე ჩატარებას სთავაზობს. როგორც იქნა, ნება დართეს — მივყავარ. გზაზე ექიმებს ვევედრები — დარეკონ ჩემს ოჯახში, შეატყობინონ, რომ აქ მცემენ, ნეკნები ჩალეწილი მაქვს. ექიმები უნდობლად იღიმებიან...“

„კვლავ დაკითხვა — გონება მერევა, გვარები მავიწყდება, არ მესმის რას მეკითხებიან... სხვა საკანში გადამიყვანეს. მარტო ვარ. მალე ორი კარგად ჩაცმული ახალგაზრდა შემოჰყავთ, ნავარჯიშები, დაკუნთული სხეული აქვთ. მორიგეობით მამუშავებენ, სასწაულად გადარჩენილ ნეკნებს მიმტვრევენ, ფანჯრის გისოსზე მკიდებენ, მერე თვითონვე მხსნიან... თუ დანაშაულს არ აღიარებ, მიგასიკვდილებთო. მგონი, რომ გავტყდი... „გულწრფელი აღიარებისთვის“ მზად ვარ. უკვე ყველაფერი ვიცი, რაც მოხდა, როგორც მოხდა, ცოტას თვითონ მკარნახობენ, წერენ ოქმებს, თავს მიქნევენ, კმაყოფილები არიან...

ჩემთვის, კარგა ხანია, ყველაფერი სულ ერთია“...

*ოპასნაია სტავკა №39*

## „ყრუ“ გვამები

მოსკოვში, ნოვოპესჩანნაიას ქუჩაზე, დაცხრილეს ყრუ-მუნჯთა საერთაშორისო საზოგადოების პრეზიდენტის მრჩეველი, 32 წლის ლევან ჯიქა, იგი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

კლუბიდან შუაღამისას გამოსული ლ. ჯიქა თავისი „BMW -520“-კენ გაემართა. მშვენიერ გუნებაზე იყო — კლუბში მეგობრებთან ერთად გაატარა საღამო, საჩუქრად მიიღო ამერიკიდან ჩამოტანილი სასმენი აპარატი. როცა მანქანას მიუახლოვდა, ნაცრისფერქურთუკიანმა ახალგაზრდამ დაუძახა, ჯიქამ მიიხედა და სროლის ხმაც გაისმა. კლუბიდან მისი მეგობრები გამოცვივდნენ, დაჭრილი მანქანაში ჩასვეს და საავადმყოფოში გააქანეს. მანქანას ნომრები არ ჰქონდა და გზაზე ავტოინსპექტორმა გააჩერა. ჯიქას მეგობრებმა — ა. გოლუბევმა და ა. ორლოვმა (ისინიც ყრუები არიან) მილიციის მუშაკებს ჟესტებით დაუწყეს ახსნა — მანქანაში დაჭრილი გვიწევს და საავადმყოფოში გვეჩქარებაო. ლევან ჯიქა უკვე მკვდარი იყო და, ბუნებრივია, მანქანა დააკავეს.

ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, მკვლელობა გარდაცვლილის საქმიანობას უკავშირდება. 1996 წელს მოკლეს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების პრეზიდენტი. ეს არ იყო ამ გაერთიანების პირველი მსხვერპლი. 1995 წელს დაცხრილეს საზოგადოების მოსკოვის სამმართველოს უფროსი ვ. ორლოვი და მისი მოადგილე ი. აბრამოვი. ყველაფერი საკმაოდ ადვილი ასახსნელია. იმ დროისათვის არსებობდა სამი ორგანიზაცია, რომელსაც კანონით ეკუთვნოდა საბაჟო შეღავათები: პირველი — „ავღანელები“, მეორე — სპორტის ეროვნული ფონდი, მესამე — რუსეთის ყრუ-მუნჯთა საზოგადოება. სწორედ მათ კომერციულ სტრუქტურებში 180 მილიონი დოლარის საქონელმა გაიარა.

ოპერატიული მონაცემებით, ძმები მაო და ლეო ჯიქები მოსკოვში იმ ქართული კრიმინალური დაჯგუფების ავტორიტეტები იყვნენ, რომლებიც აკონტროლებდნენ ყრუ-მუნჯთა საზოგადოებას. ისინი შედიოდნენ მოსკოვში ერთადერთი ყრუ კანონიერი ქურდის ნეიმანის დაჯგუფებაში. როცა ნეიმანი დაჭრეს, იძულებული გახდა, მოსკოვი დაეტოვებინა და ყრუ-მუნჯთა საზოგადოება ძმებს „ჩააბარა“. ეტყობა, ყველა „სლავს“ არ მოსწონდა ქართველი კანონიერი ქურდების ბატონკაცობა და ლევან ჯიქას სიკვდილის მიზეზიც ეს გახდა.

*მოსკოვსკი კომსომოლეცი №178*

## მონების ქვეყანა

ამ გაზაფხულზე საბერძნეთის მეძავებმა ბუნტი რომ მოაწყვეს, რუსეთიდან ჩასული კონკურენტების გამო, ჩვენმა მკითხველმა უკვე იცის. ისიც იცის, რომ თურქეთის მსგავსად, საბერძნეთში დსთ-ელი ლამაზმანები მხოლოდ იმიტომ უყვართ, რომ ამ სახის ადგილობრივი „საქონელი“ სულ ცოტა, 50 ამერიკული დოლარი ღირს, ჩვენები კი 10 დოლარზეც კმაყოფილნი და ბედნიერნი არიან. საბერძნეთის პოლიცია მშვენიერი სქესით ვაჭრობას „საერთაშორისო მაფიას“ უწოდებს და ირწმუნება, დსთ-დან წამოსული ბერძნები ეწევიან ამ ბიზნესსო. რუს კრიმინალთა შემოსავლის გახსენებაზეც კი აკანკალებთ საბერძნეთის სამართალდამცავებს. ბოლო 5 წლის მანძილზე, ქვეყანამ, რომლის მოსახლეობა 10 მილიონია, მილიონი საბჭოთა ემიგრანტი მიიღო. ბერძნული პასპორტის აღება, თუ გამჭრიახი და მოხერხებული ხარ, სულ რაღაც 2-დან 10 ათას დოლარამდე ჯდება. მათი ბიზნესი — ქურქები, ქალები და ნარკოტიკები გახლავთ. საქვეყნოდ სახელგანთქმული კანონიერი ქურდის სოლონიკისა და მისი უმშვენიერესი საყვარლის, მოსკოველი ფოტომოდელის სვეტლანა კოტოვას ვერაგულმა მკვლელობამ ძალზე შეაშფოთა ქვეყნის მმართველობა და საიმიგრაციო სამსახურის ჩინოვნიკები უმალ დაითხოვეს, მაგრამ ამაოდ. ცოცხალი საქონელი კვლავ ეშელონებით ჩადის ელადაში, ერთი კია, საბუთების შესყიდვის ფასი ერთიათად გაიზარდა.





ზღვისპირა ქალაქ გალიფადში, ცენტრალურ ქუჩაზე მდებარეობს რესტორანი „მოსკოვი“, რომელმაც მალე იცვალა პროფილი და ახლა მომსახურების სპეციფიკურობისდა გამო „მოსკოველი დედოფლები“ ჰქვია. ამ სამოთხეში მოხვედრილ მამრს მანამდე არნახული ეგზოტიკური მომსახურება ელის. იქვე, რესტორნის მყუდრო დარბაზში, მომსახურე პერსონალი ანუ მეძავები 17 წლამდე ულამაზესი რუსი გოგონები არიან. ამბობენ, სიყვარულის ქურუმებს არც რფ ორივე პალატის დეპუტატები იწუნებენო — მათი ფასი ხომ სასმელზე ბევრად იაფია...

კატორღული შრომა აქვთ დსთ-ელ ჰეტერებს — უუფლებო, უპასპორტო, უფულო, უსახლკარო გოგონებს „მოსკოველ დედოფლებში“, თურმე, ძალზე გაუმართლათ. მათი უკრაინელი და მოლდაველი კოლეგები სხვა რესტორნებში ბევრად უარეს პირობებში შრომობენ, რომ არაფერი ვთქვათ, ცოცხალი კონვეიერიდან ჩამოსულ ათასობით მოზარდზე, რომლებიც პირდაპირ გარყვნილების ბუნაგებში ხვდებიან და მონების მსგავსად, რკინის ჯაჭვებით არიან მიბმულნი საწოლის ფეხზე. ამ ბუნაგებში სრული განუკითხაობა სუფევს — მომსახურება სადღელამისოა. კლიენტურა — უხეში, ველური, სადისტური მიდრეკილებების მქონე. აქედან უსახელო, თითქმის ცოცხალმკვდარი გოგონები თავისი ფეხით ვერ გამოდიან — ისინი პირდაპირ სასაფლაოზე მიაქვთ. ზოგჯერ ყოფილი საბჭოელები პროტესტს აცხადებენ და მხეცურად ნაცემ-ნაბეგვნი იშვიათად გაპარვასაც ახერხებენ. მაგრამ პირველივე პოლიციელი (რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული შავ სამყაროსთან), ისევ იქ აბრუნებს, საიდანაც გაიქცა. ურჩი მეძავები სამაგალითოდ ისჯებიან, მათ ოჯახებს რუსეთში სასტიკად ემუქრებიან და ამიტომ ყველას პირში წყალი აქვს ჩაგუბებული.

„შრომისუნარიანობის“ გაზრდის მიზნით, მეპატრონე ნარკოტიკით ათაყვანებს სამუშაოდ და საშოვარზე ჩასულ გოგონებს.

დსთ-ის მსხვილ ქალაქებში კი — მოსკოვში, კიევში, კიშინიოვში, როსტოვში, ვორონეჟში, ხარკოვში... (იქნებ, თბილისშიც?) შექმნილია საექსპორტო „საქონლის“ ფირმები, ისინი ოქროს მთებს ჰპირდებიან გულუბრყვილო(?) გოგონებს, „ხელშეკრულებას“ უდებენ, ელვის უსწრაფესად უფორმებენ ვიზებს და... საორგანიზაციო ხარჯებსაც მათვე ახდევინებენ.

მთელი ეს კოშმარი, რაც ზემოთ გიამბეთ, დღეს ხდება, მეოცე საუკუნის დასასრულს. საბერძნეთი გამონაკლისი არ არის...

*კრიმინალნაია ხრონიკა №10*

## კიდევ ერთი ავტორიტეტი გამოასალმეს სიცოცხლეს

მეორეჯერ თავდასხმისას სიცოცხლეს გამოასალმეს 29 წლის ავტორიტეტი, მეტსახელად „პასტა“. ქილერები ისე ჩქარობდნენ შეცდომის გამოსწორებას, რომელიც პირველი თავდასხმის დროს მოუვიდათ, რომ „კლიენტი“ საავადმყოფოდან გამოსვლისთანავე მოკლეს.

მკვლელობის ამბავი მილიციის განყოფილებას შეატყობინა მოკლულის ცოლმა, რომელიც მეუღლესთან სტუმრად ჩავიდა პოდმოსკოვიეში. ქალმა ცხედარი რომ იპოვა, ის უკვე 5 საათის გარდაცვლილი იყო. მას თავსა და გულში ჰქონდა ნასროლი. დამნაშავეებს სახლიდან არც ერთი ნივთი არ წაუღიათ.

გამომძიებლები ფიქრობენ, რომ „პასტას“ კონკურენტები გაუსწორდნენ.

*კომსომოლსკაია პრავდა №193*

## ვარსკვლავები უფულოდ არ ციმციმებენ!..

რა ღირს არნოლდ შვარცენეგერი? დღესდღეობით, როგორ ფასობენ ჰარისონ ფორდი, ბობ დილანი და ელტონ ჯონი? ამ შეკითხვაზე კონკრეტული პასუხი, მართლაც რომ არის. იგი დაფიქსირებულია სხვადასხვა კომპანიებისა და კერძო პირების საბუღალტრო წიგნებში. ის, რომ ვარსკვლავები მუქთად არ ანათებენ, უკვე დიდი ხანია, ცნობილია. ვარსკვლავების თაყვანისმცემლებს აინტერესებთ, საიდან აქვთ მათ იდეალებს ამდენი ფული. ახლა ალარაფერი იმალება და ამიტომაც ყველასათვის ნათელია, ფულის შოვნის ძირითადი საშუალება რეკლამაა!



აი, მაგალითად, წარმოიდგენდით, რომ უშიშარი ჰარისონ ფორდი ბოევიკებთან ერთად რეკლამას გაუწევდა თავისი სიმაღლის იაპონური ლუდის ქილას? იაპონური კომპანია „კირინი" ასეთ რეკლამაში ინდიანა ჯონსს ანუ ჰარისონს 3 მლნ დოლარს უხდის წელიწადში. ასეთსავე თანხას უხდის იგივე ფირმა, ოღონდ სხვა სასმელის რეკლამისათვის, ქევინ ქოსტნერს და ჯინა ჰექმანს.

ცნობილი „მედინოზავრე" სტივენ სპილბერგი ლუდს კარგ ვისკის ამჯობინებს. ამ შემთხვევაში, ალკოჰოლის მოწონებაზე კი არ არის ლაპარაკი, არამედ ფინანსურ მხარეზე. ეს ვისკიც იაპონურია. ჰოლივუდის ვარსკვლავები იაპონიას იმიტომ ირჩევენ, რომ ისინი დიდ ფულს იხდიან რეკლამაში, თანაც, მათი წესის მიხედვით, ეს რეკლამები მხოლოდ იაპონიაში ბრუნავს. ეს ფაქტი ხიბლავთ ჩვენს ვარსკვლავებს, ზოგს ეშინია, იმიჯი არ გაიფუჭოს და ამიტომ ამერიკასა და ევროპაში რეკლამაში მონაწილეობაზე არ თანხმდება...

ამერიკელებს არ ხვდათ ბედნიერება, ენახათ ბრიუსული გამომეტყველების სტალონე სოსისის რეკლამაში, სადაც მხოლოდ ორ სიტყვას ამბობს იაპონურად: „ოიში დესო" („გემრიელია").

იაპონურ რეკლამას ვერც მადონამ აუარა გვერდი გულგრილად. იგი რეკლამას უკეთებს ლიქიორ „ჯან"-ს. სამურაის სამოსში გამოწყობილი მადონა ერკინება დინოზავრს და, რა თქმა უნდა, ამარცხებს კიდეც, — ამის მიზეზი სწორედ ლიქიორია! რიჩარდ გირი კი მონდომებით აქებს იაპონურ ავიაკომპანია „ჯაპან ერლაინზ"-ს. ლივ ტაილერი თავისი თმის მშვენიერების მიზეზად იაპონურ თმის საღებავს — „გელს" ასახელებს. ბრუკ შილდსი რეკლამას უწევს სიცოცხლის ელექსირს „ალოე მასიმს", ბრიუს უილისი კი მობილურ ტელეფონს გვაწონებს, ტიმოთი დალტონი და პირს ბროსნანი ერთმანეთს სიგარეტ „ლარკ"-ით უმასპინძლდებიან. მაიქლ ჯექსონი, უიტნი ჰიუსტონი და ელტონ ჯონი, ამას წინათ, ბრუნეის სულთნისათვის მოწყობილ შოუში მონაწილეობდნენ, სადაც კარგი გასამრჯელოც აიღეს.

*ფინანსოვიე იზვესტია №61*

## მსოფლიოში ყველაზე... ყველაზე...

ნიუ-იორკის პოპულარულმა ჟურნალმა „ვენიტი ფეარმა" გამოაქვეყნა თანამედროვე, ყველაზე გავლენიანი 65 პიროვნების სია. რჩეულთა კომპანიაში 34 სახელმწიფო მოღვაწე მოხვდა, მათ შორის, რუსეთის პრეზიდენტი — ბორის ელცინი, დიდი ბრიტანეთის დედოფალი — ელისაბედ II, ესპანეთის მეფე ხუან კარლოსი და საუდის შეიხი ფაჰდი, სასულიერო პირთაგან — რომის პაპი — იოანე-პავლე II, დალაი-ლამა, ზანგთა ისლამური მოძრაობის ლიდერი აშშ-ში — ლუის ფარხანი და 25 მსხვილი ფინანსური კორპორაციისა და საწარმოო კომპანიების ხელმძღვანელი. მსოფლიო ელიტის საშუალო ასაკი — 61 წელია. ყველაზე ახალგაზრდა 45 წლის ბილ გეითსია; ყველაზე მოხუცი — 92 წლის — „გლობოს" კომპანიის გამგეობის თავმჯდომარე რობერტო მარინი. „ვენიტი ფეარმა" თავის სიაში, გარდა ელისაბედ დედოფლისა, შეიყვანა კიდევ მშვენიერი სქესის სამი წარმომადგენელი: აშშ-ის სახელმწიფო მდივანი — მადლენ ოლბრაიტი, „ვაშინგტონ-პოსტის" კომპანიის თავმჯდომარე კატარინა გრემი და გაეროს უმაღლესი კომისარი, ადამიანის უფლებების დაცვის დარგში — მერი რობინსონი. რუსეთიდან გავლენიანთა სიაშია უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე ბორის ბერეზოვსკი. „ვენიტი ფეარს" ჰკითხეს, რატომ აირჩიეთ ბერეზოვსკი და არა ჩერნომირდინი ან ჩუბაისიო. — ჩერნომირდინის გავლენა დღითიდღე სუსტდება, ამიტომაც შევჩერდით ბერეზოვსკიზე, როგორც რუსეთში ყველაზე მდიდარსა და გავლენიანზე, რომელიც პრეზიდენტის დამფინანსებელია. ხოლო ჩუბაისმა და ნემცოვმა არ მოისურვეს „ვენიტი ფეარის" ფურცლებზე გამოჩენაო, — უპასუხა ჟურნალმა.

*კომსომოლსკაია პრავდა №193*

## ტაილანდელმა ბიზნესმენებმა კრიზისს ვერ გაუძლეს

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების მძლავრმა ეკონომიკურმა ნახტომმა, ეტყობა, თავისი თავი ამოწურა და „ახალგაზრდა ვეფხვები" წელებზე ფეხს იდგამენ აღებული სიმაღლეების შესანარჩუნებლად. არც ტაილანდია ამ მხრივ გამონაკლისი. ათწლიანი აღმავლობის შემდეგ, ქვეყანა ნამდვილმა კრიზისმა მოიცვა, რამაც თვითმკვლელობათა ტალღა გამოიწვია. უკანასკნელი შემთხვევა რეგისტრირებულია 15 ოქტომბერს, როცა ბანგკოკის მსოფლიო სავაჭრო ცენტრის შენობის ფანჯრიდან გაკოტრებული ბიზნესმენი გადახტა.

*ასოშიეითედ პრესი*

## BMW-ს ახალი ნათება

ამერიკის პოლიციის მოტოციკლისტთა ბრიგადები დიდი ხნის მანძილზე ექსპლუატაციას უწევდნენ იაპონურ მოდელს „KAVASAKI"-ს. ბოლო პერიოდში კი გამოჩნდა BMW-ს ახალი მოდელი RS-90. მიუხედავად იმისა, რომ სიახლე ორჯერ უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე იაპონური კონკურენტი, ორეგონის შტატის მთელი პოლიციის მოტოდაჯგუფება ამხედრდა BMW-ზე.



ექსპერტთა შეფასებით, ახალი მოდელი უფრო სწრაფია. გაცილებით სრულყოფილია სამუხრუჭე სისტემა, გამოირჩევა კარგი მანევრირებით და, რაც მთავარია, გამძლეა.

ბაიერნის მენეჯერს, პიტ რაიმონდს სწამს წარმატებისა. „BMW"-ს ახალი ბუმი კალიფორნიასაც გადაედო. დარწმუნებული ვარ, მალე ორეგონისა და კალიფორნიის მაგალითს მთელი ამერიკა მიბაძავს."

ახალი ტენდენცია უფრო პოპულარული რომ გახდეს, BMW-ს ფირმა 3 წლის გარანტიას იძლევა და ირწმუნება, რომ იგი პოლიციელის საუკეთესო მეგობარი გახდება.

ეკონომისტების შეფასებით კი, ამერიკის პოლიციას ახალი მოდელი უფრო იაფი დაუჯდება, ვინაიდან „KAVASAKI" მხოლოდ ერთი წლის გარანტიას იძლეოდა, რასაც შემდგომ გაუთვალისწინებელი ხარჯები მოსდევდა.

*ფოკუსი №41*

## იტალიის სამთავრობო კრიზისი დაძლეულია

მას შემდეგ, რაც იტალიის მემარცხენე ცენტრისტული კოალიცია „ზეთისხილის ხე", რომანო პროდის ხელმძღვანელობით და მისი მოკავშირე — კომუნისტური გარდაქმნის პარტია, ფაუსტო ბერტინოტის მეთაურობით, კომპრომისზე შეთანხმდნენ, იტალიის სამთავრობო კრიზისს ბოლო მოეღო. მრავალი რთული მოლაპარაკებისა და ორმხრივი დათმობის შემდეგ, მოკავშირეებს შორის გაუგებრობა აღმოიფხვრა. რომანო პროდი თანახმაა, კომუნისტების მოთხოვნა შეასრულოს. კერძოდ, ბიუჯეტი 300 მილიონი დოლარით გაზარდა. აგრეთვე, კომუნისტებს დაჰპირდა, რომ 2001 წლისათვის 35 საათიან სამუშაო კვირას დაანესებს (ადრე 40 საათიანი იყო). საფონდო ბაზარი ამ შემთხვევაში 2%-ით გაიზრდება და ახალი სამუშაო ადგილებიც გამოჩნდება, თუმცა ხარჯებიც მოიმატებს. ამიტომ, პროდის განზრახვას მოწინააღმდეგენიც გაუჩნდნენ; მაგრამ, მთავარია, რომ კრიზისი დაძლიეს. ევროპის კავშირის აზრით, იტალია ინტეგრაციის გზას დაადგა.

*იზვესტია №198*

ს/ს კომერციული ბანკი „ოლიმპი"
ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. №2
ტელ: 94-07-60; 94-07-61; ტელ/ფაქსი: 95-09-19

ბათუმი
ფარნაოზ მეფის ქ. 2
ტელეფონი: 7-50-26
ტელ/ფაქსი: 7-51-87

ბანკ „ოლიმპში" შეგიძლიათ განათავსოთ თქვენი დანაზოგები:
— შეიძინოთ ჩვეულებრივი 25 ლარიანი აქციები, ხმის უფლებით;
— მოათავსოთ ანაბარზე თქვენთვის სასურველი დროით და ხელსაყრელი პირობებით.
ჩვენ დავიბრუნებთ ბანკებისადმი დაკარგულ რწმენას

სამტრედია
შოთა რუსთაველის ქუჩა №2
ტელეფონი: 2-50-17

## კითხვა-პასუხი



**ვარ ბავშვობიდან პირველი ჯგუფის ინვალიდი. მივლის დედა. გთხოვთ, მიპასუხოთ, დედაჩემს, როგორც ჩემს მომვლელს, ეკუთვნის თუ არა მეტროს უფასო მგზავრობის ტალონი?**

*ლ. ფოთოლიშვილი*

უფასო მგზავრობის ტალონი (ქალაქის ელექტროტრანსპორტზე — მეტრო, ტრამვაი, ტროლეიბუსი) ეკუთვნის პირველი ჯგუფის ინვალიდებს, ხოლო მათ მომვლელებზე ასეთი სახის შეღავათები არსებული კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული.

**ვარ სამამულო ომის მონაწილე, 77 წლის. ვუთანაბრდები ომის ვეტერანებს (წიგნაკები განსხვავებულია). სად და როგორ შემიძლია დამადასტურებელი საბუთების გამოცვლა?**

*ზაქარია კაციაშვილი*

მიმართეთ საქართველოს ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტს, რომლის თავმჯდომარეც გახლავთ გიორგი ციციშვილი. ყველა სათანადო კონსულტაციას მიიღებთ აღნიშნულ დაწესებულებაში.

**ოჯახში ვცხოვრობთ 5 სული სხვადასხვა სახის პენსიონერი. ყოველ თვე თელასს ერიცხება ჩვენი პენსიიდან ელექტროენერგიის საფასურის დანამატი. აგვისტოდან ჩვენი ოჯახი გათავისუფლებულია ყოველგვარი გადასახადისგან. მე სახლმმართველობის ძველი ვალი მაქვს. გთხოვთ, გამარკვიოთ, შემიძლია თუ არა მოვითხოვო, თელასიდან ჩემს სახელზე ჩარიცხული ელექტროენერგიის საფასური გადაირიცხოს სახლმმართველობაში, ხოლო სოცუზრუნველყოფამ შეწყვიტოს გადარიცხვა თელასში და დამიმატოს პენსიაზე ჩემი კუთვნილი თანხა?**

*ე. ჩხიკვაძე*

არ ვიცით, რის საფუძველზე, მაგრამ თუ თქვენი ოჯახი გათავისუფლებულია ყოველგვარი გადასახადისაგან, ელექტროენერგიის საფასურის დანამატი ჩაერიცხება მხოლოდ თელასს, რადგან სახელმწიფომ ეს კომპენსაცია დააწესა ქვეყნის ელექტროენერგიის კრიზისიდან გამოსაყვანად. ამდენად, თქვენს მოთხოვნას სოცუზრუნველყოფის განყოფილება ვერ დააკმაყოფილებს.

**პერსონალურ პენსიონერს, ამჟამად, აქვს თუ არა შეღავათი ელექტროენერგიის და გაზის გადასახადზე?**

*ყაფლან მარწყვაშვილი, გორი*

პერსონალურ პენსიონერებს იმ კომუნალურ მომსახურებაზე, რომელსაც სახელმწიფო ახორციელებს, უწესდებათ 50% შეღავათი.

**ვარ 77 წლის. სამამულო ომის მონაწილე, პენსიონერი. მხედველობის დაკარგვის გამო, ვარ პირველი ჯგუფის ინვალიდი. გთხოვთ, განმიმარტოთ, რა რაოდენობის პენსია მეკუთვნის?**

არსებული კანონმდებლობით, სამწუხაროდ, დაგენიშნებათ ჩვეულებრივი პენსია, ხოლო ახალი საპენსიო კანონი, ჯერჯერობით, დამტკიცებული არ არის. მომავალში კი, პენსია დაგენიშნებათ ამ კანონის შესაბამისად.

*პასუხების მომზადებაში დაგვეხმარა საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროს სოციალური უზრუნველყოფისა და ადაპტაციის სამმართველოს უფროსი მადონა ბერაძე*

„ფაზისი"
ბინების ყიდვა-გაყიდვა,
შეფასება, სწრაფი
გაფორმება
მის: კოსტავას ქ. №17
(ვერის ბაზართან)
98-77-96
(დღისით)
32-33-99 (საღამოს)
პეიჯერი 7924, მამუკა

ვამზადებთ და ვღებავთ

რკინის
კარებს,
გისოსებს,
ჟალუზებს
და სხვა
რკინის
ნაკეთობებს
შეღავათიან
ფასებში
ალ. ყაზბეგის გამზ №34ა, საშენ-მასალათა კომბინატის უკან. ტელ: 39-79-46

ფირმა
„ვიატკა"

შეგიკეთებთ და დაგიმონტაჟებთ „ვიატკას" და „ვიატკის" ტიპის უცხოურ სარეცხ მანქანებს, შეგიკეთებთ ნებისმიერი ტიპის სარეცხ მანქანას.
გარანტიით,
შეღავათიან ფასებში
გამოძახება და
კონსულტაცია უფასოა
პეიჯერი 30-69, 67-74 ტ. 98-50-52,
30-34-41

ბინების,
ოფისების
ყიდვა-გაყიდვა-
დაქირავება-
დაგირავება
სწრაფი გაფორმება
ფირმა
«გეგა»
ლესელიძის 4, №1, ნოტარიუსის შენობა, III სართ.
99-94-18

ყველაზე იაფად
თუნუქის
სახურავების
შეკეთება, შეცვლა,
შეღებვა
მყარი გარანტიით
ანგარიშსწორება ნებისმიერი ფორმით
ტ: 37-35-90; 35-15-88
(ყოველდღე 8-23 სთ-დე)

# ხალისიანი ბლერი



ბლერი ხალხთან სიახლოვის დადასტურებას ყველგან და ყოველთვის ლამობს. გამონაკლისი არც მისი მოსკოვური ვიზიტი გახლდათ. ელცინთან მოლაპარაკებისა და სადილის შემდეგ, ის რადიოსადგურში იყო ჩაწერაზე პოპულარული „საპნის ოპერისა“ „სახლი ნომერი შვიდი, მე-4 სადარბაზო“. ესაა დადგმა, რომელიც დიდი ქალაქის ცხოვრებისეულ პერიპეტიებს ეხება. ჩაწერის დამთავრების შემდეგ, ბლერმა მოსკოვის დათვალიერება ისურვა. ერთ ქუჩაზე დაინახა, რომ მილიციელები დედაბერს ვაჭრობას უშლიდნენ და ვაშლის კალათასართმევდნენ. ბრიტანელმა პრემიერმა ლიმუზინის სასწრაფოდ გაჩერება ბრძანა და გაკვირვებული მილიციელების თვალწინ, ოცკაციანი დაცვის თანხლებით, დედაბერს გამოესარჩლა. ჯერ მილიციელებს კალათის დაბრუნება სთხოვა, შემდეგ ვერას (ასე ერქვა მოხუცს) მოეფერა და მთელი კალათი ვაშლი იყიდა. შემდეგ კი გამოკითხა, — როგორ ცხოვრობთ, რას იქმთო და რომ გაიგო, ვერა უმუშევარი იყო, მას თვით პრეზიდენტ ელცინთან შეპირდა პროტექციას — სამსახურის შოვნაში დაგეხმარებაო. დედაბერი და მილიციელები მანამ იდგნენ პირდაღებულნი, ვიდრე პრემიერის მანქანა თვალს მიეფარებოდა და არ სჯეროდათ მომხდარისა, მხოლოდ ბლერის მიერ ვაშლებისათვის გადახდილი საფასური — დედოფლის გამოსახულებიანი გირვანქა სტერლინგი იყო დასტური პრემიერ ბლერის რუს ხალხთან სიახლოვისა.

***ნიუზუიქ, 20 ოქტომბერი***

# აირჩიეთ სახელი

ამიერიდან მშობლებს მოეხსნათ სასიამოვნო საზრუნავი — რა დაარქვან პირმშოს. ეს მისია იკისრა ერთ-ერთმა ამერიკულმა კომპანიამ. მან ინტერნეტში შეიტანა მთელ მსოფლიოში გავრცელებული 14 ათასი სახელი. თანაც, ყოველი მათგანი განმარტებულია — თუ რას ნიშნავს, საიდან წარმოიშვა, როგორია მისი მოფერებითი ფორმები, რომელ ზოდიაქოში დაბადებულს რა სახელი უნდა დაერქვას და ა.შ.

რას იზამთ, ინტერნეტმა ცხოვრების ყველა სფერო მოიცვა და მშობლებს შვილის სახელის დარქმევის პრეროგატივაც კი წაართვა...

***ინტერფაქსი***

# მოსალოდნელია მიწისძვრა



„2000 წლისათვის რომის კოლიზეუმი დაინგრევა“, — იწინასწარმეტყველა მე-16 საუკუნეში ფრანგმა ასტროლოგმა ნოსტრადამუსმა. წინასწარმეტყველება დღემდე შიშის ჟრუანტელს ჰგვრის რომაელებს. „ამფითეატრი დროზე მივყიდოთ ამერიკელებს“, — ხუმრობდნენ იუმორის მოყვარული იტალიელები, მაგრამ მას შემდეგ, რაც რომის გარეუბან უმბრინოში მიწისძვრამ იტალიელები საწოლებიდან გადმოყარა, პირზე კლიტე დაიდეს.

„რომი საფრთხის წინაშეა. მართალია, იგი ეპიცენტრში არასოდეს მოხვდება, მაგრამ ძლიერი მიწისძვრების მცირე ტალღასაც შეუძლია კულტურული ძეგლების განადგურება“, — შეშფოთებული წერს გაზეთი „IL MASSAGGERO“.

„უდიდესი კატასტროფა შორს არ არის“, — წუხს ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდენტი ფრანკო შარბერი. „ყოველ 18 წელიწადში იტალიაში, რიხტერის შკალით, ექვს ბალიანზე მეტი სიძლიერის მიწისძვრა ხდება. 1980 წელს, ნეაპოლის მიწისძვრამ 3000 ადამიანი შეიწირა, განადგურება ემუქრება შენობების 65%-ს, 24 მილიონი ადამიანის სიცოცხლე საფრთხეშია.

ექსპერტების ვარაუდით, პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს სამშენებლო ფირმებს და ორგანიზაციებს, ვინაიდან მიწისძვრამდეგი შენობები იტალიაში თითზე ჩამოსათვლელია, რადგან 80%-ის სამშენებლო ნორმები დაცული არ არის. ფრანცისკულ ბაზილიკას ჩაუტარდა რესტავრაცია, გაუკეთდა ელასტიკური საბჯენები. სავარაუდოა, იგი 9-ბალიან მიწისძვრას გაუძლებს. დანარჩენი — 60000 ისტორიული ძეგლი კი განადგურდება.

***ფოკუსი №41***

# ახალი ვარსკვლავი სჭირდება კაცობრიობას?

ამერიკელებმა კოსმოსური ტელესკოპის „ჰაბლის“ მეშვეობით აღმოაჩინეს ახალი ვარსკვლავი „პისტოლეტი“, იგი უდიდესი და უბრწყინვალესია სამყაროში და „მეორე მზესაც“ უწოდებენ. რუსი მეცნიერის ჩუგაის აზრით, ლაპარაკია ახალ, წითელ გიგანტზე. ნებისმიერი ვარსკვლავი, ადამიანის მსგავსად, სიცოცხლის ყველა სტადიას გაივლის — დაბადებიდან გარდაცვალებამდე. რაც უფრო პატარაა ვარსკვლავის მასა, მით უფრო დიდხანს „ცოცხლობს“. მაგალითად, მზე 10 მილიარდი წელია, ანთია, ხოლო ცთომილის კვდომა ერთ მილიონ წელიწადს გრძელდება. სიცოცხლის დასასრულს ვარსკვლავი „იბერება“, „ფუვდება“ და წითლდება. სწორედ ეს გახლავთ ის წითელი გიგანტი. ვარსკვლავთა „სიკვდილის“ სხვადასხვა ვერსია არსებობს: როდესაც გაცივებული ვარსკვლავის ბირთვი ქვის მსგავს ნივთიერებად იქცევა, მაშინ მას „თეთრ ჯუჯას“ უწოდებენ. ბირთვი 10 კმ-ის რადიუსამდე შეიძლება დაპატარავდეს და მერე ფეთქდება. ყოველ მეასე წელიწადს 2-3 ვარსკვლავი მაინც ფეთქდება. საერთოდ, „მომაკვდავი“ ვარსკვლავი სამყაროში 10 ათასამდე თუ აღირიცხება. ეს ვარსკვლავები სიცოცხლის მიწურულს მზეზე ასი ათასჯერ უფრო კაშკაშებენ, რასაც სპეციალისტები „სიკვდილისწინა სიტუაციას“ უწოდებენ. ვარსკვლავებს „უკანასკნელი ამოსუნთქვისას“ აელვარება, გაბრწყინება სურთ. გალაქტიკაში ძალიან ბევრი მტვერია. ამერიკელების ტელესკოპი „ჰაბლი“ ძალზე მგრძნობიარეა ინფრაწითელი სპექტრის მიმართ. „ჰაბლის“ მიღწევა ის არის, რომ „პისტოლეტი“ ამერიკელებმა ზეგიგანტი ვარსკვლავეთის მტვრის დიდი ფენის მიღმა იპოვეს.

***იზვესტია №193***

# ცოლის ღალატს თუ ეჭვობთ...

ბრიტანელმა სოციოლოგებმა ეპოქალური აღმოჩენა გააკეთეს... ხანგრძლივი კვლევის შედეგად, მათ მოღალატე ცოლების საქციელში რამდენიმე საკვანძო დამახასიათებელ ნიშანს მიაგნეს... თუ ამ ნიმუშით ისარგებლებს, ნებისმიერი მამაკაცი მიხვდება, გაიჩინა თუ არა მისმა ქალმა გვერდით ვინმე.

კერძოდ, გამოირკვა, რომ ცოლი აუცილებლად გღალატობთ, თუ მას უკვე ჩვევად გადაექცა აბაზანიდან გამოსვლისას შუქი ჩართული დატოვოს, კარი — ღია; თუ რატომღაც გაუჩნდა ათასგვარ გათამაშებაში (ლოტო, ბანქო, რბოლა) მონაწილეობის სურვილი, ფლანგავს ფულს, გამუდმებით ვალებშია: თუ ზედმეტ დროს ატარებს სარკის წინ და ცდილობს საუბარში თქვენს დაჩაგვრას, ანუ — ცდილობს, დაგიმტკიცოთ უპირატესობა.

საკონტროლო ტესტის სახით სოციოლოგები გთავაზობენ, ეჭვმიტანილი მანქანით ჩავატაროთ გასრესილ ცხოველთან, თუ თქვენმა „ერთადერთმა“ ყურიც არ შეიბერტყა და საბრალო ცხოველმა ოდნავადაც არ შეძრა, ნუღარ აიტკივებთ თავს, აუცილებლად გღალატობთ...

***დვოე***

## ვინ ჯობია...

ქალისა და მამაკაცის განმასხვავებელ ნიშნებს სისტემატურად შეისწავლიან.

მამაკაცები უფრო კარგად ერკვევიან რუკაში, უკეთესი ორიენტაციის უნარი აქვთ, ადვილად იმახსოვრებენ უცნობ ადგილებში გზას. ქალი უფრო ემოციურ ინფორმაციას ითვისებს. მიმიკით, ხმით თუ ხელების მოძრაობით ქალი მეტ ინფორმაციას მიიღებს თანამოსაუბრის შესახებ, ვიდრე მამაკაცი. მამაკაცები მათემატიკური ნიჭით არიან დაჯილდოებულნი, სამაგიეროდ, ქალებს — უცხოური ენების შესწავლა უფრო ემარჯვებათ. მამაკაცს უფრო აწუხებს თავისი სიმსუქნე, ვიდრე ქალს. მამაკაცს უფრო ხშირად ემართება ინფარქტი და ინსულტი. მისი კანი უფრო უხეშია, ამიტომაც გვიან უჩნდებათ ნაოჭები, სამაგიეროდ, ქალის ორგანიზმი უფრო დიდხანს ინარჩუნებს შინაგან ახალგაზრდობას. ზოგიერთი ქალი სექსუალურ დაუკმაყოფილებლობას უჩივის. მამაკაცი კი ამ „მარცხს“ სტრესამდე განიცდის. ქალი ადვილად ეგუება ყოფით სიძნელეებს, მამაკაცი ცდილობს, გადალახოს და შეცვალოს კიდეც სამყარო. მამაკაცები უფრო მგრძნობიარენი არიან ფიზიკური და სულიერი განცდების მიმართ, მათ უფრო უჭირთ მარტოობის გადატანა და ბოლოს, მამაკაცის სიცოცხლე უფრო ხანმოკლეა ქალისაზე. ეტყობა, ბუნებას არ სჭირდება მამაკაცის დაბერება. განაყოფიერების შემდეგ, მისი ბიოლოგიური როლი დასრულებულია; ქალმა კი უნდა ზარდოს შთამომავლობა...

***მოსკოვსკი კომსომოლეცი №198***

# ლუდი ეროვნების მისანიშნებლად



28 წლის სან-ფრანცისკოელი ჯერემი ქოვენი, მეორე თაობის წარმომადგენელია იმ ამერიკულ-ებრაული ოჯახისა, რომელიც ერთ დროს ყველაზე პოპულარულ ლუდს უშვებდა. ჯერემის მემკვიდრეობად თითქმის გაკოტრების გზაზე მდგარი ფირმა ერგო. საქმის გამოსასწორებლად მან გადაწყვიტა, ისეთი ლუდი გამოეშვა, რომელიც მოსახლეობის გარკვეული ჯგუფისთვის იქნებოდა სასურველი. ასეთად მან თავისი თანამემამულენი — ებრაელები აირჩია. ისინი ხომ ამერიკის მოსახლეობის ანგარიშგასაწევ ნაწილს შეადგენენ! ქოვენმა მხატვარს შეუკვეთა ბოთლის ეტიკეტი, რომელიც მარკ შაგალის ნახატს უნდა მსგავსებოდა. მართლაც, ეტიკეტი „შაგალისეული“ გამოვიდა, მასზე ორთოდოქსი ებრაელი მამაკაცი, ოქროს კარიბჭე და იერუსალიმის უძველესი კედლებია გამოსახული. პირველი პარტია ამ ლუდისა ისეთი სისწრაფით გაიყიდა, რომ სუპერმარკეტების, კაფეების, ბისტროების პატრონები ტალღასავით მიაწყდნენ ქოვენის ოფისს შეკვეთების მისაცემად. ნასროლი მიზანში მოხვდა — ებრაელებმა „ებრაული“ ლუდი ამჯობინეს, არაებრაელებმაც მიბაძეს — ისინი ხომ დაბალი ხარისხის ლუდს არ იკადრებენო.

***ჰერალდ თრიბუნი***

# ახალი „კაიფი“

ბრიტანელი ახალგაზრდები დიდ პატივს სცემენ ჰაშიშს. ალბიონის მოსახლეობისათვის ეს ახალი ამბავი არც არის. შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა დეტალურად გამოიკვლიეს მოზარდთა მდგომარეობა და აღმოჩნდა, რომ 14-15 წლის გოგონები და ბიჭები „ვისკის“ და „სმირნოვსაც“ „იჩხირავენ“ ვენაში, რაზეც ორგანიზმი მაშინვე რეაგირებს. ნემსი 7-ჯერ უფრო ეფექტურია, ვიდრე ერთი ჭიქა სასმელი. ასე რომ, „კაიფი“ შედარებით იაფი გამოუდით. მაგრამ ნემსის ჩხვლეტის დროს ალკოჰოლთან ერთად სისხლში ხვდება ჰაერის ბურთულები, რაც აფერხებს თავის ტვინში სისხლის მიწოდებას და დამბლაც გარდუვალია.

***კომსომოლსკაია პრავდა №199***

# ცხოვრება გრძელდება

ფილიპ ვიგანი 33 წლის იყო, როცა ეს საშინელი დაავადება შეეყარა. უკვე 7 წელია, იგი ჩაკირულია საკუთარ სხეულში. არც მოძრაობა შეუძლია და არც ლაპარაკი. ორწელიწადნახევარი საავადმყოფოში მკურნალობდა. მერე შინ დაბრუნდა. სნეულებამ მის გონებას ვერაფერი დააკლო და ფილიპმაც მოისურვა, ხალხისთვის მოეთხრო საკუთარი შინაგანი ბრძოლის შესახებ წიგნში — „ეს ოხერი სიჩუმე“, რომელსაც ერთვის მისი მეუღლის, სტეფანიას მონათხრობი.

ადრე ფილიპი ხალისიანი, დაუდგრომელი სპორტსმენი იყო. ცოლ-ქმარს ჰყავს სამი შვილი, საოცარია, მაგრამ მესამე — პიერი, მამის დაავადებიდან 2 წლის შემდეგ დაიბადა, — ფილიპისა და სტეფანიას სიყვარული ვერაფერმა გატეხა.



მერედა, როგორ შეიქმნა ეს წიგნი? ფილიპ ვიგანი ყოვლისშემძლე კომპიუტერის წინ ასოებით სიტყვებს ქმნიდა, ამსხვრევდა სიჩუმის კედელს, გვაზიარებდა ცხოვრების სიყვარულს... კომპიუტერის სხივი მგრძნობიარეა ფილიპის გუგის მიმართ და მისი თვალის ყოველ დახამხამებაზე რეაგირებს. ამგვარად ახერხებს ასოებიდან სიტყვის შედგენას, ამგვარად გვატყობინებს თავის სევდაზე, სიხარულსა თუ სიყვარულზე. სწორედ სტეფანია მიხვდა პირველად, რომ მისი მეუღლის გონება უვნებელი იყო. ისინი კარგა ხნის განმავლობაში, ნელ-ნელა სწავლობდნენ ანბანურ კოდს, რომლის დახმარებითაც ერთმანეთს ესაუბრებიან.

სტეფანია ყველანაირად ეხმარებოდა, ამხნევებდა მეუღლეს. მისი წყალობით, ფილიპმა მიაღწია პატარა-პატარა გამარჯვებებს. შვიდი წლის ძალისხმევის შემდეგ, თავი სწორად უჭირავს და ბედთან შებრძოლებაც გადაწყვიტა. იგი მზერით წერს: „მესიზმრა, რომ ისევ ვილაპარაკებ და ვივლი“.

სტეფანია ამბობს — ჩემი ქმარი ჩვეულებრივ ადამიანად მიმაჩნიაო. ისინი ხშირად კამათობენ, მაგრამ მალევე რიგდებიან. სტეფანია არასოდეს ჩივის, მაგრამ იშვიათად აფეთქებაც იცის.

ფილიპი იხსენებს, როგორ ემატებოდა მხედველობა, თავდაპირველად, გაზეთების კითხვა შესძლო, მერე ტელევიზორით მატჩებს რომ უყურებდა, იგრძნო, მეტი შეეძლო, სურდა, ახლობლებისთვის გაეზიარებინა თავისი შეგრძნებები. უნდოდა, იმედი მიეცა მის ბედში მყოფთათვის, რომლებისთვისაც, როგორც წიგნის სათაურიდან ჩანს, ყველაზე მძიმე სიჩუმეა.

ფილიპი რესტორანში ოჯახთან ერთად დადის, ოღონდ მაყურებლად რჩება — მას ხომ საჭმლის დაღეჭვა არ შეუძლია და მეორე დღეს მიირთმევს მიქსერით ათქვეფილ იმავე კერძებს. ბედნიერია, ცოლშვილს რომ შეჰყურებს, ბუნების სილამაზით რომ ტკბება. იგი ალტრუისტია, სხვების მიმართ უფრო ყურადღებიანი გახდა, თუმცაღა, საშინლად ეჭვიანიცაა, რასაც თავისი ფიზიკური მდგომარეობით ხსნის, წიგნში კი ხშირად თავს კვაზიმოდოსაც უწოდებს.

ფილიპის აზრების გადმომცემი კომპიუტერი ერთადერთია საფრანგეთში, რომელიც 100000 ფრანკი ღირს. თავიდან იგი ოც წუთში ერთ „სტრიქონს“ „წერდა“, ახლა კი ორ საათში ერთ გვერდს ქმნის.

***პარი მატჩი №2525***

ჩაიფინეთ ფეხსაცმელში „ბიომაგი“ და იგრძნობთ ჯანმრთელობისა და სიცოცხლის მშვენიერებას!

გთავაზობთ უნიკალურ ფეხსაცმელში ჩასაფენს — „ბიომაგს“, რომელიც დამზადებულია ჰიგიენური პლასტიკური მასალისაგან. მასში ჩამაგრებულია სამკურნალო მაგნიტური ბურთულები და სპილენძის ფირფიტები. იგი იცავს თქვენს ფეხებს ოფლიანობისაგან, სუნისაგან, მოყინვისაგან, აძლიერებს ორგანიზმში სისხლის მიმოქცევას, არეგულირებს წნევას, ნივთიერებათა ცვლას, ამაღლებს პოტენციას, აუმჯობესებს მეხსიერებას.

მოგვმართეთ საფეთიაქო ბაზაში „ფარმაცია-21“
(ცალობით და ბითუმად)
თამარ მეფის №22 (ყოფილი ჩელუსკინელების)
ტელ: 94-11-30

დისტანციური სიგნალიზაცია თქვენი ავტომობილებისათვის
სწრაფად, იაფად და ხარისხიანად
გარანტიით
ვიღებთ შეკვეთებს
მის: კანდელაკის 41 (გაგარინის მოედნის მიმდებარე ტერიტორია)
ფალიაშვილის 36 (კ. გამსახურდიას ძეგლის გვერდით)
ტელ: 8-77-40-75-34

ფირმა „იმედი“
დაგეხმარებით ბინების ყიდვა-გაყიდვა-გაქირავებაში
მის: ფალიაშვილის 43
ტ: 29-15-00; 22-82-64 (საღამოს)

## დედის კვალზე



ამბობენ, მსახიობური ნიჭი შთამომავლობით გადადისო. მონაკოს სამეფო სახლი ამის თვალნათლივი დასტურია. პრინცი ალბერტი, რომელიც ჰოლივუდის ვარსკვლავის, გრეის კელის შვილია, „MJM“-მა ფილმში მიიწვია. გადაღება უკვე დაიწყო. მას „ერთი კაცის გმირი“ ჰქვია. მოგვითხრობს ნამდვილ ამბავს ირლანდიელ ჯარისკაცებზე, რომლებიც მექსიკის მხარეზე იბრძოდნენ მექსიკა-აშშ-ის ომში. ირლანდიურ ბატალიონს მეთაურობდა მექსიკელთა ეროვნულ გმირად შერაცხული ჯონ რეილი (ტომ ბერგერის შესრულებით). პრინცი ალბერტი სურათში არტილერისტს თამაშობს, რომელსაც თავდავიწყებით შეყვარებია უბრალო მექსიკელი გოგონა. როგორც ამბობენ, პირველსავე დღეს ალბერტმა ისეთი სამსახიობო ოსტატობა გამოამჟღავნა, რომ, შესაძლოა, სხვა ფილმებში სათამაშოდაც მიიწვიონ. ამით კი, პირველ რიგში, გრეის კელი გაიხარებდა. ერთი შვილი ხომ მაინც გააგრძელებს მის პროფესიას.

*ნიუზუიქ, 20 ოქტომბერი*

## განქორწინების წინააღმდეგ

ბავშვების დასაცავად ამერიკაში განიხილავენ ქორწინების კონტრაქტის ახალ მოდელს, რაც, განხეთქილების შემთხვევაში, საბოლოო განშორებამდე მოსაფიქრებლად 2 წელს ითვალისწინებს. ლუიზიანის შტატში ეს წესი 15 აგვისტოდან უკვე ძალაშია. გამოკითხვის შედეგები მოწმობს, რომ ეს სიახლე ძალიან მოსწონთ მრავალ ქვეყანაში.

აშშ-ში განქორწინება საზოგადოების ნამდვილი ჭირია. ინგრევა ოჯახების ნახევარი. სოკოებივით მრავლდება ყოფილ ცოლთა კლუბები, რომლებიც უფრო ახალგაზრდა ლამაზმანთა მიზეზით მიატოვეს. მიჩიგანში ქორწინებამდე საოჯახო ანტისკენების სემინარების გავლას ითხოვენ. სამწუხაროდ, ამ ყველაფერს შედეგების გაუმჯობესება არ ძალუძს. **მაიკლ დუგლასის** მეუღლემ დაიანდრამ შვილის, კამერუნის გამო, რამდენჯერმე დახუჭა თვალი „ძირითადი ინსტინქტის“ გმირის ნაკლზე და ოჯახი არ დაანგრია. დღეს კი განქორწინება მაიკლს 280 მლნ ფრანკი ანუ თავისი ქონების ნახევარი უჯდება.



**ქევინ და სინდი კოსტნერებს** ლუიზიანაში რომ ეცხოვრათ, არც ოჯახი დაენგრეოდათ და ქევინიც 388 მლნ ფრანკის ეკონომიას გააკეთებდა — ეს ხომ განქორწინებისას გადახდილი ერთ-ერთი უდიდესი თანხაა, „წყლის სამყაროს“ გადაღებისას ერთ უბრალო მოცეკვავესთან ლაღობის გამო ქევინი მეუღლეს გაეყარა და პატიოსანი ქმრის სახელიც შელახა.

მამაკაცების „რისხვა“ ლამაზმა ქალმა ხომ მსოფლიო გააოცა, როცა სამიოდ კვირის ნაცნობობის შემდეგ, 1993 წლის 27 ივნისს ქანთრის მომღერალს, შეუხედავ ლაილ ლოვეტს გაჰყვა ცოლად. იდილია სულ 21 თვეს გაგრძელდა. ამასობაში, **ჯულია რობერთსი** 4 ფილმში გადაიღეს, ლაილი კი 6 თვე გასტროლებზე გახლდათ. ისინი ერთმანეთს დაშორდნენ, თუმცა საუკეთესო მეგობრებად დარჩნენ, ერთმანეთს ახლა უფრო ხშირად ნახულობენ, ვიდრე ცოლ-ქმრობისას. შესაძლოა, ახალ კანონს ისინიც ხელახლა შეერთგებინა.



**რობინ რაიტსა და შონ პენს** 5 წლის განმავლობაში იმდენი უსიამოვნება, ბუტიაობა და ჩხუბი ახსოვთ, ვინ მოსთვლის. მადონას ნაქმრევი და „სანტა-ბარბარას“ მშვენიერი გმირი ერთმანეთის ტანჯვა-დამცირების გარდა, არაფერს აკეთებდნენ. რობინი შინ 2 შვილთან ერთად რჩებოდა, შონი კი მანქანა-კარავში ცხოვრობდა. ლოდინმა გაამართლა, სიყვარულმა გაიმარჯვა, 1996 წლის 27 აპრილს მოჩხუბარმა შეყვარებულებმა სანტა-მონიკაში იქორწინეს.

ქერა მზეთუნახავი **პამელა ანდერსონი** 1995 წლის 19 თებერვალს ტანმოსვირინგებულ როკერს — ტომს გაჰყვა და დიდ განსაცდელშიც ჩაიგდო თავი. რა არ გამოიარა: ნარკოტიკები, ჩხუბი, განშორება, თვითმკვლელობის მცდელობანი. მაგრამ 1996 წლის ზაფხულში ვაჟის, ბრენდონის დაბადებამ აუტანელი წყვილი შეაკავშირა. ცოტა ხანში საშინელებათა ციკლი კვლავ განახლდა, პამელამაც განქორწინება მოითხოვა, მაგრამ, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე მოსაფიქრებელი პერიოდი დაიტოვეს, ახლა კი მეორე შვილს ელიან.



ელიზაბეტ ტეილორმა და რიჩარდ ბარტონმა, მელანი გრიფიტმა და დონ ჯონსონმაც ტკბილ-მწარე სიყვარულის ყველანაირი სიმაღლე და დაცემა განვლეს. პირველად რომ იქორწინეს, დონი 25 წლის იყო, მელანი კი — 18-ის. ერთი წლის ჯოჯოხეთური სკანდალების შემდეგ განქორწინდნენ. მაგრამ ვერც უთვალავმა რომანმა, ვერც ათასგვარმა სიგიჟემ ვერ შეუშალა ხელი კვლავ ექორწინათ 1989 წელს, 1996 წელს კი საბოლოოდ დაშორდნენ ერთმანეთს. ახლა მელანი უსაზღვროდ ბედნიერია ანტონიო ბანდერასთან, დონი კი — დამწყებ მსახიობთან. სამწუხაროდ, ლუიზიანას კანონმა დონსა და მელანის ველარ მოუსწრო.

*პარი-მატჩი №2525*

## ლოთებს ცხელი არაყს მიჰყიდიან

მექსიკის შტატის ტაბასკოს ხელისუფლებამ ლოთობის საწინააღმდეგო ღონისძიებას მიმართა და შემოიღო კანონი, რომელიც ალკოჰოლური სასმელების მეპატრონეებს (კაფე-ბარ-რესტორან-მაღაზიებს) კატეგორიულად უკრძალავს სასმელის, თუნდაც ლუდის, ჩაციებას. ახალმა ანტიალკოჰოლურმა კამპანიამ, ადვილი შესაძლებელია, გაამართლოს, რადგან საშუალო ტემპერატურა ტაბასკოში 35%-ია. კანონის შემომღებთა აზრით, ასეთ სიცხეში თავგადაკლული ლოთბაზარაც კი ვერ შესძლებს, გადახუხოს ერთ ჭიქა თბილ სპირტიან სასმელზე მეტი.

*ბულვარნიე ნოვოსტი*

## ყველაზე ლამაზი ქალი

მესამე წელია, — „მისის ვაშინგტონის“ ტიტულს ზედიზედ აკუთვნებენ ქალს, რომელსაც თმისა და წამწამების ნასახიც კი არ გააჩნია. 35 წლის კერი შიკლის თმის ცვენა 1982 წლიდან დაეწყო და 89-ში, მესამე ბავშვზე მშობიარობის შემდეგ, აბსოლუტურად გამელოტდა. ექიმებმა ვერაფერი გაიგეს. თავდაპირველად, უპარიკოდ და დაწებებული წარბ-წამწამის გარეშე საკუთარ შვილებსაც კი არ ეჩვენებოდა... ერთ მშვენიერ დღესაც, მობეზრდა ეს მასკარადი და შუა გაკვეთილზე (კერი მასწავლებელია) მოიშვლიპა მომაბეზრებელი პარიკი.

— რა საკაიფოა! — აღმოხდა გაშტერებულ კლასს და მეორე დღესვე რამდენიმე გოგონა კერის „ვარცხნილობით“ გამოცხადდა.

ამ მიბაძვამ წაახალისა კერი და გაბედა, განაცხადი შეეტანა „მისის ვაშინგტონის“ ტიტულის მოსაპოვებლად. აკი მოგახსენეთ, სილამაზის კონკურსში უკვე მესამე წელია, იმარჯვებს და სხვა კონკურსანტებმაც ლამის მართლაც დაიპუტონ თმები.

*ბულვარნიე ნოვოსტი*

## ნელსონ მანდელას ვარსკვლავ-სტუმრები

თვრამეტი კუპე დამზადებულია ხის უძვირფასესი ჯიშების მასალით, აბაზანები მარმარილოსია და ონკანები, ოქროსი. ძველი, პრესტიჟული ცისფერი მატარებელი მკვდრეთით აღსდგა, მის განახლებას ნელსონ მანდელამ 90 მილიონი ფრანკი მოანდომა, საზეიმო გახსნაზე კი საერთაშორისო ვარსკვლავთა მთელი კოჰორტა მიიწვია. პრეტორიიდან ქეიფთაუნამდე ხანგრძლივი მოგზაურობისას პრეზიდენტი გვერდიდან არ მოსცილებია თავის სათაყვანებელ ნაომი ქემფბელს. მეზობელ კუპეში ნებივრობდნენ იმრან და ჯემიმა ხანები. მია ფაროუს ნიუ-იორკში დაეტოვებინა თავისი მრავალრიცხოვანი შვილი და მხოლოდ რვა წლის სეიჩელი ახლდა მოგზაურობისას. დედა-შვილი ტკბებოდა, მთების, უდაბნოებისა და ველების შესანიშნავი სანახაობით. ზეიმში ქუინსი ჯონსიც მონაწილეობდა და საზოგადოებას ამაყად წარუდგინა ახალი სატრფო ლიზეტ დერუო.



ეს მატარებელი 1923 წელს აიგო და თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ გაანადგურეს. იგი სამხრეთ აფრიკის 1600 კილომეტრიანი რკინიგზის ნამდვილი მშვენება იქნება. ამჟამად კი, მანდელას მიერ მეგობრებისათვის შეთავაზებულ ორდღიან მგზავრობას მეტად კეთილშობილური მიზანი ჰქონდა, — შემოსავალი ბავშვთა დახმარების მანდელას ფონდში გადაირიცხა.

*ფიგარო №2524*

## ხულიო იგლესიასის ახალი სიცოცხლე

ხულიო იგლესიასის უმცროსი ვაჟი მიგელ ანხელ ალესანდრო 7 სექტემბერს დაიბადა. მშობიარობის წინა დღეს მირანდას ეკლესიაში ულოცია, რომ ბავშვი მეორე დღეს დაბადებულიყო, რადგან ხულიოს ორ დღეში მადრიდში უწევდა წასვლა. ნატვრა აუსრულდა. ყველაფერი ძალზე სწრაფად მოხდა, რაც მთავარია, ადვილად — მირანდამ ბავშვი ხუთ წუთში გააჩინა. შვილის სახის დანახვამ ყველა სიძნელე გადაავიწყა. ხულიოს უთქვამს, — თუ ასე იოლად გააჩენ შვილებს, ალბათ, ხუთი კიდევ უნდა ვიყოლიოთო. ამჟამად მომღერალი პირველად დაესწრო თავისი შვილის დაბადებას. კიდევ ხუთი შვილის ყოლის სურვილს, შესაძლოა, ქორწინებაც მოჰყვეს.



მართლაც, ხულიო და მირანდა უსაზღვროდ ბედნიერები არიან. მამა ბავშვს განუწყვეტლივ თავს დასტრიალებს. საერთოდ, როგორც ამბობენ, იგი ძალიან ყურადღებიანი ყოფილა. ახლობლები და მეგობრები მისი იმედით არიანო. უამრავი რომანის, იმედგაცრუების და დეპრესიის შემდეგ ხულიომ, როგორც იქნა, იპოვა ქალი, რომელიც მხოლოდ მისთვის და ამიერიდან — მათი შვილისთვის ცოცხლობს. მშობლები საათობით შესცქერიან პატარას, რომლის დაბადებამაც ხულიოს ახალი სული შთაბერა.

*პარი მატჩი №2524*

## დაიანას ასტროლოგის სიზმარი

დაიანას ასტროლოგმა, პენი ტორტონმა, სენსაციური განცხადება გააკეთა. მან თქვა, რომ ორი წლის წინ ნახა სიზმარი: დაიანა იჯდა შავ „საბედისწერო“ „მერსედესში“, მოსდევდნენ მოტოციკლისტები, ახლოვდებოდა გვირაბი, თავზარდაცემული ქალი ყვიროდა, — „გვიშველეთ, რამე ილონეთ!“, იგი სადღაც ვარდებოდა. პენიმ გააფრთხილა დაიანა მოსალოდნელი საფრთხის თაობაზე. ეს სიზმარი ზუსტად არის აღწერილი მის წიგნში („დაიანას სიყვარულით“...), რომელიც 1995 წელს გამოიცა.

*ექსპრეს-გაზეტა №40*

## დაიანას გაჩენამ შექმნილი ბუმი — სიყვარული, ტკივილი, კომერცია

ერთნი ცრემლებად იღვრებიან, მეორენი ავტოკატასტროფას ეჭვის ქვეშ აყენებენ.

და არიან ისეთებიც, ვისთვისაც დრამა კომერციულ საქმედ იქცა.



1) ინგლისში ახალშობილ გოგონათა უმრავლესობას დაიანა დაარქვეს.

2) ინგლისის ფოსტამ გამოუშვა მარკები დაიანას გამოსახულებით.

3) მატჩბოქსი აპირებს MERCEDES 280S-ის, მანქანის, რომლითაც დაიანა დაიღუპა, სათამაშო ასლის გამოშვებას.

4) კიოლნელი პარიკმახერი 60 მარკად ქალებს დაიანას ვარცხნილობას უკეთებს. წიგნები დაიანაზე თაროზე არ ჩერდება. ელტონ ჯონსის „CANDLEIN THE WIND“ მეგა-სელერად იქცა.

5) ჰოლივუდი ახალი დილემის წინაშე დადგა:

ვინ განასახიერებს დაიანას როლს?

ა) გვინეთ პალთროუ; ბ) ელიზაბეთ ჰარლეი; გ) ნატაშა რიჩარდსონი.

როგორ განაწილდება სხვა როლები?

ა) დაიანას უფროსი ვაჟი, პრინცი უილიამი — იდეალური როლია ლეონარდო დი კაპრიოსთვის.

ბ) კამილა პარკერ-ბოულზს, ჩარლზის სატრფოს — ითამაშებს გლენ კლოუზი.

გ) ოჯახის ობერმეთაურის, დედოფალ ელისაბედის როლს განასახიერებს ჯუდი დენჩი.

დ) დაიანას მეგობრის დოდი ალ-ფაიედის როლის შესრულება დაეკისრა კინუ რივზს.

*შტერნი №41*




**თარაზულად:** 1. ტომატი, ქოლგეითი; 3. ნაძვის ხე, ქოლგა; 5. ხარი, დაშნა; 8. ტყე, მსხალი; 9. გორი, სიონი; 11. ბომბი, პროტონი; 12. ფროიდი, სიზმრები; 13. ილიჩი, შუქი; 18. ლარიბაშვილი, „მალბორო“; 19. სტეპი, ტუნდრა; 20. „ფალიაშვილის ქუჩა“, ცოფი; 22. „ჭადრაკი“, მანქანა; 26. ლორები, „გულუა“; 27. პაპაზოლი, კრიზი; 29. დანაყოფი, სახაზავი; 31. ნაპერწკალი, ლენინი; 32. კუვეიტი, ჰუსეინი; 33. მოსკოვი, გლადიატორი; 34. ვაშლი, მსხალი; 35. თეატრი, ანონსი.

**შვეულად:** 1. სმოკინგი, „გაფრინდი...“; 2. პროგნოზი, სინოპტიკოსი; 3. პარასკევი, კომუნისტი; 4. ყვავ-ყორანი, მეფე; 6. რკინიგზა, ქალაქი; 7. ციცერონი, მიტინგი; 8. კარიესი, ცემენტი; 10. ღმერთი, ცბიერი; 14. ბესო, ნემსი; 15. დამასკო, ალეპო; 16. არიზონა, ნახევარგანაკვეთი; 17. მარცხენა, წერა; 21. მაშა, მარტენი; 23. საპირფარეშო, საყვავილე; 24. კახეთი, ხორცი; 25. იუპიტერი, ვენერა; 27. ინკუბატორი, კვერცხი; 28. თევზი, ჭიაყელა; 29. გაზეთი, მუხლი; 30. რადიო, ფუნიკულიორი.

შემდგენელი გოგა ჩანადირი

© თბილისი, 1997

ნინა ასოციაციის პასუხები:

თარაზულად: 1. კოცონი; 3. მონიკა; 5. მწირი; 7. სხივი; 8. ბამბა; 12. არსენა; 13. იბერია; 18. ლითონი; 19. ბოსნია; 20. მითი; 21. მზია; 22. ოქრო; 26. ნაზი; 28. ნილოსი; 29. მტვერი; 30. წამალი; 32. ლატვია; 34. სიონი; 35. ცარცი; 36. მერია; 37. ანბანი; 38. აკვანი.

შვეულად: 1. კურკა; 2. იახტა; 3. მავრი; 4. აჭარა; 6. წინმატი; 9. ბატკანი; 10. ასმათი; 11. ორდენი; 14. ქლინთონი; 15. სნიკერსი; 16. კომბოსტო; 17. კამპანია; 23. ქიშმიში; 24. ფლეგმა; 25. თელავი; 27. ზაფხული; 30. წინდა; 31. ისარი; 32. ლოცვა; 33. ათენი.

# ფრანგული კინოს ძველი თაობა მწყობრშია



ფრანგული კინოს ცნობილი ვარსკვლავი ფილიპ ნუარე გადაღებებს შორის შუალედებში სოფელში ცხოვრობს. მასთან სტუმრად ჩასული ჟურნალისტები ან კოლეგები განცვიფრებულნი რჩებიან, — ყველას რატომღაც ჰგონია, რომ ძველებური კოშკი თუ არა, მდიდრული სახლი მაინც დახვდებათ კარკასონის მახლობლად, მაგრამ ნუარე ჩვეულებრივ სოფლურ ფერმაში ეგებება სტუმრებს, არც დახურული თუ ღია აუზები ჩანს სადმე და არც სპორტული დარბაზი. ნუარეს მოსწონს აქაურობა. შეთეთრებულ კედლებს გამხმარი ყვავილების თაიგულები ამშვენებს... სადა ხის ავეჯი, ქაშანურის ჭურჭელი — აქ პროვინცია გახლავთ და არა ლაჟვარდოვანი სანაპირო, — ღიმილით ეუბნება ფილიპ ნუარე სტუმრებს.

ცნობილი კომერსანტის ვაჟს — ფილიპ ნუარეს, დროთა განმავლობაში მამის ადგილი უნდა დაეკავებინა და მშობლებმა ყმაწვილი პარიზში გაგზავნეს განათლების მისაღებად. ნუარეს კი სხვა გეგმები ჰქონდა. პარიზში ჩასვლისთანავე ჟან ვილარის თეატრს მიაშურა და სტატისტობა დაიწყო. არც კაბარეში მუშაობა უთაკილია. როცა მამამ შეიტყო, რომ მისი ერთადერთი ვაჟი მსახიობობას აპირებდა, ფინანსური დახმარება შეუწყვიტა.

კინოში გადაღება გვიან დაიწყო. პირველი მნიშვნელოვანი როლი რენე კლერის „მსოფლიოს ოქროში" ითამაშა, როცა ოცდაათს კარგა გადაცილებული იყო. ამას მოჰყვა „შინაბერა", „ძველი თოფი", „აფრიკელი", „სენ-პოლელი მესაათე" და ა.შ. მერე კი მის ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა — პრემიას პრემია მოჰყვა, როლს — როლი. 40 წლამდე საშინელი ღორმუცელა და ღვინის მოყვარული იყო, ზოგჯერ ისე სუქდებოდა, მთელი გარდეროპის განახლება უწევდა. ერთხელ სიზმარში (თუ ცხადში) ხმა ჩაესმა — ასეთ ცხოვრებას უნდა მოეშვა, თორემ... ნუარემ გადაწყვიტა, რომ სიცოცხლისათვის ღირდა ზოგიერთი მავნე ჩვევის დათმობა...

ნუარე და მისი ცოლი მონიკა სოფელში თითქოს მყუდრო ცხოვრებას ეწევიან, მაგრამ იქაც არ ასვენებენ ჟურნალისტები, რეჟისორები. ზოგი ახალ სცენარს სთავაზობს, ზოგს მასზე სტატიის დაწერა სურს, ნუარე უარს ვერავის ეუბნება, თუმცა, გულში ყოველთვის თავის სასურველ სტუმარს — პატარა შვილიშვილს — დებორას ელოდება. დედამისზე — თავის ქალიშვილზე კი ნაწყენია. იგი მწერალია და ამას წინათ პარიზში გამოსულ მის რომანში ყველამ იცნო ნუარე და მისი ცოლი მონიკა. სოფლური იდილიის ერთი თვე მალე გაირბენს და ისევ. ხმაურიანი პარიზის კიდევ უფრო ხმაურიანი გადაღებები ელის ძალიან ცნობილ აქტიორს, რომელსაც საფრანგეთში ჭეშმარიტ ფრანგ მსახიობს უწოდებენ.

*ტვ პარკი №41*

# მადონა რაისა გორბაჩოვას როლს ითამაშებს



„ევიტას" წარმატებით ფრთაშესხმულმა ალან პარკერმა ლოს-ანჯელესში განაცხადა, რომ მალე შეუდგება ახალი სუპერკოლოსის გადაღებას კვენტინ ტარანტინოს სცენარის მიხედვით. ფილმის სავარაუდო სახელწოდება გახლავთ „რაისა" და მასში წარმოდგენილი იქნება საბჭოეთის ისტორიის ხუთი პოსტმოდერნისტული ვერსია, რომელთა საერთო არსი გახლავთ ის, რომ ეს „ძმური ოჯახი", სოციალისტური წყობილების დასაყრდენი მსოფლიოში და, კერძოდ, ამერიკული დემოკრატიის უპირველესი მტერი — რაისა გორბაჩოვას ქალურ კაპრიზს შეეწირა.

...რაისა ჯერ კიდევ სტუდენტობიდან იშვიათი სენითაა შეპყრობილი, თუმცა დაავადება ხელს არ უშლის, რომ თავისი თანაკურსელი, ამერიკელი მზვერავი გულუბრყვილო მეუღლისგან მიღებული ინფორმაციით მოამარაგოს. როდესაც საბრალო გორბაჩოვს წარუდგენენ მის მიერ „გამჟღავნებულ" სახელმწიფო საიდუმლოებათა გრძელ სიას, პარტიის ლიდერს ისღა დარჩენია, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყველა მითითება უსიტყვოდ შეასრულოს და „შიგნიდან" შეუდგეს საბჭოთა კავშირის ნგრევას. ფილმში რაისა არწმუნებს ქმარს, რომ დემოკრატია და საჯაროობა სოციალისტურ წყობას განამტკიცებს. რაისას ფარულ ჩანაფიქრს მხოლოდ მარგარეტ თეთჩერი ხვდება და ინტელექტუალური თუ ქალური მომხიბვლელობით ცდილობს, თვალი აუხილოს გორბაჩოვს, რომელიც ამის შემდეგ ამაოდ ცდილობს რეფორმის დამუხრუჭებას. რაისა ფინკელშტაინი (ქალიშვილობის გვარია) მასონთა ლოჟის აგენტიც ყოფილა; მან ახალგაზრდობაში შეჰფიცა სამსახური რუსეთის დაუძინებელ მტერს — ლემონ ალკვაზეკილს. ამიტომაც გაჰყვა ცოლად პერსპექტიულ პარტიულ აქტივისტს. ასეთია მოკლედ ფილმის შინაარსი...

რაისა გორბაჩოვას როლს მადონა შეასრულებს. ახალგაზრდა მიხაილ გორბაჩოვს — თომ ქრუზი; მოწიფულ ასაკში კი მას სერ ენტონი ჰოპკინსი შეცვლის. იური ანდროპოვის როლში ჯეკ ნიკოლსონს ვიხილავთ, ლეონიდ ბრეჟნევს კი ენტონი ქუინი შეასხამს ხორცს. ბორის ელცინს ჯონ ვიტი ითამაშებს; კვენტინ ტარანტინომ წინასწარმეტყველ რამანუჯანის როლი ირჩია. როგორც ვხედავთ, ბრწყინვალე ვარსკვლავებმა მოიყარეს თავი, რაც ერთგვარ პიკანტურობას მიანიჭებს თვით ფილმს და ჩვენთვის კარგად ნაცნობ ამბავსაც.

მომავალი ფილმის ბიუჯეტი 95 მილიონ დოლარს შეადგენს. რეჟისორი დარწმუნებულია, რომ მისი შემოსავალი პირველსავე თვეებში ორმაგად აანაზღაურებს ხარჯებს.

*7 დღე №43*

# სტალონეს ბედნიერება

ყოველ ფილმში მუშტებმომარჯვებული სილვესტერ სტალონე სინაზის განსახიერებად იქცა. მას და ჯენიფერს მეცხრე ცას მიუწვდათ ხელი, როცა პატარა სოფია-როზა დაიბადა, მაგრამ პატარას გულის მანკი აღმოაჩნდა და მშობლების სიხარულს ჩრდილი მიადგა. საბედნიეროდ, ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა, ამჟამად კი 13 თვის გოგონა უკვე დადის და ჭიკჭიკებს კიდეც. მადლიერი მამა ამ სასწაულისათვის ღმერთს მადლობას უხდის, ცხოვრებისაგან მეტს აღარაფერს ითხოვს, — შვილზე უკეთესი რა უნდა მოეცა უფალსო.



ცოლ-ქმარი უფრო დაუახლოვა ერთმანეთს თავს დამტყდარმა ტრაგედიამ — ჯენიფერს ზაფხულში 5 თვის მუცელი მოსწყდა. სლაიმ გადაწყვიტა, მთავარი ოჯახური ბედნიერებაო და ამიტომ, პირველ რიგში, მაიამიში სახლის გაყიდვა გადაწყვიტა. სახლი მართლაც ძალიან დიდია, მისი დაცვა ძალზე ძნელია, სიმყუდროვეზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

სასახლე ტროპიკულ მცენარეებშია ჩაფლული, 5 ჰექტარი ეზო დამშვენებულია შადრევნებით, ჩანჩქერებით, ანტიკური ქანდაკებებით და იაპონური ბაღით, სასახლეში ნახავთ ხელოვნების უძვირფასეს ნიმუშებს, მარმარილოს დერეფნებს, ნეოკლასიკურ ავეჯს, სამეჯლისო დარბაზის ჭერი ფრესკებითა და ოქროსფერი ფოთლებითაა შემკული. აივნები ბისკაის ყურეს გადაჰყურებს. სავარჯიშო დარბაზი ტექნიკის უკანასკნელი მიღწევითაა აღჭურვილი. კინოდარბაზი პანორამულეკრანიანია. მარანში ათი ათასი ბოთლი საუცხოო ღვინო ინახება. სამფლობელო 175 მლნ ფრანკად არის შეფასებული და უკვე 6 მყიდველი გამოუჩნდა.

სტალონეს კი ყველაზე მეტად თავისიანების ბედი აინტერესებს და, შესაძლოა, თავის კარიერასაც სხვაგვარად ხედავს. იგი ამჟამად უფრო ჰუმანური იმიჯის შექმნისათვის იღვწის. ბოლო ფილმში მონაწილეობისათვის 15 კგ-ის მომატება დასჭირდა. ყველას ეშინოდა, ვაითუ, მარლონ ბრანდოს კვალზე წავიდესო, მაგრამ გადაღების დამთავრებისთანავე ჩვეული ფორმა დაიბრუნა, — სოფია-როზას ხომ ჯანმრთელი მამიკო სჭირდება!

სლაი ახალი ბუდის მოწყობას, ახალი ცხოვრების დაწყებას პალმ-ბიჩში აპირებს. მისთვის ახლა ცხოვრება გარეთ კი არა, უფრო შინ არის საინტერესო. გული კი მხოლოდ მეუღლის, ქალიშვილისა და ორი მოზრდილი ვაჟიშვილისთვის უძგერს. სილვესტერ სტალონემ 51 წლის ასაკში ჭეშმარიტი ბედნიერება იპოვა.

*პარი მატჩი №2525*

# ჰარისონ ფორდი



„12 მილიარდიან ბატონს", ჰარისონ ფორდს, როგორც თვითონ ამბობს, ხტუნვა-კუნტრუშსა და ოფლის ღვრას გულუხვად უნაზღაურებენ. შეერთებული შტატების პრეზიდენტობას მისი როლის თამაში სჯობს — პრეზიდენტს წელიწადში 1,2 მილიონ ფრანკს უხდიან, მისი როლის შესრულებაში კი მე ასჯერ მეტი მომცესო, — ხუმრობდა „საჰაერო ძალების" გადაღებისას, რომელშიც ქლინთონის როლი განასახიერა. არც არის გასაკვირი — ის ხომ საუკუნის ვარსკვლავადაა წოდებული! თუმცა, თავი დიდად არ მოაქვს.

„ვარსკვლავური ომის" პირველი ფილმის გამოსვლიდან 20 წელი გავიდა, 55 წლის ჰარისონ ფორდი ამერიკული კინოს ერთ-ერთ თვალსაჩინო ფიგურად იქცა. ფორდს თითოეულ ფილმში ას მილიონ ფრანკს უხდიან, მასვე ეკუთვნის მოგების 15%. მსახიობი თავის პროფესიასა და როლს უდიდესი სერიოზულობით ეკიდება.

...მას კიდევ არ მოშუშებია „საჰაერო ძალების" გადაღების დროს დაშავებული მარჯვენა ხელი. მაყურებელს გული უჩერდება, ტერორისტი (ჰარი ოლდმანი) ფორდს ისე გამეტებით ულაწუნებს სილას — თავად მოითხოვა დუბლიორის გარეშე მუშაობა, რადგან ასე მისი სახე უფრო მეტ ემოციას გამოხატავდა. რეჟისორი ვოლფგანგ პეტერსონი იგონებს, ჰარისონს სახე ისე უწითლდებოდა და უსივდებოდა, რომ მსხვილ პლანებს რამდენიმე დღე აღარ ვიღებდითო.

ჰარისონი კამერის წინ ხშირად ანცობს. მხოლოდ დალაი-ლამას მისამართით არ ხუმრობს. მართალია, ის და მისი მეუღლე, სცენარისტი მელის მეტისონი ბუდისტები არ არიან, მაგრამ, დალაი-ლამასთან შეხვედრის შემდეგ, მის იდეებს დიდ პატივს სცემენ.

ჰარისონს ძალიან უყვარს ჩოგბურთის თამაში, თვითმფრინავით ფრენა (შარშან მოიპოვა მართვის უფლება) და თავის შვილებს — 10 წლის მალკოლმსა და 7 წლის ჯორჯიას კერძო სკოლაში სწორედ თვითმფრინავით აკითხავს. უყვარს თევზაობაც, ოღონდ დაჭერილ კალმახს უმალვე უკან, წყალში აბრუნებს ხოლმე.

ჰარისონ ფორდის სამსახიობო კარიერა 1964 წელს დაიწყო. მაშინ მხოლოდ მასობრივ სცენებში იღებდნენ ხოლმე. სამისო „როლები" რომ ამოიწურებოდა, საყვარელ საქმეს — დურგლობას უბრუნდებოდა. იმხანად თანაკურსელი ჰყავდა ცოლად (ჰარისონმა უნივერსიტეტის ფილოსოფიური ფაკულტეტი მიატოვა). მასთან შეეძინა ორი ვაჟი, რომლებიც ახლა 30 და 28 წლისანი არიან, ჰყავს ერთი შვილიშვილიც, იმ დროს მათ სახლს არც გარე კედელი და არც სააბაზანოს კარი ჰქონდა — „დურგალი" სახლის გასამართად ვერ იცლიდა.

1973 წელს ჰარისონს ჯორჯ ლუკასის ფილმში როლი და კვირაში 2000 ფრანკი შესთავაზეს. თანხა იცოტავა, — დურგლობით ორჯერ მეტს ვშოულობო და ყურმილი დაუკიდა. მერე 2500 ფრანკს შეჰპირდნენ და მსახიობიც დაითანხმეს. შემდეგმა როლებმა წარმატება მოუტანა. სამწუხაროდ, ოჯახი დაინგრა, რადგან, როგორც ამბობს, არც კარგი ქმარი იყო და არც კარგი მამა. ალბათ, ბევრ რამეზე დაფიქრდა მსახიობი, ახლა, მეორე ცოლთან, ძალიან ბედნიერია.

*ფიგარო*

# მოზაიკა მოზაიკა მოზაიკა მოზაიკა მოზაიკა



„მეუღლის წინ არასოდეს ვიხდი, რათა გაოცების საშუალება მივცე", — ამბობს **გოლდი ჰოუნი**. ხოლო როცა თავის შვილთან, ბოსტონთან ერთად მალიბუს პლაჟს ეწვია, საბანაო კოსტიუმზე მაინც ჩაიცვა ქვედა საცვალი. გოლდიმ ტომარაც რომ ჩამოიცვას, მის შეხედვას მაინც არაფერი სჯობს.



**ელ მაქფერსონი** თებერვალში შვილს ელოდება. ფეხმძიმობამ იდეალური აღნაგობის მანეკენს უკვე დაატყო კვალი და მომხიბვლელად დაუმრგვალა ნაკვთები. მართლაც ლამაზია მომავალი დედა!



4 ოქტომბერს მილანში დონატელა ვერსაჩემ გაზაფხულ-ზაფხულის მოდების კოლექცია წარმოადგინა. სწორედ ამ შესანიშნავ სანახაობას შესცქერიან ასეთი მოხიბლულები ვერსაჩეს მემკვიდრე პატარა **ალეგრა** და „სპაის გერლზის" ერთ-ერთი წევრი **ვიქტორია**. ჩვენების შემდეგ დონატელამ და მისმა ძმამ, სანტომ განაცხადეს, რომ არ აპირებენ „ვერსაჩეს დიზაინური იმპერიის" გახლეჩას და ერთად გააგრძელებენ მუშაობას.



მიუხედავად ათასნაირი ჭორისა, **ჯონ კენედი-უმცროსი** და მისი მეუღლე კაროლინა ისევ ერთად არიან. შეყვარებულ წყვილს და ბედნიერ ცოლქმარს მთელი ქვეყანა ინტერესით ადევნებს თვალს და მოუთმენლად ელოდება მათ პირმშოს.



ეს მომხიბვლელი ქალი ათასობით ლონდონელმა იხილა გასულ შაბათ-კვირას ერთ-ერთი დიდი მაღაზიის ვიტრინაში, როცა საკუთარ კოსმეტიკურ საშუალებებს უწევდა რეკლამას. მთავარი საოცრება კი ის გახლავთ, რომ ეს მშვენიერი მანეკენი **იმან ბოუვი**, ცოტა ხნის წინ სრულიად შოკოლადისფერი გახლდათ, ახლა კი დევიდ ბოუვის მეუღლე თვალისმომჭრელი თეთრი კანით იწონებს თავს.

## უეფას თასი

# მორიგი სირცხვილი

თბილისის „დინამომ" ბოლო დროს ისე შეგვაჩვია ნაირ-ნაირი ანგარიშით წაგებას, განსაკუთრებით კი, სტუმრად გამართულ მატჩებში, პორტუგალიაში ამასწინანდელი განადგურება მაინცდამაინც დიდ ტრაგედიად არავის მიუღია. „დინამომ" პორტუგალიის მეორეხარისხოვან კლუბთან 4:0 წააგო, წაგებასაც გააჩნია. მთელი მატჩის მანძილზე ჩვენებმა ერთხელ დაარტყეს კარში. ან კი როგორ უნდა გაგვეტანა გოლი, როცა გუნდს თავდამსხმელი საერთოდ არ ჰყავდა. ყველგან ისწავლეს ფეხბურთის თამაში ჩვენს გარდა. უეფას თასზე ასეთი ანგარიშით არავის წაუგია, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ჭკუით, „ჩვენი დონის" გუნდებს ბევრად ძლიერი მეტოქეები ჰყავდათ, ვიდრე პორტუგალიის „ბრაგაა". საკითხავია, საერთოდ თუ მოუგია „ბრაგას" ამ ანგარიშით ვინმესთვის, როცა ათასში ერთხელ ჩვენები მეტოქეს ბურთს წაართმევდნენ, იფიქრებდით, კადრი შეანელესო. ჩვენზე ნელა და მდორედ დღეს არავინ აღარ თამაშობს. მოკლედ, „დინამომ" იმდენად წყალწაღებული და უვარგისი გუნდის შთაბეჭდილება დატოვა, ისიც გასაკვირია, ამას წინათ, ბელორუსიის ჩემპიონი რომ დაამარცხა. „დინამომ" ერთი წლით დაუხშო გზა ქართულ ფეხბურთს ევროპაში, ოფიციალურად, ეს მომავალ სამშაბათს მოხდება. ხუთით ნოლის მოგების იმედი, რასაკვირველია, არავის აქვს.

უეფას თასის სხვა მატჩებიდან ჩვენში ყველაზე დიდ ინტერესს „აიაქსი"-„უდინეზეს" თამაში იწვევდა. ჰოლანდიელებმა 1:0 მოიგეს დანის გოლის წყალობით, შოთა არველაძემ თითქმის მთელი მატჩი ითამაშა, რამდენიმე საგოლე მომენტიც შექმნა და მუდმივად ყურადღების ცენტრში იყო, რამდენჯერმე თვითონაც შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ არ გაუმართლა.



ყველაზე დიდი სენსაცია მილანში მოხდა. ვარსკვლავებით გაჭედილმა „ინტერმა" შინ, საფრანგეთის „ლიონთან" წააგო 2:1, რონალდოს გუნდს სტუმრად ორი ბურთის სხვაობით მოგება სჭირდება, სხვა შემთხვევაში, „ინტერი", ჩვენი „დინამოს" მსგავსად, დატოვებს გათამაშებას. აღსანიშნავია საფრანგეთის „სტრასბურის" მიერ ინგლისის „ლივერპულის" სამი ბურთით დამარცხება, თუმცა, ინგლისელები საბოლოო წარმატების იმედს არ ჰკარგავენ. მოსკოვის „სპარტაკმა" 2:0 მოუგო „ვალიადოლიდს". ფრედ — 0:0 დასრულდა ვოლგოგრადის „როტორისა" და რომის „ლაციოს" მატჩი.

## ჩემპიონთა ლიგა

ვინც კიევის „დინამოსა" და „ბარსელონას" მატჩი ნახა, დაგვეთანხმება, რომ ერთი შეხედვით სენსაციური შედეგი, — 3:0 — შემთხვევითი ნამდვილად არაა. კიეველებმა თამაშის ყველა კომპონენტში აშკარად დაჩაგრეს მსოფლიოს ერთ-ერთი უტიტულოვანესი კლუბი. ვალერი ლობანოვსკიმ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი უჭკვიანესი მწვრთნელია. ჩვენგან განსხვავებით, უკრაინაში სულ რაღაც ორ-სამ წელიწადში ჩამოყალიბდა კლუბი, რომელიც მსოფლიოს ყველა გუნდისთვის ანგარიშგასაწევი ძალაა და ახლა ლიდერია ჯგუფში, სადაც „ბარსელონა", „ნიუკასლი" და „ეინდჰოვენი" გამოდიან! თემურ ქეცბაიას „ნიუკასლმა" სტუმრად 1:0 წააგო „ეინდჰოვენთან". ქეცბაია მეორე ტაიმის მეორე ნახევარში გამოვიდა მინდორზე და თავი არაფრით გამოუჩენია. კიევის „დინამოს" შვიდი ქულა აქვს და თითქმის განაღდებული აქვს მომდევნო ეტაპზე გასვლა, „ბარსელონამ" კი სამ თამაშში მხოლოდ ქულა მოიპოვა და გაუჭირდება შემდეგ ეტაპზე თამაში.

A ჯგუფს „პარმა" ლიდერობს. აქ თითქმის ყველაფერი გარკვეულია და ძნელი წარმოსადგენია, ან „პარმამ" ან „ბორუსიამ" პირველი ორი ადგილიდან ერთ-ერთი ჩეხეთის „სპარტას" დაუთმოს. „პარმამ" 1:0 მოუგო „ბორუსიას" და 7 ქულა აქვს. მეორეზე გერმანელები არიან 6 ქულით. „სპარტას" 4 ქულა აქვს, „გალათასარაის" — 0.



B ჯგუფში „მანჩესტერმა", „ფეინოორდი" დაამარცხა 2:1, „იუვენტუსმა" „კოშიცე" — 1:0. ამ ჯგუფსაც აშკარა ფავორიტები ჰყავს — „მანჩესტერი" და „იუვე".

D ჯგუფს სამიდან სამი მოგებით მადრიდის „რეალი" ლიდერობს. მადრიდელებმა ამჟამად „ოლიმპიაკოსი" დაამარცხეს 5:1, „რუსენბორგმა" 2:0 მოუგო „პორტუს". ჯგუფს ესპანელები და ნორვეგიელები ლიდერობენ. E ჯგუფში „ბაიერნმა" 5:0 მოუგო „პსჟ"-ს და ერთპიროვნული ლიდერია, „ბეშიქთაშმა", „გეტებორგს" სძლია 1:0, რაც შეეხება F ჯგუფს, „მონაკომ" „ლიერსი" გაანადგურა — 5:1, ხოლო ლევერკუზენის „ბაიერმა" სტუმრად სძლია „სპორტინგს" — 2:0. ჯგუფს ფრანგები და გერმანელები ლიდერობენ.

## თასების მფლობელთა თასი

თასების თასზე თითქმის ყველა ფავორიტმა — „პიაჩენცამ", „შტუტგარტმა" და „ბეტისმა" გამარჯვება მოიპოვა. მხოლოდ „ჩელსი" დამარცხდა სტუმრად 3:2 და, ალბათ, ისიც გააგრძელებს მომდევნო ეტაპზე ბრძოლას. თასის საბოლოო ბედსაც ეს გუნდები გადაწყვეტენ.

# რომარიო თავს იმართლებს



„არავინ არ უნდა ჩაერიოს ჩემს პირად ცხოვრებაში", — განაცხადა ბრაზილიელმა რომარიომ პრესკონფერენციაზე, რომელიც მისი და „ვალენსიას" მწვრთნელის კლაუდიო რანერის უთანხმოებასა და რომარიოს მომავალ გეგმებს განიხილავდა. მოგეხსენებათ, მწვრთნელმა მას შემდეგ აითვალწუნა 1994 წლის საუკეთესო ფეხბურთელი, რაც ერთ-ერთი მატჩის წინა დღეს, ვალენსიის ერთ-ერთ ღამის კლუბში არაფხიზელ მდგომარეობაში გამთენიისას შენიშნა. „ვივლი თუ არა დისკოთეკებზე, ეს მწვრთნელის საქმე არ არის, თამაშისთვის კი ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს", — განაცხადა რომარიომ, და ისიც დასძინა, რომ მის გარეშე „ვალენსიას" გოლების გატანა გაუჭირდება.

# სპორტული ტრაგედიები

## ბოლივიის ნაკრების კაპიტანმა თავი მოიკლა



ბოლივიის ნაკრების 31 წლის კაპიტანმა რამირო კასტილიომ ცხოვრება თვითმკვლელობით დაასრულა. გვამი აღმოაჩინა მისმა მეუღლემ.

კასტილიო ბოლო ათწლეულის ერთ-ერთი უძლიერესი ფეხბურთელი იყო ქვეყანაში. იგი გამოდიოდა რამდენიმე არგენტინულ კლუბში, ხოლო ბოლო დროს, თავისივე ქვეყნის „ბოლივარში" თამაშობდა. თვითმკვლელობის მიზეზი გახდა რამდენიმე თვის წინ კასტილიოს ცხრა წლის ვაჟის დაღუპვა. ეს ამბავი ფეხბურთელმა მაშინ შეიტყო, როცა ნაკრებთან ერთად იმყოფებოდა „კოპა ამერიკას" ტურნირზე. ფეხბურთელი დეპრესიაში ჩავარდა. ბოლო მატჩი ნაკრების შემადგენლობაში კასტილიომ ეკვადორელთა წინააღმდეგ ჩაატარა. ბოლივიელები დამარცხდნენ და საფრანგეთში გამგზავრების შანსიც დაკარგეს.

## იაპონელმა მრბოლელმა სასიგნალო ალამს ყურადღება არ მიაქცია და... გარდაიცვალა

ტრაგედიით დასრულდა ფორმულა-3-ის იაპონური სერიის ბოლოს წინა ეტაპი, რომელიც ქალაქ შიზუოკში მიმდინარეობდა. 25 წლის იაპონელი სპორტსმენი ტაკაში იოკომა ავარიის ადგილზევე გარდაიცვალა. დაიწყო თუ არა რბოლა, ორი ავტომობილი ერთმანეთს შეეჯახა, რის შემდეგაც მსაჯებმა საჭირო ადგილებში ყვითელი ალმები აღმართეს, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ მრბოლელებს სიჩქარე აუცილებლად უნდა დაეგდოთ. სპორტსმენმა ამას ყურადღება არ მიაქცია და ცდილობდა, ერთბაშად ორი მანქანისთვის გადაესწრო. მაქსიმალური სიჩქარით მიმავალი მისი ავტომობილი, მძღოლის მიერ საჭის დაუმორჩილებლობის გამო, წინ მიმავალ მანქანას შეეჯახა, დარტყმის ძალამ უკანა მანქანა ჰაერში ააგდო, რამდენიმე მეტრის სიმაღლიდან ჩამოვარდნისას იოკომას მანქანა ტრასის ზემოთ გაკეთებულ სარეკლამო დაფას დაეცა, მანქანა შუაზე გადაიხსნა, მრბოლელი ადგილზე გარდაიცვალა, რბოლა შეწყდა და აღარ გაგრძელებულა.



# თაფლით შეტევა გასტრიტზე

ერთ ჭიქა ანადუღარ ცივ წყალში გახსენით 30-35 გრ თაფლი. თაფლიანი წყალი მიიღეთ დღეში 3-ჯერ. თაფლის დღიური ნორმაა 70-100 გრ. ამ დროს სხვა ტკბილეულს ნუ მიირთმევთ. მკურნალობის კურსია 1,5-2 თვე.

ჭამის წინ ცივ წყალში გახსნილი თაფლის მიღება ხელს უწყობს კუჭის წვენის გამოყოფას. თაფლი შაქარსა და მრავალ ორგანულ მჟავას შეიცავს, ამიტომ ეცადეთ, ძალზე დიდი კონცენტრაციის მქონე ხსნარები არ მიიღოთ (20%-იანი და უფრო მეტი). ყველაზე კარგ ეფექტს 10-12%-იანი ხსნარი იძლევა.

ნულოვანი მჟავიანობის დროს თაფლიან წყალს ამატებენ მრავალძარღვას ფოთლების წვენს (1 სუფრის კოვზი) და ჟოლოს ხმელი ფოთლების ნახარშს (ხმელი, დაქუცმაცებული ფოთლები ჩაყარეთ 1 ჭიქა წყალში, თავდახურული დადგით 30 წუთი წყლის აბაზანაზე. ოთახის ტემპერატურაზე გააცივეთ და გაწურეთ).

თაფლიანი მრავალძარღვას წვენი: 500 მლ წვენი აურიეთ 500 გრ თაფლში და დაბალ ცეცხლზე ხარშეთ 15-20 წუთი. ქაფი მოხადეთ. მიიღეთ 1 სუფრის კოვზი 3-ჯერ დღეში, ნორმალური მჟავიანობის გასტრიტის დროს.

სამედიცინო გვირილას (1 სუფრის კოვზი) დაასხით 1 ჭიქა ადუღებული წყალი. მოათავსეთ მდუღარე წყლის აბაზანაზე 15 წთ. გააცივეთ, გაწურეთ, დალიეთ ჭამამდე 1 სუფრის კოვზი 3-ჯერ დღეში.

კუჭის წვენის ნორმალიზება შეიძლება თაფლით და კარაქით (თანაბარი რაოდენობით). მიიღეთ ჭამამდე 30 წუთით ადრე, 1 სუფრის კოვზი 3-4-ჯერ დღეში.

მჟავიანობას სწევს ნორჩი ნიგვზის სპირტიანი ნაყენი. 10-15 მწვანე ნიგოზი სწრაფად დაჭერით და დაასხით 0,5 ლ არაყი. მჭიდროდ თავდახურული ჭურჭლით ბნელ ადგილას დადგით 14 დღე. დროდადრო შეანჯღრიეთ, შემდეგ გაწურეთ. მიიღეთ ჭამის შემდეგ 3-ჯერ დღეში. 1 ს.კ. ნაყენი გახსენით ნახევარ ჭიქა ცივ წყალში, შველის კუჭის ტკივილს.

*ტაინაია ვლასტ №19*

# ახალი იაპონური პრეპარატი — ნიკოტინს ვიტამინად აქცევს

იაპონურმა ფირმამ „ოსირომ" სამკურნალო ბალახებისა და მინერალების მეშვეობით შექმნა პრეპარატი, რომელიც ნიკოტინს წყალში ხსნად ვიტამინად — ნიკოტინის მჟავად აქცევს. პრეპარატს „ტაბაკული" უწოდეს, ის ფილტრარომატიზებული ფხვნილია; მის ერთ წვეთს ათავსებენ სიგარეტის წვერზე.

*ფინანსოვიე იზვესტია №77*


ჯანდაცვის სამინისტროს სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი
ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური



მამაკაცებსა და ქალებს სთავაზობს
სექსუალური დარღვევების და ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკას, მკურნალობას. როგორიცაა:
1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის, პირველი საქორწინო ღამის პრობლემები.
2. სქესობრივი ლტოლვის და სიამოვნების განცდის დაქვეითება ან გაქრობა.
3. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
4. მცირე ზომის სასქესო ასო (მიკროპენისი), ფიმოზი, პარაფიმოზი, მოკლე ლაგამი.
5. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
6. დეპრესია, ძილის დარღვევები, აკვიატება, შიშები, ენერგეტიკული დაქვეითება.

თქვენ მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმ-სექსოლოგები და ფსიქოთერაპევტები

ანონიმურობა გარანტირებულია

მიღება ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) 10-16 საათამდე
მიღება შეიძლება წინასწარი ჩაწერით
ტ. 29 34 39
მისამართი: თბილისი, ვაკე, ი. ჭავჭავაძის გამზ. 5, ყოფ. ლენკომბინატი მე-2 სართული, კაბინეტები: 17, 18, 19



სქოლიოზები, კიფოზები (ხერხემლის გამრუდებები), რადიკულიტები, ოსტეოქონდროზები (მარილები), ვერტებრული სინდრომი (თავის ტკივილები, ყურებში შუილი, თავბრუსხვევა), მენჯალისებური და ქათმისებური გულ-მკერდი.

ამ დაავადებებს მრავალი წლის განმავლობაში დიდი წარმატებით მკურნალობს ცნობილი მანუალური თერაპევტი, ექიმი სოსო ფირცხალაიშვილი რუსეთსა და საზღვარგარეთ დამუშავებული მეთოდით.



მობრძანდით 15სთ-დან 19 სთ-მდე ალმაშენებლის 60-ში, კატასტროფების სამედიცინო 1 სართ. ტელ: 95-46-47, 72-06-14. მკურნალობის ანაზღაურება შესაძლებელია გადარიცხვითაც.



ყურადღება!

მიხეილ სუმბაძის მცენარეული ნაყენი, ღრძილების ელექსირი „მკურნალი სუმბაძე", მოთავსებულია 0,5ლ და 0,33ლ ტევადობის ჭურჭელში და დაცულია საფირმო ნიშნით.

შეგახსენებთ დანიშნულებას: ღრძილების შესიება, ჩირქისა და სისხლის დენა, უსიამოვნო გემო და სუნი პირის ღრუში, ღრძილების ანთება (გინგივიტი), პარადონტოზი, სტომატიტი, ჩირქოვანი გლანდები, ყელის კატარი, ბრონქების ანთება, ბრონქების გაწმენდა ნიკოტინის დანალექებისაგან. პრეპარატი „მკურნალი სუმბაძე" ნებადართულია ჯანდაცვის სამინისტროს ფარმაკოლოგიური კომიტეტის მიერ.

მის.: მეტრო „მარჯანიშვილი", დავით აღმაშენებლის გამზ. №115 (პოლიციის შენობის უკან, ეზოს სიღრმეში), მწვანე აფთიაქი „ცისანა", 11-18 საათამდე, კვირის გარდა.

ყურადღებით დააკვირდით წარწერას აფთიაქზე
იკითხეთ პირადად ცისანა სუმბაძე



ვმკურნალობთ
ქრონიკულ პროსტატიტს
პროფ. გუსკოვის მეთოდით, ელ. სტიმულატორ „ინტრატონით". პროცედურები უმტკივნეულოა, ხელმისაწვდომი. ლაბორატორიული გამოკვლევები და კონსულტაციები უფასოა.
მეცნიერებათა აკადემიის პოლიკლინიკა, კაბ. 21-ე (სპორტის სასახლის უკან) 10-13 სთ-მდე

# ისევ ბერმუდის სამკუთხედზე

უკანასკნელი 150 წლის განმავლობაში ბერმუდის სამკუთხედში 40-ზე მეტი გემი, 20-მდე თვითმფრინავი და ათასზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. სამხედრო-საზღვაო თუ საავიაციო ძალთა წარმომადგენლები კატეგორიულად უარყოფენ ამ რაიონებში რაიმე ძალთა მოქმედებას, თუმცა არაოფიციალურად სხვა რამეს ამბობენ. ისინი (გასულ წლებშიც და ახლაც) აღიარებენ: ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს დაკარგულ გემებსა და თვითმფრინავებს გიგანტური ელექტრომაგნიტი [illegible], ჩვენ ვგრძნობთ, რომ რაღაც მექანიზმებთან უცნაური რამ ხდება, მაგრამ ვერავითარი ახსნა ვერ მოვუძებნეთო. არც მფრინავებს უყვართ გამქრალ თვითმფრინავებზე საუბარი და ძალზე იშვიათად ეხებიან ამ თემას ერთმანეთთან კერძო საუბრებშიც კი. მართალია, საავიაციო კატასტროფები მფრინავებში ძალზე მძაფრ რეაქციას იწვევს, მაგრამ აქ უფრო შესაძლებელია ყველა მიზეზის გამოკვლევა და თვითმფრინავის დაღუპვის მეტ-ნაკლებად რეალური მიზეზის დადგენა. გემებიდან ეკიპაჟის გაქრობა მაინც სხვა საქმეა. რა თქმა უნდა, თვითმფრინავი შეიძლება ჩამოვარდეს, გემი ჩაიძიროს, მაგრამ სრულიად უკვალოდ? ყოველთვის რჩება რაღაც, თუნდაც კატასტროფის ადგილის მიმანიშნებელი ლაქა წყლის ზედაპირზე. საიდუმლო ძალთა არსებობის მიმართ წინდახედულ პროფესიულ, სკეპტიკური განწყობის მიუხედავად, მფრინავები ბევრ უცნაურ მოვლენას მიაწერენ ხელს. მაგ. კომპასის ისარი საშინელი სისწრაფით იწყებს ტრიალს ღერძის გარშემო, მზიან ამინდში მახინჯდება რადიოსიგნალები, ირღვევა გიროკომპასების მუშაობა, საჭის მინაზე რაღაც იწყებს ნათებას.

უცნაურ შემთხვევათა გამომკვლევები ბევრი ვარაუდობენ, რომ კატასტროფები, შესაძლოა, გამოწვეული იყოს ატმოსფერული დარღვევებით, აგრეთვე, ელექტრომაგნიტური და გრავიტაციული ანომალიებით. შესაძლოა, ამ ძალებმა იმოქმედეს კომპასის ისრებზე და გააჩუმეს რადიოგადამცემები დაკარგულ თვითმფრინავებზე და შემდეგ წყობიდან გამოიყვანეს დასახმარებლად გაგზავნილი თვითმფრინავიც. პილოტების მიერ დედამიწაზე გამოგზავნილი რადიოცნობა — ზღვა უცნაურად გამოიყურება, მზე უცებ თვალს მოეფარაო,



— იმის მიმანიშნებელია, რომ შესაძლოა, არსებობს ოპტიკური აბერაცია, „ნახვრეტი ცაში". რაში მდგომარეობს ეს აბერაცია და მისი მოქმედების ზონა რატომ განსაზღვრება ტროპიკული წყლებით — ამ შემთხვევაში ბერმუდის სამკუთხედით? — ჯერჯერობით, დანამდვილებით არავინ იცის. ვარაუდობენ, რომ აბერაცია სივრცის გამრუდებაა და დაკარგული თვითმფრინავები „მეოთხე განზომილების" ხაფანგში აღმოჩნდნენ. ერთმა წინასწარმეტყველმა თქვა, ერთ მშვენიერ დღეს გამქრალი ეკიპაჟები თავიანთ პორტებს დაუბრუნდებიან, მათ ასაკი არ მომატებიათ, რადგან სხვა განზომილებაში იმყოფებიანო. იქნებ, მართლაც ასე მოხდეს!.. დრო განსხვავებული სისწრაფით მიედინება, ამიტომ ტყვეობაში მოხვედრილი გემები ჩვენს სამყაროში აღარ არსებობენ, თუ იმასაც ვივარაუდებთ, რომ დრო ყოველთვის სწორხაზოვნად არ მიედინება, შესაძლოა, ძირითად კალაპოტაცდენილი დროის ნაკადის ნაწილს თან მიაქვს ყველაფერი, რაც იმ მომენტში იმ რაიონში აღმოჩნდება. თუ ეს თვითმფრინავი ან გემია, იგი მგზავრებიანად მომავალ დროში, ან წარსულში აღმოჩნდება.

ზოგიერთი მეცნიერი ვარაუდობს, რომ ამ მოვლენის ლოგიკური ახსნა წყალქვეშა მიწისძვრების ფაქტთანაა დაკავშირებული, როცა ფსკერის გადანაცვლების შედეგად, შესაძლოა, წარმოიქმნას 200 ფუტი სიმაღლის ტალღები, რომლებიც მაშინვე შთანთქავენ გემს. სწორედ ამიტომაც ვერ ასწრებენ გემიდან SOS სიგნალის გაგზავნას და არც კატასტროფის დამადასტურებელი ნიშნები ჩანს სადმე. იქნებ ეს მოსაზრება სიმართლეს არც იყოს მოკლებული, მაგრამ წყალქვეშა მიწისძვრებით როგორ ავხსნათ თვითმფრინავების დაღუპვა? ვარაუდობენ, შესაძლოა, არსებობდეს თვალით უხილავი ატმოსფერული ტალღები, რომლებიც ოკეანისას ჰგავს.

მართალია, ჰიპოთეზების უმეტესობა გემებისა და თვითმფრინავების გაქრობის მხოლოდ ზოგიერთი ფაქტის ასახსნელად შეიძლება გამოდგეს, მაგრამ ერთი მათგანი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს — ეს არის მაგნიტური ანომალიების ჰიპოთეზა. თუ რას ნიშნავს მაგნიტური კომპასის გადახრა საზღვაო და საფრენ საქმეში, გამოუცდელმა ახალგაზრდამაც კი იცის. კომპასის ისარი იშვიათად უჩვენებს ზუსტად ჩრდილოეთს, ე.ი. ჩრდილო-გეოგრაფიულ პოლუსს. მაგნიტური კომპასის გადახრა უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომლის გაუთვალისწინებლობა შეუძლებელია, რადგან გემი ან თვითმფრინავი, შესაძლოა, დანიშნულების ადგილიდან ასობით მილის დაშორებით აღმოჩნდეს.

დედამიწაზე ორი ადგილი არსებობს, სადაც კომპასი ზუსტად ჩრდილოეთს უჩვენებს — არა მაგნიტურს, არამედ გეოგრაფიულ პოლუსს. ეს ადგილებია ბერმუდის სამკუთხედი და იაპონიის სანაპიროს რაიონი, რომელიც ეშმაკეულ ზღვადაა ცნობილი, სადაც ასევე იკარგება გემები (მის შესახებ მკითხველს გაზეთის წინა ნომერში ვუამბეთ).

მეცნიერთა ნაწილი ფიქრობს, რომ ბერმუდის სამკუთხედისა და ეშმაკეული ზღვის გარდა, დედამიწაზე ბევრი სხვა ანომალიური რაიონი არსებობს. ის აზრიც გამოითქვა, რომ განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობა, რომლის გამოც ბერმუდის სამკუთხედი რაკეტების გასაშვებ იდეალურ ადგილად იქცა, მას სხვა სამყაროდან კოსმოსური ხომალდების მისაღებ და დასაჯდომ კიდევ უფრო იდეალურ ადგილად ხდის. შესაძლოა, ამბობენ ამ ვერსიის მომხრეები, მრავალი საუკუნის წინ ამ რაიონში დაყენებული ენერგიის მძლავრი წყარო ან სასიგნალო აპარატურა განაგრძობს კოსმოსში სიგნალების გაგზავნას, რათა უცხოპლანეტელებს დედამიწაზე ჩამოსაფრენი გზები უჩვენოს. იქნებ სიგნალები ხანგამოშვებით იგზავნება, რაც გემებისა და თვითმფრინავების უმეტესობას ამ ადგილის მშვიდობიანად გადალახვის საშუალებას აძლევს.

არსებობს ბევრი სხვა ჰიპოთეზაც, მათ ისეთივე სისწრაფით წამოაყენებენ ხოლმე და მერე უარყოფენ, რა სისწრაფითაც ქრებიან გემები და თვითმფრინავები ამ უცნაურ სამკუთხედში. ერთადერთი, რაც აერთიანებს გამქრალ გემებსა და თვითმფრინავებს, ესაა ვიწრო გეოგრაფიული საზღვრები, სადაც მათი აღსასრულის დღე დგება. ყოველგვარი ახსნა-განმარტება ფასს ჰკარგავს, როცა აწყდება კითხვას: რატომ ვერასდროს იპოვეს დაღუპულთა ნაშთები და რატომ ქრებიან ისინი ყოველთვის კარგ ამინდში? ანდა, ადამიანს ჯერ არ მიუღწევია განვითარების იმ დონისათვის, რომელიც მას ბერმუდის სამკუთხედში მოქმედი ძალების ბუნების შეცნობას შეაძლებინებს.

*მასალა მოამზადა ნანა ილურიძემ*

# იქნებ გონიერია პლანეტა?

თეთრი ყვავიო — სწორედ მასზეა ნათქვამი. მას მხოლოდ სპეციალისტთა ვიწრო წრეში იცნობენ, სტუდენტები და კოლეგები უგდებენ ყურს. შეუპოვარია და



დაუდგრომელი, ავტორიტეტების არ ეშინია, დისერტაციას დისერტაციაზე იცავს, ჰიპოთეზას ჰიპოთეზაზე თხზავს. მისი მეცნიერება ფუტუროლოგიაა — მეცნიერება მომავლის შესახებ. ლუდმილა კონსტანტინოვსკაიამ ბევრი რამ ადრეც იწინასწარმეტყველა და ახდა კიდეც.

ახლა რასაც ამბობს ახლო მომავალზე, ყურით არ მოისმინება, ადამიანთა მოდგმა სიცილს გადაეჩვევა, მაგრამ ეს თემა ყოველთვის ყველაზე მეტად აინტერესებდა ადრეც და დღესაც...

*— დღეს ბევრს ლაპარაკობენ ქვეყნის აღსასრულზე.*

— ქვეყნის დასასრული, ბიბლიაში აღწერილი ე.წ. დიდი წარღვნა, უკვე მოხდა დაახლოებით 50 მილიონი წლის წინ, მაშინ მზეზე ახალი წელი იდგა. მზის წელიწადი 250 მილიონ დედამიწურს უდრის, მომდევნო წარღვნა (ქვეყნის დასასრული) 200 მილიონი წლის მერეა მოსალოდნელი, ახლა მზეზე შემოდგომა დგას, 75 მილიონი წლის შემდეგ დადგება ზამთარი და გამყინვარება. მანამდე კიდევ ბევრი კატაკლიზმია მოსალოდნელი. თქვენ იქნებ ცოტა რამეს გეუბნებათ ვარსკვლავების სახელწოდება: პროზერპინა და მილიუსა, მაგრამ პირველი მზეს XXII საუკუნეში მიუახლოვდება, მეორე კი — XXV-ში, სწორედ მაშინ მოხდება გლობალური, რუსეთის ნათლისღების ტოლფასი მოვლენები და ბოლოს, XXVIII ს-ში ფაეტონი მიუახლოვდება მზეს და მაშინ ადამიანები ცაზე დაინახავენ იმ ვარსკვლავს, მოგვებმა რომ დაინახეს ქრისტეშობის თვეში. ალბათ, დიდი გათვლა არ სჭირდება იმას, რომ ამას მოჰყვება ქრისტეს მეორედმოსვლა. ეს დაახლოებით 800 წლის შემდეგ მოხდება.

ახლა, თუ პლანეტასაც მივხედავთ, აღმოჩნდება, რომ ურანის გარდა, ყველა მოდის მზესთან დასაახლოებლად, ეს იწვევს მზის აქტიურობას, რომლის ციკლი (აქტიურობის) ყველასთვის ცნობილია — 11 წელია. წლების მიხედვით ასე ნაწილდება: 1905, 1916, 1938... და მორიგი — 1999 წელი. დიდი საშიშროება გველის, იქნება ეპიდემიების, ვულკანების, მოუსავლიანობის წელი. ბევრ რამეს ვერც ვამბობ, გალიმებას გადაეჩვევით; ადვილი შესაძლებელია, რუსეთში 1917 წლის განმეორება მოხდეს. რუსეთს მიწასთან გაასწორებენ. მაგათ რომ ჰგონიათ ფეხზე დავდექითო, არ შეგვეშალოს, სწორედ ახლა ვუახლოვდებით უფსკრულს. თუმცა, სიკეთეც გველის — არ ვიქნებით მესამე მსოფლიო ომის მონაწილე, ისე კი, ამერიკა და მუსულმანური სამყარო შეეჯახება ერთმანეთს. მუსულმანებს დარჩებათ გამარჯვება, ახალგაზრდა ერები გამოვლენ სარბიელზე, სულ სხვაგვარად განაწილდება გავლენის სფერო.

— თუ გახსოვთ, მარსზე გაფრენის წინ, სად არ ვთქვი და სად არ დავწერე — ნუ შეეჩხირებით, ნუ შეერჭობით სხეულში, იქნებ გონიერია პლანეტა? დაუშვებს იგი ამ გახლეჩას? მართალია, ცხოვრება იმ ფორმით, რა ფორმითაც იგი დედამიწაზეა, მასზე არ არის. მაგრამ იქნებ არსებობს გონი სხვა ფორმით? ადვილი შესაძლებელია, რომ ისინი ჩვენზე მაღალგანვითარებული არსებები იყვნენ და ჩვენი ტელევიზიის სიგნალებსაც იღებდნენ. ვიცი, ზღაპრებს ვყვები, მაგრამ ცოტა ხნის წინ მთვარეზე ან მარსზე გაფრენა ზღაპარი არ იყო? მაშინ ვთქვი: „გადასინჯეთ თქვენი პროგრამა და ახალი პროგრამით მიაღწევთ მარსამდე". მაშინ ყველას გიჟი ვეგონე, არადა, ჩემი სიტყვები გამართლდა. ჩვენ დედამიწიდანაც არ აგვიშვეს. ატმოსფეროში ორბიტაზე გასვლისთანავე აფეთქდა სადგური. ამერიკელებმა კი ჭკუა ისწავლეს. ისინი მიფრინდებიან მარსთან, სურათებს იღებენ და უკანვე ბრუნდებიან.

*ნედელია*

# უცხოპლანეტელები ტბებს შეეჩვივნენ

სპეციალისტთა აზრით, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, ტბებსა და წყალსატევებში მიკვლეულ-გამჟღავნებული ურჩხულები სხვა არაფერია, თუ არა, ჰუმანოიდები. ამ ზაფხულს ახალ ზელანდიაში, ტაუპოს ტბაში მეთევზეებს „გაუმართლათ" — მათ მთელი თავისი „მშვენიერებით" ეჩვენა საძაგელი, ქერცლით დაფარული არსება, წაწვეტებულ თავზე ორი უბალნო, ჩამოპანტურებული ყურითა და ცალი ყბიდან გამოშვერილი ეშვით.

ისლანდიაში კი, თოურისვანტის ტბასთან ხშირად უხილავთ დიდთავა ჯუჯები, პირველივე საშიშროებისთანავე წყლის სიღრმეში რომ დურთავენ ხოლმე თავს. სწორედ აქ, ლელქაშებში, კვერცხის ფორმის ზორბა თავის ქალაც იპოვეს.

ლოჰ-ნესელი ურჩხული სადაურილაა, ნეტავ?

*პოსლედნიე ნოვოსტი*

# რას გვეტყვით, ვარსკვლავებო..

27 ოქტომბრის-2 ნოემბრის ასტროლოგიური პროგნოზი

## ვერძი




სამწუხაროდ, მხოლოდ სამუშაოზე ფიქრობთ. თქვენს საზრუნავს ახლობლებს ნუ მოახვევთ თავს, ყველაფერს თქვენვე მიხედეთ. შეგიძლიათ და მოაგვარებთ კიდეც ყველა პრობლემას. სასურველ ნივთს შეიძენთ.

## კურო




ოჯახში ურთიერთობის გარკვევა მოგიხდებათ. მოგბეზრდათ ამდენი დუმილი. უქმე დღეები სასიამოვნო, საყვარელ ადამიანებთან გაატარეთ.

## მარჩბივი




თუ ვინმესთვის სიყვარულის ახსნა გინდათ, ნუ დააყოვნებთ. ხელსაყრელია ამ კვირაში სასურველი ნივთის ყიდვა ან ფულის დაბანდება. ხუთშაბათს ნუ მოკიდებთ ხელს მნიშვნელოვან საქმეებს.

## კირჩხიბი




ძალიან მგრძნობიარე გახდით. უცნობის თბილი სიტყვაც კი გულს გიჩუყებთ. თქვენს ახლობლებს დიდი სიხარული ელით. მათ დასახმარებლად მუდამ მზადა ხართ და თანაც ყველას სიამოვნებით ამოუდგებით მხარში.

## ლომი




შეიძლება ზედმეტმა გულღიაობამ და ნდობამ გავნოთ. პირველსავე შემხვედრთან ნუ მოხსნით გუდას თავს. თქვენ ხომ ნამდვილი მეგობარი ცოტა გყავთ. შაბათს დაისვენეთ და გემრიელად ისადილეთ.

## ქალწული




მეტისმეტად გულჩათხრობილი ხართ, ნაკლებად უზიარებთ ახლობლებს სიხარულსა თუ მწუხარებას. ნუ გაგაღიზიანებთ ადამიანთა თავისებურება. უფროსობა დააფასებს თქვენს პუნქტუალობას.

## სასწორი




უიღბლობის შემდეგ ბედნიერებას ეწევით, როგორც კი თავს ცუდად იგრძნობთ, ექიმს მიაკითხეთ. ნუ იქნებით გმირი, ნუ ივლით სამსახურში, თორემ „თავდადება" ხანგრძლივ მკურნალობად დაგიჯდებათ. თქვენ შეგიძლიათ ძალა მოიკრიბოთ და თავი დააღწიოთ გასაჭირს.

## ღრიანკალი




ოჯახსა და სამსახურში თავს კვლავ იჩენს სირთულეები. მაგრამ თქვენ მამაცი ხართ, ყველა გასაჭირს გაუმკლავდებით და სამომავლოდაც ძალას მოიკრებთ.

## მშვილდოსანი




სასიამოვნო წუთებს ელოდეთ. ახალ ნაცნობებთან ურთიერთობა მატერიალურ სარგებელს მოგიტანთ, ხოლო მეგობრებთან ყოფნა — სულიერ ერთიანობას. ოჯახშიც გაიხარებთ — სასიამოვნო ამბავს გაიგებთ. თქვენი სიყვარული პარტნიორს გააბედნიერებს.

## თხის რქა




ყველა სასიამოვნო სურვილი ერთბაშად აგისრულდებათ, ყოველდღიური საქმიანობაც კი სიხარულს მოგანიჭებთ. ამ კვირაში, რასაც ხელს მოკიდებთ, ყველაფერს გააკეთებთ. ნუ შეგეშინდებათ ახალი საქმის წამოწყებისა.

## მერწყული




ყოველდღიურობა გუნებას გიფუჭებთ. ამაოდ ღელავთ, რადგან სტაბილური პერიოდი დაგიდგათ, დამშვიდდით და დატკბით სიცოცხლით.

## თევზები




სამსახურში წვრილ-წვრილი უსიამოვნებანი ნუ დაგაღონებთ. სამსახური არ არის მთელი ცხოვრება. ბევრს უყვარხართ, თქვენს სიტყვას ყურს უგდებენ მეგობარ-ახლობლები, კოლეგებში ავტორიტეტიც გაქვთ.

გისურვებთ წარმატებებს!

## №55 ᲡᲐᲞᲠᲘᲖᲝ ᲒᲐᲛᲝᲙᲘᲗᲮᲕᲐ-ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

რეიტინგის თემას — **„ზღაპარი“** 494 მკითხველი გამოეხმაურა, ერთს ბარათი არასწორად ჰქონდა შევსებული. გამოკითხულთა 43%-მა საუკეთესო ზღაპრად „ფიფქია და შვიდი ჯუჯა“ მიიჩნია, რომლის საშუალო ქულაა **6,75**. ისევე როგორც ფიფქიას, მეორე ადგილზე გასულ ზღაპარ „კონკიას“, სხვებთან შედარებით მეტი მაქსიმალური და ნაკლები მინიმალური ქულები აქვს დაწერილი.

როგორც ცნობილია, რეიტინგში ჩამოთვლილი ყველა უცხოური ზღაპარი შესანიშნავად არის ეკრანიზებული. „კომბლე“ არცთუ მაღალი ხარისხისაა, თანაც, იგი ჩვენი ტელევიზიით ბოლო დროს იშვიათი სანახავია, ხოლო „ნაცარქექია“ არათუ ეკრანიზებული, უკვე თხუთმეტ წელზე მეტია, არც დაბეჭდილა.

ალბათ, ესეც იყო მიზეზი, რომ ქართული ზღაპრები ჩვენს საპრიზო გამოკითხვაში ქვედა საფეხურებზე აღმოჩნდა.

36% მინიმალური ქულით კი ბოლო ადგილზეა „ჩექმებიანი კატა“. იგი ასევე ყველაზე ნაკლები მაქსიმალური ქულით (1%) არის შეფასებული.




საპრიზოს ზუსტად დაემთხვა 37 წლის **ᲔᲗᲔᲠ ᲚᲝᲛᲘᲫᲘᲡ** ბარათი-რეიტინგი. იგი დიასახლისია და ცხოვრობს თბილისში.

გამარჯვებულს, რომელსაც პრიზი — **80 ლარი** გადაეცემა, ველოდებით რედაქციაში სამშაბათს, 28 ოქტომბერს, 17 საათზე.

## მკითხველის რეიტინგის შედეგები

მკითხველის რეიტინგში რესპონდენტებს უნდა დაესახელებინათ დღევანდელი **ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲓᲘᲓᲐᲠᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ**. აღსანიშნავია, რომ პირველ სამ ადგილზე პოლიტიკური მოღვაწეები გავიდნენ, ხოლო ათეულში ერთადერთი მეწარმე — თემურ ჭყონიაა შესული.

მდიდარ ადამიანებს შორის დასახელებულნი იყვნენ, აგრეთვე, მ. ომანიძე, მ. ხაზარაძე, ილია II, შ. კვირაია, თ. ელიზბარაშვილი, საველიჩი, ჯ. იოსელიანი და სხვები.



(ჯამში მოცემულია მიღებულ ქულათა რაოდენობა)

## №56 ᲡᲐᲞᲠᲘᲖᲝ ᲒᲐᲛᲝᲙᲘᲗᲮᲕᲐ-ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲘ

„ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ“ თავის მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**80 ᲚᲐᲠᲘ**

თქვენს მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲘᲡ“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

© თბილისი, 1997

ᲗᲔᲛᲐ№56—ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“

ᲕᲘᲡᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲨᲔᲡᲫᲚᲔᲑᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ ᲔᲕᲠᲝᲢᲣᲠᲜᲘᲠᲔᲑᲖᲔ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲗᲐᲛᲐᲨᲡ? დაუწერეთ **8** ქულა, მომდევნოს — **7** და ა.შ. **1**-მდე.

№56 საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

| № | ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ | ᲥᲣᲚᲐ |
|---|---|---|
| 1 | ᲛᲔᲜᲝᲢᲘ | |
| 2 | ᲐᲮᲐᲚᲙᲐᲪᲘ | |
| 3 | ᲚᲝᲑᲐᲜᲝᲕᲡᲙᲘ | |
| 4 | ᲙᲠᲣᲘᲤᲘ | |
| 5 | ᲒᲐᲖᲐᲔᲕᲘ | |
| 6 | ᲫᲝᲫᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ | |
| 7 | ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘ | |
| 8 | ᲒᲣᲪᲐᲔᲕᲘ | |

მკითხველის რეიტინგი*

რა მოგწონთ ყველაზე მეტად **„ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐᲨᲘ“?**

✓ ______________________

______________________

რა **არ** მოგწონთ ყველაზე მეტად **„ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐᲨᲘ“?**

✓ ______________________

______________________

______________________

ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ, ᲒᲕᲐᲠᲘ

______________ ______________

ᲐᲡᲐᲙᲘ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ

* „ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ“ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ ᲡᲘᲐᲮᲚᲔ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ — „ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲘ“. ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲯᲐᲛᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲕᲘᲦᲔᲑᲗ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲓᲔᲑᲐ. ᲐᲥ ᲡᲐᲞᲠᲘᲖᲝ ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲘᲗ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲨᲔᲮᲔᲓᲣᲚᲔᲑᲔᲑᲖᲔᲐ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ, ᲩᲕᲔᲜ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝ ᲕᲐᲠᲘᲐᲜᲢᲔᲑᲡ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠ ᲐᲠ ᲨᲔᲛᲝᲒᲗᲐᲕᲐᲖᲔᲑᲗ.

№56 საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი ძალაშია 27 ოქტომბრიდან 30 ოქტომბრის ჩათვლით. „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ 30 ოქტომბრის (ხუთშაბათი) 17 საათამდე (მათი ადგილმდებარეობის შესახებ იხილეთ გვ. 24).


ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲙᲐᲠᲔᲑᲘ, ᲒᲘᲡᲝᲡᲔᲑᲘ, ᲥᲐᲚᲣᲖᲔᲑᲘ ᲐᲕᲢᲝᲤᲐᲠᲔᲮᲔᲑᲘ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲔᲑᲘᲗ

☎ 38-83-87
37-07-78
37-46-55

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲘ ᲘᲠᲘᲜᲐ ᲚᲝᲛᲗᲐᲗᲘᲫᲔ ᲗᲐᲝᲑᲐᲗᲐ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲡᲐᲒᲕᲐᲠᲔᲣᲚᲝ ᲬᲐᲛᲚᲔᲑᲘᲗ, ᲛᲪᲔᲜᲐᲠᲔᲣᲚᲘ ᲛᲐᲚᲐᲛᲝᲔᲑᲘᲗ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲡ:

☞ თმის ძირების გამაგრებას საპონითა და მცენარეებით
☞ კანის სოკოვან დაავადებებს
☞ ფეხის თითების ქავილს
☞ ფრჩხილების სოკოს
☞ ქავილს კანის სხვადასხვა ადგილებში

ეფექტი გარანტირებულია პირველივე დღიდან. კურსი 10-დღიანია

მ „მარჯანიშვილი“, აღმაშენებლის პროსპ. №115

აფთიაქი „ფანასკერტელი“.

იკითხეთ პირადად ლომთათიძე.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲘᲜᲟᲘᲜᲠᲝ-ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ

**აცხადებს:**

**I.** საშუალო განათლების მქონე პირთა და მე-11 კლასელთა მიღებას მოსამზადებელ კურსებზე. კურსდამთავრებულები უგამოცდოდ ჩაირიცხებიან ინსტიტუტში. ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲐ ᲣᲤᲐᲡᲝᲐ.

**II.** მიღებას ინგლისური ენის დაჩქარებული სწავლების 3 თვიან კურსებზე შემდეგი პროფილებით:

1. დამწყებთათვის — სასაუბრო ენა; 2. TOEFL; 3. ESP — ბიზნესის ენა.

**მის: დოდო აბაშიძის (ყოფილი მეჩნიკოვის) ქ. №4, მ. „მარჯანიშვილი“, 37-ე საშუალო სკოლა**

**ტ: 95-27-07 (18 სთ-მდე); 38-00-83; 52-67-67; 62-05-07**

ᲘᲐᲤᲐᲓ ᲓᲐ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲐᲜᲐᲓ!

ᲓᲐᲒᲘᲛᲖᲐᲓᲔᲑᲗ:

ლითონის კარებს – 300 ლარი; „გარმოშკას“, 1კვ.მ – 80 ლარი; ჟალუზებს, 1კვ.მ – 80 ლარი; ფანჯრის უძრავ გისოსებს, 1კვ.მ – 50 ლარი. აგრეთვე, ნებისმიერ სართულზე დაგიმონტაჟებთ აივანს, 1კვ.მ – 200 ლარი, აბაზანაში – შეკიდულ მინის ჭერს, 1კვ.მ – 120 ლარი, ფანჯრის მინის დაჭრა ბინაზე მომსახურებით.

ᲛᲘᲡ: ᲛᲣᲮᲘᲐᲜᲘ, ᲛᲔ-4 Მ/Რ ᲛᲔ-4 ᲙᲝᲠᲞ. ᲢᲔᲚ: 63-67-52

«ᲛᲐᲥᲡᲡᲔᲠᲕᲘᲡᲘ»
ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ:
1. ᲚᲘᲗᲝᲜᲘᲡ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲜᲐᲙᲔᲗᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲘᲡ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲭᲔᲓᲣᲠᲘ ᲜᲐᲙᲔᲗᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐᲡ (ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲙᲐᲠᲘ, ᲭᲘᲨᲙᲐᲠᲘ, ᲒᲘᲡᲝᲡᲘ, „ᲒᲐᲠᲛᲝᲨᲙᲐ“, ᲓᲐᲠᲐᲑᲐ, ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲙᲘᲑᲔ, ᲛᲝᲐᲯᲘᲠᲘ, ᲙᲐᲠᲐᲓᲐ, ᲡᲔᲘᲤᲘ, ᲓᲐ ᲡᲮᲕ.).
2. ᲮᲘᲡ ᲜᲐᲙᲔᲗᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐᲡ (ᲙᲐᲠ-ᲤᲐᲜᲯᲐᲠᲐ, ᲙᲐᲠᲐᲓᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕ.).
3. ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲔᲛᲝᲜᲢᲡ.
ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ: ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘ–ᲛᲐᲦᲐᲚᲘᲐ, ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐ–ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ, ᲮᲝᲚᲝ ᲤᲐᲡᲔᲑᲘ-ᲖᲝᲛᲘᲔᲠᲘ!
ოფისის მისამართი: ვაჟა-ფშაველას გამზ. №20 („ქიმრეაქტივი“-ს შენობა)
ტელ. 39-00-95 10-დან 18სთ-მდე. 37-18-17 19სთ-ის შემდეგ.

„ᲒᲔᲝᲙᲝᲠᲘ“

აწარმოებს **ᲑᲣᲠᲦᲕᲘᲗ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲛᲔᲚᲘ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲐᲓ. ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲔᲑᲡ ᲒᲐᲒᲘᲬᲔᲕᲔᲜ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘ.**

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲐᲙᲣᲠᲘᲡ Ქ. №8 ᲒᲐᲛᲝᲗᲕᲚᲘᲗᲘ ᲛᲐᲗᲔᲛᲐᲢᲘᲙᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ (ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲣᲙᲐᲜ) ᲝᲗᲐᲮᲘ 208.
33-26-75 38-24-02

Შ.Პ.Ს «ᲩᲘᲮᲣᲠᲐ» ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ

რკინის კარების, გისოსების, ჟალუზების დამზადებას

ქავთარაძის ქ. №8, ინტურისტების ფარეხი 30-21-70 (საამქრო)


## ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ ᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲡ ᲙᲣᲠᲘᲝᲖᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲡ

### ᲛᲔᲢᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲐᲠ ᲓᲐᲣᲡᲕᲐᲛᲗ

დიდ სამამულო ომში დაკარგული თვალი პატივცემულ ლ. გ-ს კოხტად ჰქონდა ახვეული პატარა შავი ტყავის ნაჭრით. ამიტომ მას ზურგსუკან ზოგი ადმირალ ნელსონს ეძახდა, ზოგი კიდევ ფელდმარშალ კუტუზოვს... იყო თავისთავადი კაცი, შესაშური გამჭრიახობით შოულობდა ოჯახისათვის ლუკმაპურს და შეიძლება, ცოტა მეტსაც...

რამდენი არ დააპირეს სათანადო ორგანოებმა მისთვის „შეეწერათ“ რამე, ვერავინ ახერხებდა მისგან კაპიკის წაგლეჯასაც...

— კარგი, მაგრამ ეს ახალთახალი „ვოლგა“ საიდან?

— ლატარეაში მოვიგე, ბატონო! — იყო პასუხი.

— რაღა მაინცდამაინც შენ გხვდა „ვოლგის“ მოგება?!

— მოვიგე და... ხომ არ უნდა გადამეგდო ის ბილეთი, ჩემო ბატონო?! ეს რომ გიკვირთ, რატომ იმას არ მეკითხებით, რაღა მაინცდამაინც ჩემი მარცხენა თვალი მოძებნა იმ საზიზღარი ფაშისტის ტყვიამ?!..

მეტი კითხვა ვეტერანისათვის არ დაუსვამთ...

*მურმან ნაყოფია*

• • •

ერთ თბილისურ ახალ დასახლებაში ერთი ქალბატონის კარზე დარეკეს. გაალო მაგდამ (ასე ერქვა), კარებთან ჩანთააკიდებული, ახლა რომ თბილისში მრავლადაა, ისეთი გარეგნობის (მათხოვრული) ქალი იდგა:

— ლტოლვილი ვარ, ქალბატონო, დამეხმარეთ, რითაც შეგიძლიათ.

მაგდა დაეხმარა... გავიდა ცოტა ხანი, ისევ ზარია, გაალო, ისევ ის ქალია და ისევ — დამეხმარეთ, ქალბატონოო... ისევ დაეხმარა.

ცოტა ხნის შემდეგ, ისევ ზარი და ისევ ჩვენი ნაცნობი თავისი „დამეხმარეთი“.

— კი მაგრამ, ქალბატონო, — გაცხარდა მაგდა, — რამდენჯერ უნდა დარეკოთ ამ ჩემს კარებზე?

— უყურე ამას, ყველგან შენ ცხოვრობ და კიდევ შენ ბრაზობ?...

*დარეჯან ჯანელიძე*

## მსოფლიოს უხუცესი თოფმოდელები

105 წლის იაპონელი ტყუპები კინ ნარიტა და გინ კანი დიდი პოპულარობით სარგებლობენ სამშობლოსა და განსაკუთრებით, იმ კომპანიებში, რომლებიც პირველი მოთხოვნილების საქონელს აწარმოებენ. ამჟერად ტყუპები მონაწილეობას მიიღებენ ქალაქ ნაგოიას სპორტული ფირმის სარეკლამო აქციაში. კომპანიამ გადაწყვიტა, ტყუპების სახელების შესაბამისად, კინს (ნიშნავს — ოქროს) ოქროს, გინს კი (ვერცხლი) ვერცხლის სპორტული ფეხსაცმელი აჩუქოს.

## მოჰამედ ალიმ ბედნიერი ხალათი გაყიდა



პლანეტის ყველაზე სახელგანთქმული მოკრივის მუჰამედ ალის სპორტული ხალათი ლოს-ანჯელესში CHRISTIE'S აუქციონზე 156.000 დოლარად გაიყიდა. ამ ხალათით გამოვიდა იგი რინგზე ჯორჯ ფორმენთან კინშასაში 1974 წლის 30 ოქტომბერს გამართულ ისტორიულ ორთაბრძოლაში. რელიკვიის მყიდველმა ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა და განაცხადა: ბედნიერი ვარ, რომ უბრწყინვალესი მოკრივის, გაბედული, მოუსყიდავი ადამიანის ხალათი შევიძინეო.

•••

თანამედროვე ფსიქოლოგების გამოკვლევის შედეგად, ადამიანებზე ბევრ რამეს გაიგებთ ძილის პოზის მიხედვით. ვინც ღამე მუცელზე განისვენებს, დღისით ძალზე პუნქტუალური და დისციპლინირებულია. ვისაც ზურგზე სძინავს — პოტენციური შეფია, ისინი ყველგან ყურადღების ცენტრში არიან, ბრძანებენ, მოითხოვენ. ამის სრულიად საწინააღმდეგოა „ემბრიონალურ" მდგომარეობაში წოლა — ვისაც მუხლები მუცელთან მიუტანია და გვერდზე წევს, მას ყველაფერში ჰარმონია მოსწონს და ხშირად თავდაცვის პოზიცია უჭირავს. ხოლო თავით ბალიშში ჩარგულნი ეულნი არიან — მათ არაფერში უმართლებთ — არც სიყვარულში...

თქვენ როგორ გძინავთ?

•••

პროკურორი ვიშინსკი თავის დროზე საბჭოთა კავშირს წარმოადგენდა გაეროში. ერთხელ მასთან თურქეთის ელჩი მივიდა და უთხრა:

— ჩემი ქვეყნის ხელმძღვანელობა გაკვირვებულია იმ ფაქტით, რომ სომხეთის გერბზე არარატის გამოსახულებაა. ეს მთა ხომ თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზეა.

— თქვენი ქვეყნის გერბზე რა არის გამოსახული?

— ნახევარმთვარე.

— რა, მთვარე თურქეთის ტერიტორიაზეა?



ფოტო განწყობისათვის

გოგო, გუშინ კლაუდიამ დამირეკა, „ბაზაში" მაგარი ბარები გაჩითულა...

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის მოსამზადებელი განყოფილება

აცხადებს საბუთების მიღებას ცნობებისათვის: 30-01-07; 37-60-18 ან მიაკითხეთ, უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსი, ოთახი 11-03

## ყველაზე სექსუალური



სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ სპორტი ყველაზე სექსუალური სახეობაა. თუნდაც ჩოგბურთელ ქალთა ფორმა ავიღოთ... ყველაზე სექსუალური სამოსია... იქნებ ამიტომაც აღიარეს ჩოგბურთი ყველაზე მოდურ სპორტად, რამაც მოდის მაგნატებს მილიარდობით შემოსავალი მოუტანა.

მედიკოსთა აზრით, სპორტის ეს სახეობა სექსუალურად აკაჟებს როგორც ქალებს, ასევე მამაკაცებს. ესთეტები კი ჩოგბურთს თავისებურ რომანს უწოდებენ.

ოსტატი

ფასი 10 თეთრი

საუკეთესო კროსვორდების გაზეთი

## კროსვორდი



**თარაზულად:** 3. „მწვერვალი" ცხვირზე; 5. მცენარე, რომლის ნაყოფისგან გამოხდილ ზეთს დიდი გამოყენება აქვს საშაქარლამო წარმოებაში; 7. ხალხური ზეპირი შემოქმედება; 9. პრემიერ-მინისტრი ზოგ ქვეყანაში; 11. ქართველი მოჭადრაკე ქალი; 13. არჩეული ან დანიშნული წარმომადგენელი; 15. დიდი სისწრაფით მოძრაობს — მირბის, ფრინავს (კეთილხმოვანებისათვის სიტყვაში შედის ასო „ჰ"); 16. მდინარე აშშ-ისა და კანადის საზღვარზე; 18. მიკროსკოპული ერთუჯრედიანი ცხოველი; 20. საბრძოლო იარაღი; 24. ფეთქებადი ჭურვი; 25. მხარე საქართველოში; 26. სათავსი ხორბლეულის შესანახად; 27. ა. წერეთლის სამშობლო; 29. რიტმული ტანვარჯიში; 33. შემთხვევა, რომელიც შეიძლება რაიმე მიზნით გამოიყენონ; 34. ისეთი სახელი ჰქონდა, მხეცობას დასწამებდით, არადა, ირანის შაჰი იყო; 35. „მცენარეული" შარვალი; 36. ორგანიზმის ქსოვილთა დაზიანება გარეგანი ზემოქმედებით.

**შვეულად:** 1. მაგარმერქნიანი ხე; 2. მინერალი; 4. საბრძოლო ციხესიმაგრე — ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი საუკეთესო ქმნილება; 6. ირანის ძველი სახელწოდება; 8. სვანური ქალღვთაება; 10. სამხედრო-საზღვაო ფლოტის გემების დიდი შენაერთი; 12. ქიმიის ცრუ წინაპარი; 14. მსოფლიო პროლეტარიატის მეორე დიდი მასწავლებელი; 17. მამაკაცის სახელი; 19. შტატი ინდოეთში; 20. მოგება, გამორჩენა; 21. ქრისტიანული დღესასწაული (მოდის 25 მარტს); 22. სრული მარცხი; 23. გარკვეული საზოგადოებრივი წრის ყოფაქცევის ნორმები, მორალი; 28. ებრაელთა კულტის მსახური; 30. ქართველი კინომსახიობი ქალი; 31. ქალაქის (სოფლის) ერთ-ერთი კუთხე; 32. აირების ნარევი — დედამიწის ატმოსფეროს შემქმნელი.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 3. ექნოკოკი; 9. ჟიკლიორი; 10. ნოკდაუნი; 11. კუ; 12. სე; 13. კვეული; 14. სუნელი; 15. ტირი; 16. არის!; 17. სპიტაკი; 19. მონსტრი; 24. ოყნა; 27. ჰობი; 29. პრინცი; 30. „სმოუკი"; 31. ლი; 32. სუ!; 33. ბელმონდო; 34. ოპონენტი; 35. სიძვა; 36. ავგია.

**შვეულად:** 1. მუჟუჟი; 2. მაკაკი; 3. ეტიკეტი; 4. ნაიდორფი; 5. კანისტრა; 6. ინდოეთი; 7. სტუდია; 8. ქრისთი; 18. ტესტი; 20. ნადირობა; 21. ტაქსაობა; 22. ბაირონი; 23. ნიუანსი; 25. ყვიბისი; 26. „აპოლო"; 27. ჰიმნი; 28. ბასიანი.

•••



— ავტობუსი თელავში მიდის?

— არა, საგარეჯოში.

— აბა, თელავი რატომ აწერია?

— უკან ისიც აწერია, თავი „დურუთი" დაიბანეთ, როგორ გგონიათ, აბანოსაც მოგიწყობთ გზაში?

•••



პოლიციელს ჩაუქროლა ავტომობილმა, საჭესთან ძაღლი იჯდა, გვერდით ქალბატონი. სასწრაფოდ გადაუდგა პოლიციელი.

— გაგიჟდით, შეიძლება ძაღლის საჭესთან დასმა?

— ჩემი არ არის, მე მხოლოდ მგზავრი ვარ...

•••

სასტუმროში ხანძარია. ყველა მხრიდან ისმის განწირული ყვირილი — წყალი, წყალი! მესამე სართულის ფანჯრიდან თავი გამოჰყო შებიუვინებულმა ტიპმა — 312-ში კი ცივი ლუდი, თუ შეიძლება...

•••

ამას წინათ, სადღაც ამოვიკითხე, რომ არსებობს ავადმყოფობა, რომელსაც ლუდი შველის.

— თუ ძმა ხარ, ის არ ეწერა, როგორ ავიკიდოთ ის ავადმყოფობა?

•••



ქმარმა საწოლთან ლუდის ბოთლი დაიდგა.

— ქალო, ღამე ლუდი როცა მომინდება, გამაღვიძე.

— როგორ მივხვდე, როდის მოგინდება?

— შენ მიდი, გამაღვიძე...

•••

ცოლმა უამბო ქმარს:

— ტულუშებთან ვიყავი, იმიტომ შემაგვიანდა, გადამყვნენ, გინდა თუ არა გვიმღერეო...

— უმღერე?

— აბა, მაგათ დაუძვრები?

— კარგი გიქნია, ვერ ვიტან მაგ ტულუშებს.

ტელეფონი 987-444

„კვირის პალიტრაში"

სხვადასხვა შინაარსის განცხადებებს **უფასოდ** ვაქვეყნებთ „კვირის პალიტრის" დამატებაში — გაზეთში **„სიტყვა და საქმე"** (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე" არანაკლებ ეფექტიანია).

**„კვირის პალიტრაში"** კი, ქვეყნდება განცხადებები მხოლოდ **ბინების** გაყიდვა-გაქირავების შესახებ, დანარჩენი სახის განცხადებები გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ **ფასიანი განცხადების** ქვითრებით, რომლებიც იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 1,5 ლარი).

„უფასო განცხადების ქვითარი" ჩააგდეთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთებში 23 ოქტომბრის (ხუთშაბათი) 17 სთ-მდე. ყუთები განთავსებულია მეტროების — „მარჯანიშვილი", „ვაგზლის მოედანი", „თავისუფლების მოედანი", „რუსთაველი", „ახმეტელი", „ვარკეთილი", „ახმეტელის თეატრი" „პოლიტექნიკური", — მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ გაზეთების ჯიხურებზე, მეტრო „გოცირიძესთან" — სანტექნიკის მაღაზიის წინ, საბურთალოს ბაზრის შესასვლელთან, ორთაჭალაში — გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან), დოლიძის ქუჩის კუთხეში, დიდუბის ავტოსადგურთან, დიდ დიღომში, იოანე პეტრიწის ქ. №3 — სურსათის მაღაზიის წინ, მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ — ავტობუსის გაჩერებასთან, დიდუბეში — „სამთო ქიმიის" გაჩერებასთან, ალმაშენებელზე, მუსკომედიის წინ, გაჩერებაზე, თამარ მეფისა და აღმაშენებლის გამზირების გადაკვეთაზე (შემნახველი სალაროს წინ).

სხვა სახით (გარდა „კვირის პალიტრის" ბოლო ნომრიდან ამოჭრილი „უფასო განცხადების ქვითრისა") შემოსული განცხადება არ გამოქვეყნდება.

43 **უფასო განცხადების ქვითარი**

განცხადების ტექსტი ______________________

______________________

______________________

______________________

______________________

______________________

______________________

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 20 (მისამართის გარდა)*

P.S. №43-ის ქვითარი ძალაშია 27-დან 30 ოქტომბრის ჩათვლით. „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 30 ოქტომბრის (ხუთშაბათი) 17.00 სთ-მდე

სამუშაოდ ვიწვევთ ახალგაზრდა, ნიჭიერ, ერუდირებულ ჟურნალისტებს.

დაგვირეკეთ: ორშაბათს, სამშაბათსა და ოთხშაბათს 11.00 სთ-დან 21 სთ-მდე

გომონდი

ტელ.: 33-44-91

დაიჯესტის რედაქცია პასუხს არ აგებს სხვა გაზეთიდან გადმობეჭდილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების სიზუსტეზე, პუბლიკაციათა სტილი დაცულია. რიგ შემთხვევაში, მასალა შემოკლებით იბეჭდება.

შესაძლოა, რედაქციის აზრი არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

სარედაქციო კოლეგია

მისამართი: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან) ტელ. 33-39-54

სარეგისტრაციო № 1518

„კვირის პალიტრა" გამოდის ორშაბათობით

გაზეთი დაკაბადონდა და დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში".